



ლიბეჩანი

№ 39 / 12 - 18 ივლისი / 2010

- ინტერვიუ გიგა ბოკერიასთან: კლინტონის გზავნილები **გვ. 13**
- ირაკლი ალასანია: კლინტონის ვიზიტის კავშირები **გვ. 15**
- ანა დოლიძე: ისევ ვარსებენ პიტიანების საქართველო **გვ. 16**
- ორი აზრი: უნდა იყოს თუ არა რეზერვი სავალდებულო **გვ. 08**
- ჩვენეთი: კავკასიური ვენდიტა **გვ. 17**
- სამხრეთ ოსეთის ახალი ერა **გვ. 19**
- ნანამები პატიმრები სტრასბურგში ჩივიან **გვ. 21**
- საქართველოში ლიცენზირება **გვ. 30**
- ღაზა გუდაბე: ჰილარი და ქართველი გოგონები **გვ. 38**



ფასი 2 ლარი



**Georgian Women
Leaders**

Tbilisi, Georgia
July, 2010

გვ. 11

ჰილარი კლინტონი: „დემოკრატიაში დგემა ხოლმე დრო, როცა პოლიტიკა უნდა გაჩერდეს და სახელმწიფოს მართვა დაიწყოს“.

არგუმენტები. თავ სიტყვასთან



მავისტრო



მარშბედილი-მედიკალი

20:00



ალექსი მაჭავარიანის ოპერა „მედეა“ საკონცერტო შესრულება. ეროვნული მუსიკალური ცენტრი, თბილისი, 5 ივლისი 2010

ფოტო: ირინა ხაჩიძე

ნომერი:

- 02 ფოსტა
- 04 მოკლედ
- 06 ვრცლად
- 08 **ორი აზრი**
უნდა იყოს თუ არა რეზერვი სავალდებულო გია ბარამიძე vs პაატა გიგაური
- 11 **მთავარი თემა**
ნაწყვეტები ჰილარი კლინტონის გამოსვლებიდან
- 13 **ინტერვიუ**
კლინტონის პოლიტიკური გზავნილები გიგა ბოკერია
- 15 **თვალსაზრისი**
კლინტონის ვიზიტის კაპიტალი ირაკლი ალასანია
- 16 **თვალსაზრისი**
ისევ ვარსკენ პიტიახშის საქართველო ანა დოლიძე

მეზობლები

- 17 კავკასიური ვენდეტა
- 19 **სამხრეთი ოსეთი**
სამხრეთ ოსეთის ახალი ერა



- ჟურნალისტური გამოძიება**
- 21 ნაწამები პატიმრები სტრასბურგში ჩივიან **საუბრები ლიბერალიზმზე**
- 24 ინტერნეტის გალაქტიკა **ადამიანის უფლებები და სამართალი**
- 26 გეკუთენის, მაგრამ არ გეკუთენის **საზოგადოება**
- 30 სელექციური ლიცენზირება **მედიაკრიტიკა**
- 33 შოუ სახელწოდებით „ჰილარი

სტუმრად მიმასთან

- კულტურა**
- 35 დასურათებული ამერიკა – ფოტოებით მოთხრობილი ისტორია
- 36 ქართული პენ-კლუბი საერთაშორისო ღონისძიებებში ჩაერთვება
- 37 „მედეა“, როგორც მასალა **თვალსაზრისი**
- 38 ჰილარი და ქართველი გოგონები **ლაშა ბუღაძე**
- სპორტი**
- 41 ჯაბულანი **სანდრო ნავერიანი**
- 42 დამთავრდა **გიო ახვლედიანი**
- ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 44 რუსთაველზე **კახა თოლორდავა**

ბარეკანაჟი:

ჰილარი კლინტონი
ფოტო: ზურა ქურციკიძე



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდის „ლია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

უნდა დააფინანსოს თუ არა კულტურა სახელმწიფომ?

ვიცნობ „ხელოვნებაში და კულტურაში მომუშავე“ ადამიანებს, სახელმწიფო დაფინანსების გარეშე რომ არიან მთელი ცხოვრება და არ უჩვიან ჯერ გადარჩენის პრობლემებს.

ლექსო მაჭავარიანი
5 ივლისი, www.facebook.com

„ყავარჯენებს“, სიკეთე არც ერთი დარგისთვის არ მოუტანია, მით უმეტეს ამ საუკუნეში... ხელოვნება ხომ ბაზრის ერთ-ერთი ნაწილია და ისევე იყიდება, როგორც ყველაფერი დანარჩენი, რატომ არ უნდა დაფინანსდეს მაშინ მასევე, მეტყველებს?... რა განსხვავებაა, ობიექტურად? და თუ დარგი არასიცოცხლისუნარიანია, ჯობია დროზე მოკვდეს...

ქეთევან გაბიანი
5 ივლისი, www.facebook.com

„ის მოსაზრება, რომ კულტურის სფეროს სახელმწიფო დაფინანსება არ სჭირდება, არის იმ ტენდენციის გამოვლინება, რასაც შეიძლება ვუნოდოთ „მემარჯვენეობის საყმაწვილო სენი პოსტსაბჭოურ ქართულ ლიბერალიზმში“. ეს შეხედულება ეფუძნება ორ აბსოლუტურად არასწორ თეზისს: პირველი – ხელოვნება ბაზრის ისეთივე პროდუქტია, როგორც ყველაფერი დანარჩენი. მეორე თეზისი კი ისაა, რომ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება გარდუვალად განაპირობებს ბიუროკრატიის არაკვალიფიციურ ჩარევას ხელოვნების დარგში.

დავიწყებ იმით, რომ ბაზრის უზილავი ხელის სამართლიანობისა და ყოვლისშემძლეობის დოგმატს თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში დღეს უკვე აღარაფერ იზიარებს. პრაქტიკამ დადასტურა, რომ არის სფეროები, რომლებსაც მართოდენ ბაზარი ვერ არეგულირებს. ესაა ჯანდაცვა, განათლება და კულტურა. აშშ-შიც კი, სადაც კერძო სექტორში განუზომლად დიდი ფული ტრიალებს, ვიდრე ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში (მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, რომელიც მთლიანად კერძო შემოსავლებისა და შემონირობებისგან შედგება, 40 მილიარდ დოლარს აჭარბებს). ფედერალური და შტატის ბიუჯეტიდან გარკვეული თანხები მაინც იხარჯება



კულტურის სფეროში. ევროპაში იხარჯება გაცილებით მეტი, ჩვენსაირი ქვეყნისთვის კი სახელმწიფო დაფინანსება არის არათუ საჭირო, არამედ აუცილებელი. სხვა საკითხია, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს დაფინანსება და რა ფორმით. რაც შეეხება ბიუროკრატიის ჩარევას საფრთხეს, ეს მთლიანად პოლიტიკური

ნების საკითხია. თუ ხელისუფლებას უნდა, ის მაინც ჩაერევა რაოდენ ლეგიტიმური ბარიერებიც უნდა აღუმართო კანონების სახით, თუ არადა, ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც ამ საფრთხეს პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანდა, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ჰო და პანკ-როკი რომ სახელმწიფომ არ უნდა დააფინანსოს.

დავით ზურაბიშვილი
5 ივლისი, www.facebook.com

„მიჰყევით იმას, რაც მოხდა 1968 წლის შემდეგ დასავლეთში და მიხვდებით, რა უნდა გაკეთდეს ხელოვნებისთვის სახელმწიფოს მხრიდან. გარდა ამისა, გაიხსენეთ ხელოვნების მდგომარეობა იმპრესიონისტებიდან დაწყებული, ვიდრე 1930-იან წლებამდე.

ხელოვნების დაფინანსების ისტორია მოდერნულ პეროდში ამ ეტაპებით შეიძლება ადამიანმა შეისწავლოს. ისე, რამდენიმე წლის წინ კულტურის პოლიტიკაზე რომ დავიწყებთ ლაპარაკი, ერთმა ხელოვნებასთან პირდაპირ დაკავშირებულმა ადამიანმა ასეთი კომენტარი გააკეთა, – ამათ საბჭოთა კავშირი მოენატრათო. ახლა თავად წერს სტატიებს კულტურის პოლიტიკის შესახებ.

სახელმწიფო ხელშეწყობის საკითხიც ასე იქნება ცოტა ხანში. ეს მაშინ მოხდება, როცა ამ პრობლემას საბჭოთა კავშირის გამოცდილებიდან გამომდინარე არ შეაფასებთ“.

ნანა ყიფიანი
5 ივლისი, www.facebook.com

რედაქციისთვის: მთავარი რედაქტორი **შორენა შვერდიაშვილი** / აღმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯავახიშვილი** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები **სოფო ჭავჭავაძე** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუჯია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტიანიძე** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო ბექიშვილი** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი** შპრენაულისკენ: **მია ნიკოლაური**, **ნინო გოგუა**, **მარიკა ქოჩიაშვილი**, **ეკა ჭითანავა**, **რუსუდან ფანოზიშვილი**, **ანტა თვალაძე**, **თამარ ფარადაშვილი**, **ნინო ჩიმაკაძე**, **რუსუდან რუხაძე**, **ნინო რობაქიძე**, **იავო ყურაშვილი**, **ნათია გულიაშვილი**, **დავით ბუზნიკიძე**
პინტრინგისთვის: მარცხენა მხარე: **გიორგი ცხადია**, **კახა თოლორაძე**, **გიო ახვლედიანი**, **ლამა ბულაძე**, **სანდრო ნავერიანი**
რედაქციისთვის: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითიძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი **შალვა ჩუბინიძე** / მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამომცემელი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალი“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavoriti.ge
გამოცემის კვირაში ერთხელ ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge



რადიო „ნაცნობი“ გეკავტიუბათ კლუბუი „ნაცნობი“

- ტრადიციული ქართული საზარკულო
- სოცხალი მუსიკა



მისამართი: აბანოს ქ. N 3



შინ დახუნებული ჩაშუშები

„იაკ-42“ და „ბოინგ 767-200“ ერთმანეთს ვენის აეროპორტში შეხვდნენ. თვითმხილველთა თქმით, შავი მინი-ვენით ერთი თვითმფრინავიდან მეორეში ადამიანები გადაიყვანეს. რამდენიმე წუთში „იაკი“ მოსკოვში გაბრუნდა, „ბოინგი“ კი – აშშ-ში. მოსკოვში „იაკ-42“-ით რუსეთის ის 10 მოქალაქე დაბრუნდა, რომლებიც აშშ-ში ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს. მათ სასამართლო პროცესზე დანაშაულიც აღიარეს და რეალური რუსული გვარებიც გაამხილეს. პროცესის დასრულებისთანავე კი მათ აშშ-ს მთავრობამ კენედის აეროპორტიდან ჩარტერული რეისით დაატოვებინა ქვეყანა. „ბოინგით“ კი ის 4 ადამიანი გაემგზავრა, რომლებიც რუსეთში აშშ-სთვის ჯაშუშობის ბრალდებით იყვნენ დაკავებულები. მოსკოვმა,

თავისი მოქალაქეების დეპორტაციის სანაცვლოდ, მათი დეპორტაციის გადაწყვეტილება მიიღო. მოგვიანებით გაგრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-დან დეპორტირებულ რუსეთის ჯაშუშობაში ბრალდებულ 10 ადამიანს მოსკოვი ბინებითა და ყოველთვიური სოლიდური პენსიებით უზრუნველყოფს. როგორც აღმოჩნდა, ერთ-ერთი მათგანი, პერუელი ჟურნალისტი ვიკი პელაესი მოსკოვში შეთავაზებულ ამ წინადადებას არ დათანხმდა და საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება გადაწყვიტა. მოსკოვში დარჩენას არც ანა ჩეპმენი აპირებს. სავარაუდოდ, ის დიდ ბრიტანეთში გაემგზავრება საცხოვრებლად. რუსეთის ჯაშუშობაში ბრალდებული რამდენიმე ადამიანის შვილები კვლავ ამერიკაში რჩებიან.

მუხომანის საქმე სააქციური სასამართლოში

თბილისის სააპელაციო სასამართლო მუხომანის ამბოხის სახელით ცნობილი საქმის განხილვას იწყებს. პირველი ინსტანციის თბილისის საქალაქო სასამართლომ 11 იანვარს გამოიტანა განაჩენი, რომელშიც ბრალდების მხარის ვერსიას დაეთანხმა. მაშინ სულ 41 ადამიანს ჰქონდა სხვადასხვა ტიპის ბრალდება წაყენებული. სასამართლომ მათგან მხოლოდ ერთი – ეროვნული გვარდიის ყოფილი წევრი, კობა კობალაძე გაამართლა ხელისუფლების დამხობის მიზნით ამბოხების ნაწილში წაყენებულ ბრალდებაში. ზოგიერთმა დაკავებულმა კი პროკურატურასთან საპროცესო გარიგება გააფორმა. ხელისუფლების დამხობის მიზნით ამბოხების მო-



ფოტო: ზ. ზაზა, თბილისი

წყობაში დადანაშაულებულ ლევან ამირიძეს, შოთა გორგიაშვილსა და კობა ოთახაძეს ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯათ. სააპელაციო სასამართლოში განაჩენს სწორედ ეს სამი მსჯავრდებული და კიდევ 14 სხვა ასაჩივრებს.

ვილჯა- ვილჯაი სხისაბი

საქართველოს მთავრობამ „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“ დაამტკიცა. ეს ის დოკუმენტია, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიას განსაზღვრავს. მთავრობაში აცხადებენ, რომ ეს სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა ადამიანების კეთილდღეობაზე ორიენტირებული და მისი მიზანია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკებში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესება და „საზოგადოების დამორჩობის უზრუნველყოფის“ შერეგების პროცესის ხელშეწყობა. ეს გეგმა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მოამზადა და მის განხორციელებას ეს უწყება იქნება პასუხისმგებელი. გეგმას 4 განზომილებას მოიცავს – ჰუმანიტარულს, ადამიანურს, სოციალურსა და ეკონომიკურს. დამტკიცებული გეგმის მიხედვით, მრავალი ახალი პროექტი ამოქმედდება – მაგალითად, დაიწყება პირადობის ნეიტრალური მონიტორინგისა და სამოგზაურო დოკუმენტების გაცემა, შეიქმნება ერთობლივი ნდობის ფონდი, საინვესტიციო ფონდი და ა.შ. თუმცა, ცხინვალის და სოხუმის უარს ამბობენ ამ სტრატეგიის განხილვაზე კი. ბალაფში მის შესახებ ჯერ კიდევ თებერვალში ამბობდა, რომ ეს არის „ინსტრუქცია, თუ რა არ უნდა გააკეთოს აფხაზეთში“.

ჩისხეები

217 პროცენტით მეტი ტურისტი ეწვია წელს უკვე აჭარას, შარშანდელთან შედარებით.

67 -ჯერ მდიდარია ელიზაბეტ მეორე ტალიანდის მეფე, რომელიც ყველაზე მდიდარი მონარქია.

ბანმახაბები ჩხახიშვილის შახახე

ექს-პრემიერი ზურაბ ნოლაიდელი აცხადებს, რომ ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა საქართველო მის გამო დატოვა და რომ ხელისუფლება 30 მაისის არჩევნების შემდეგ თავად ნოლაიდელის დაკავებასაც გეგმავდა. ყოფილი პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ ხელისუფლება მის წინააღმდეგ საქმის „შეთითხვნას“ ცდილობდა და ვანო ჩხარტიშვილს აიძულებდა, მიეცა ჩვენება, თითქოს პრემიერ-მინისტრად ყოფნის დროს ნოლაიდელმა ქრთამი აიღო. ნოლაიდელი ამბობს, რომ მოსკოვში ყოფნისას ტელეფონით ესაუბრა ჩხარტიშვილს და დეტალები მამინ გაარკვია. მისი თქმით, ხელისუფლებას 21 დღის განმავლობაში ჰყავდა დაკავებული ჩხარტიშვილის ოჯახის წევრები, რომლებიც ბოლოს საქართველოდან გაიპარნენ. ყოფილი პრემიერ-მინისტრი იმასაც ამბობს, რომ თუ ჩხარტიშვილი მის წინააღმდეგ არ მისცემდა ჩვენებას, სოლიდური თანხის გადახდა მოუწევდა. რის გამო, როგორც და როდის მოახერხა ჩხარტიშვილმა საქართველოს დატოვება, ამაზე არავინ საუბრობს.



აუხუაუი მამისხადაი ბაზსადენა

გასულ კვირას მაგისტრალური გაზსადენის შესახებ ბევრს საუბრობდნენ. ამ საკითხის გარშემო აურზაური იმ საკანონმდებლო ინიციატივების განხილვას მოჰყვა, რომელთა დამტკიცების შემთხვევაში, გაზსადენი სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო ობიექტების ნუსხაში აღარ იქნება. პარლამენტში მისული ნიკა გილაური ამტკიცებდა, რომ მთავრობა გაზსადენის საკონტროლო პაკეტის პრივატიზებას არ აპირებს. თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ამის მიუხედავად, 10-15 პროცენტის ლონდონის ბირჟაზე განთავსების საკითხი განიხილება. გილაურის აზრს უმრავლესობაში ყველა არ იზიარებს და, შესაბამისად, მთლიანი საკონტროლო პაკეტის პრივატიზაციაც შესაძლებლად მიაჩნიათ. პარლამენტმა სადავო კანონი ჰილარი კლინტონის ვიზიტის მეორე დღეს, პირველი მოსმენით დაამტკიცა. მაგრამ, მოულოდნელად კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვა მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე გადადო. ცნობილია, რომ გაზსადენის ყიდვით ყაზახური „ყაზმუნაიგაზი“, აზერბაიჯანული „სოკარი“ და რუსული „გაზპრომი“ არიან დანტერესებულები.

50 მილიარდ აშშ დოლარს დახარჯავს BP მომავალ 5 წელიწადში მექსიკის ყურეში ნავთობის გაყოვნის ზარალის აღმოსაფხვრელად.

სიტატები



„ეს ომი [2008 წლის] ჩვენ არ დაგვიწყია და პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ, ვინც ის დაიწყო. ვილაც მიიჩნევს, რომ სამხრეთი ოსეთი ოკუპირებულია, ვილაც კი მიიჩნევს, რომ გათავისუფლებულია. ეს ორი ხალხის – ქართველებსა და სამხრეთ ოსებს შორის დიალოგის საგანია. ამ დიალოგში უნდა შეხვიდე მესამე მხარეზე აპელირების გარეშე“.

ვლადიმირ პუტინი
6 ივლისი, მოსკოვი

„პირდაპირ ვიტყვი, ჩვენი ქვეყანა რუსეთის ფედერაციას არ აქვს ოკუპირებული... რუსეთს იმაზე მეტად არ აქვს ოკუპირებული აფხაზეთი, ვიდრე აშშ-ს – სამხრეთი კორეა ან გერმანია“.

სერგეი ბალაფში
6 ივლისი, სოხუმი

„სამწუხარო და იმედის გამაცრუებელია ის ფაქტი, რომ აშშ-ს არ უნდა ის ცხადი ფაქტები და უბრალო რეალობა აღიაროს, რომელიც ახლა სამხრეთ ოსეთშია... აშშ თავის პოლიტიკას ამ რეგიონში აბსოლუტურად ცრუ საფუძველზე აფუძნებს. ეს ყველასთვის სარისკოა ამ რეგიონში, მათ შორის – საქართველოსთვის“.

ედუარდ კოკოთი
6 ივლისი, ცხინვალი

200 -კილომეტრიან გაზს ააგებს რუსეთი ჩერკასკიდან სოხუმამდე.

მესტიის სახეხელოს ნეხი დაჯახიძის

გიორგი ქვიციანი



მესტიის საკრებულოს წევრი, „ალიანსი საქართველოდან“ – ნელი ნავერიანი და მისი სამი ნათესავი: შოთა, ტარიელ და დავით ჯაფარიძეები 7 ივლისს თანხის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს.

ნავერიანი, მეორე წელია, მამა-პაპისეული სათიბების დაბრუნებას ითხოვს. ეს ნაკვეთები ადგილობრივმა ხელისუფლებამ 2 წლის წინ, მის დაუკითხავად, კანადელ ინვესტორს – უილიამ ჯეიმს სიმფსონს მიჰყიდა.

კანადელი ინვესტორის წარმომადგენელი – წალენჯიხელი ვინმე დავით ქუხილავა ნავერიანთან მოსალაპარაკებლად პირველად ადგილობრივი თვითმმართველობის პერიოდში გამოჩნდა. 7 ივლისს იგი მესტიაში ავიდა და ქალბატონ ნელისა და მის ნათესავებს მოსალაპარაკებლად სასტუმრო „მესტიაში“ შეხვედრა შესთავაზა.

შეხვედრაზე ნავერიანის ნათესავები მივიდნენ: მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტის, კულტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი დავით ჯაფარიძე, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მესტიის სამსახურის მთავარი ინჟინერი ტარიელ ჯაფარიძე და შოთა ჯაფარიძე. თუმცა, სასტუმროში შეჭრილმა შეიარაღებულმა სპეცრაზმმა ისინი თანხის გამოძალვისთვის დააკავეს. თვითმხილველთა გან-

ცხადებით, მოსალაპარაკებლად მისულ სამივე პირს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ნელი ნავერიანი, ფულის გამოძალვის ბრალდებით, საკუთარ სახლში დააპატიმრეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ჯაფარიძეები და ნავერიანი კანადელ ინვესტორს დაემუქრნენ, რომ თუ ის 70 ათას ლარს არ გადაიხდის, სადავო მიწის ნაკვეთზე ტურისტულ ბაზას არ ააშენებინებდნენ და მშენებლობაში ხელს შეუშლიდნენ. პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულებს ხელთ გამოძალვული 70 ათასი ლარიც აღმოაჩნდა. ამ ვერსიას თავად მესტიელები არასარწმუნოდ მიიჩნევენ.

სპეცოპერაციის შედეგად დაშავდა რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები, რომლებიც ჯაფარიძეებს გამოესარჩლნენ. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ „სპეცნაზელებმა“ რეზინის ტყვიებიანი იარაღი გამოიყენეს, რის შედეგადაც ხელი მოტყდა გელა ჯაფარიძეს, თავი გაუტყდა მზიური ჯაფარიძეს, ხელი დაუზიანდა ინგა მარგიანს, ხოლო ეპილეფსიით დაავადებულ, ინვალიდ გოგა ჯაფარიძეს რეზინის ტყვია მუცელში მოხვდა.

სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ბაგრატ ქირიამ დაკავებულები 8

ივლისს მოინახულა. ვიზუალური დათვალვით დაზიანება მხოლოდ ტარიელ ჯაფარიძეს აღენიშნებოდა. თუმცა, მან განაცხადა, რომ სასტუმრო „მესტიაში“ სპეცრაზმის შესვლისას თავად წამოჰკრა ფეხი სამშენებლო ნაგავს, ნაიქცა და დაშავდა.

ბაგრატ ქირია – „ტარიელ ჯაფარიძეს ორივე მხარი დანითლებული ჰქონდა და ნეკნებზეც შეიმჩნეოდა ტრავმის კვალი; მისი პასუხის განმარტობებელი ფაქტორების შესახებ კი არაფერი ვიცი“.

თვითმხილველები კი ადასტურებენ, რომ დაპატიმრებულ ტარიელ და შოთა ჯაფარიძეებს სპეცსამსახურის თანამშრომლებმა სცემეს.

დაკავებულები იმავე დღეს ზუგდიდის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. ნელი ნავერიანის გადასაცვანად თბილისიდან სპეციალური ვერტმფრენი ჩაფრინდა, რადგან მოსახლეობამ, პროტესტის ნიშნად, საავტომობილო გზა გადაკეტა.

„ლიბერალთან“ საუბრისას ფონდ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პროგრამების დირექტორმა ნინა ხატისკაცმა განმარტა, რომ ნელი ნავერიანს ხელთ აქვს სადავო მიწის ნაკვეთის 1903 წელს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება; მიწის ნაკვეთი, რომლითაც ოჯახი, საუკუნეზე მეტია, სარგებლობს, ნავერიანის ქმრის ბაბუის სახელზეა გაფორმებული.

ხატისკაცის თქმით, ნელი ნავერიანი აქტიურად ინტერესდებოდა წინა საკრებულოს საქმიანობითა და უნებართვოდ გასხვისებული მიწების სამართლებრივი საფუძვლების მოკვლევით; ასევე, ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მესტიაში 2010 წლის 3 მაისს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წევრების მიმართ განხორციელებულ ძალადობას, რომელშიც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია, სამხარეო პოლიციის უფროსი თენგიზ გუნავა, მესტიის პოლიციის უფროსი გიორგი შედანი, მისი მოადგილე ჯონი

ბელქანია, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი ანზორ მარგიანი, მესტიის მაჟორიტარი დეპუტატი კანდიდ (კახა) კვიციანი და მესტიის გამგებელი გოჩა ჭელიძეც მონაწილეობდნენ.

3 მაისს, გამგეობის შენობაში დილის 3 საათამდე იძულებით მიჰყავდათ პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ კანდიდატები და მათგან საარჩევნო რეგისტრაციიდან კანდიდატურის მოხსნის შესახებ წინასწარ გამზადებულ განცხადებებზე ხელის მოწერას მოითხოვდნენ.

განცხადებას ხელი ოთხმა კანდიდატმა მოაწერა, ოთხმა კი უარი განაცხადა; მოგვიანებით კანდიდატურა მოხსნა ბლოკი „ალიანსი საქართველოსათვის“ წევრმა მია ჩართოლანმაც. პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ წარმომადგენელმა, ზოგდან ნიგურთანაც საკუთარი კანდიდატურა იძულებით მოხსნა.

ლეიბორისტული პარტიის წევრმა, ალექო ხერგიანმა გვითხრა, რომ წელი ნავერიანის დაკავება პირდაპირ არის დაკავშირებული 3 მაისის ღამის ინციდენტთან. „ხელისუფლებამ ნავერიანის არჩევნების გზით ჩამოშორება ვერ მოახერხა და მის გასაჩერებლად სხვა ხერხს მიმართა“.

ალსანიშნავია, რომ ჯაფარიძეები და წელი ნავერიანი 7 ივლისს დილით დააკავეს, ხოლო ადვოკატებმა მათი მონახულება 8 ივლისს საღამომდე ვერ მოახერხეს.

ნავერიანის და მისი ნათესავების სასამართლო პროცესი ზუგდიდში 9 ივლისს გაიმართა. სასამართლომ ყველა დაკავებულს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

მესტიის 3 მაისს მომხდარი ინციდენტის გამოძიება, უკვე ორი თვეა, მიმდინარეობს. არსებობს ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა, მაგრამ გამოძიებას ჯერჯერობით არავინ დაუსჯია. უბრალოდ, არჩევნების წინ ზაზა გოროზია რამდენიმე დღით შევბუღებაში გავიდა. დღეს ის ჩვეულებრივ განაგრძობს საქმიანობას.

მესტიელების ნაწილი თვლის, რომ ნავერიანი და მისი ნათესავები პოლიტიკური ნიშნით დასაჯეს. **■**

"ქველი თბილისის ახალი სისოსხი" შეფუხეხეხი

ნათია ახალაშვილი



ფოტო: თინათინ ზაქარაიძე

უკვე 2 თვეა, მერიამ პროექტ „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ მეორე ეტაპზე გამარჯვებულების გამოვლენა ვერ მოახერხა.

კონკურსის მეორე ეტაპში ჩასართავად 33-მა მენაშენე კომპანიამ მერიაში განაცხადი ჯერ კიდევ მაისში შეიტანა.

ამ განაცხადების მომზადებას წინ საკმაოდ შრომატევადი პროცესი უძღვის. მენაშენეებმა ჯერ ამა თუ იმ ეზოს ყველა ბინადარი უნდა დაითანხმონ პროექტში მონაწილეობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სახლი ვერ მოხდება პროექტში; შემდეგ ბანკებიდან უნდა მიიღონ თანხმობა, რომ მერიის გარანტიის მოპოვების შემთხვევაში, ესა თუ ის პროექტი დაუფინანსდება და მხოლოდ ამის შემდეგ შეაქვთ მერიაში მრავალი საკონკურსო პირობის გათვალისწინებით შედგენილი განაცხადი.

ამ პროგრამის პირველ ეტაპში სულ 10-მა კომპანიამ გაიმარჯვა და მათი პროექტები მთლიანობაში 53 მილიონი ლარით დაფინანსდა. მეორე ეტაპის ბიუჯეტის ოდენობა წარდგენილ განაცხადებთან ერთად გაიზარდა და 200 მილიონი გახდა.

ვრცელდება რამდენიმე ვერსია, რის გამოც ეს პროცესი შეფერხდა. პირველი: თანხის შემცირებას აპირებს ხელისუფლება და პროცესიც ამიტომ ჯანჯვლდება; მეორე: ამ პროექტის პატრონაჟს, ადგილობრივი ხელისუფლების ნაცვლად, ცენტრალური

ხელისუფლება აპირებს და მესამე: პროცესის შეფერხებაში ბანკებს ადანაშაულებენ.

„ჩვენ პირველი ეტაპის პროექტებზე კიდევ ვმუშაობთ. მეორე ეტაპზე კი ჯერ არაფერი ხდება და ჩვენც ველოდებით. ბანკის გამო, გამარჯვებულების გამოვლენის პროცესი არ შეფერხებულა“, – აცხადებენ „თბილისი ბანკში“.

სამშენებლო კომპანიები გამარჯვებულების გამოვლენის წინ ძალიან ლელავენ. მათთვის პროექტის შემდგომ ეტაპში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. უმრავლესობისთვის გამარჯვება გადარჩენის ტოლფასია.

კონკურსში მონაწილე ერთ-ერთ კომპანიაში აცხადებენ, რომ განაცხადის წარდგენიდან 10 დღის ვადაში, წესით, არსებული ხარვეზები უნდა შეესწორებინათ, მაგრამ ჯერ ეს ეტაპიც კი არ დამდგარა.

ნერვიულობენ ის ადამიანებიც, ვინც წინა ეტაპის წარმატებამ ნახაღისა და ამ პროექტში მონაწილეობა გარისკეს. ისინი პასუხს სამშენებლო კომპანიებს სთხოვენ. თუმცა, ამჯერად ერთადერთი სტრუქტურა, რომელსაც პასუხის გაცემა შეუძლია, მერიაა.

მერიიდან კი გამარჯვებულების გამოვლენის თარიღისა თუ ამ პროექტის ბედის შესახებ ზუსტ ინფორმაციას ვერც მენაშენე კომპანიები იღებენ და ვერც ჟურნალისტები. **■**

მომხრე

გია ბარამიძე

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი

ქართული პროფესიული შეიარაღებული ძალების რაოდენობა იმის საშუალებას არ იძლევა, რომ თუნდაც საშუალო მასშტაბის აგრესიის პირობებში შეტევის ადეკვატურად მოგერიების იმედი გვქონდეს. ამისთვის ჩვენსავით პატარა სახელმწიფოს მთელი საზოგადოების მობილიზება სჭირდება. ამიტომ უნდა იყოს რეზერვი სავალდებულო.

შვეიცარიის მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობა რომ გვქონდეს, რომლის გარშემოც სულ ევროპული ცივილიზებული სახელმწიფოებია, მაშინ მე პირადად არაა თუ სავალდებულო რეზერვზე დაფიქრდებოდი, არამედ იმაზეც, თუ საერთოდ რა რაოდენობის პროფესიული ჯარი უნდა ჰყავდეს საქართველოს. მაგალითად ისრაელში, არაა თუ რეზერვი, სამხედრო სამსახური, მხოლოდ კაცებისთვის კი არა, ქალებისთვისაც სავალდებულოა.

2008 წელს რეზერვის კომპონენტმა საერთოდ ვერ იმუშავა. ამ ძალიან სერიოზულმა წარუმატებლობამ გამოავლინა, რომ ის მეთოდოლოგია, რომლითაც მაშინ რეზერვი მზადდებოდა, აბსოლუტურად არ იყო ადეკვატური. გამოჩნდა, რომ მოკლევადიანი ჯარი შედეგს არ იძლევა.

არავის უხარია, ადამიანი თავის ოჯახს მოსწყვიტოს და რაღაც დროის განმავლობაში სულ სხვა ცხოვრების წესით აცხოვროს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის დაცვა ჩვენივე საქმეა. შეიძლება, ამერიკამ და დასავლეთმა პოლიტიკური მხარდაჭერა აღმოგვიჩინონ, მაგრამ ომმაც გვიჩვენა, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს, ვიდრე ნატო-ს წევრები არ გავხდებით.

ძალიან რთული იქნება მხოლოდ ნებაყოფლობით პრინციპზე თავდაცვის აგება. აუცილებელია, რომ მიდგომა სამართლიანი იყოს თითოეული ოჯახის თითოეული წევრის მიმართ. ყველამ თანაბრად უნდა იმსახუროს თავისი ქვეყნის დასაცავად, მაგრამ საზოგადოების უდიდესი ნაწილი თავისი სურვილით ამ ნაბიჯს არ დგამს და ამიტომ სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაბამისი მექანიზმები. შეიძლება, ადამიანს თავიდან სულაც არ უნდოდეს რეზერვში წასვლა, მაგრამ უშუალოდ ვარჯიშის დროს მიხვდეს, რომ მასაც სხვაზე არანაკლებად შეუძლია ბრძოლა და სამშობლოს დაცვის მოტივაციაც აუმაღლდეს.

როდესაც ქვეყანაში არის ჯანსაღი პოლიტიკური სიტუაცია, როცა ადამიანს ბავშვობიდან უნერგავ პატრიოტიზმს – არა ყალბს, არამედ ჯანსაღს, ბუნებრივს, ასეთი აღზრდით ჯარში წასვლა მორალის საკითხი ხდება. ■



უნდა იყო ხაზები ს

■ 2008 წელს რეზერვის კომპონენტმა

საერთოდ ვერ იმუშავა. ამ

წარუმატებლობამ გამოავლინა, რომ

მეთოდოლოგია, რომლითაც მაშინ

რეზერვი მზადდებოდა, აბსოლუტურად

არ იყო ადეკვატური. გამოჩნდა, რომ

მოკლევადიანი ჯარი შედეგს არ იძლევა.



ს თუ ახა ავანდეზი

მონინალმდევე

პაატა გიგაური

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „აისი“, გამგეობის თავმჯდომარე

2008 წლის ომის დროს ნათლად გამოჩნდა, რომ რეზერვის პროგრამამ ვერ იმუშავა. აღმოჩნდა, რომ რეზერვისტების ნაწილს არა მარტო ბრძოლის სურვილი არ აქვს, არამედ ეს არც ფიზიკურად შეუძლია და არც მორალურად. ომს ამ ადამიანებში პანიკის გარდა არაფერი გამოუწვევია. ის დრო და ფინანსური რესურსი, რომელიც თითოეულ არამოტივირებულ რეზერვისტზე დაიხარჯა, გაფლანგულია.

ეს იმის შედეგია, რომ რეზერვისტების უმრავლესობა უბრალოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გადიოდა კურსს. ასეთ პირს, ჯობს, საერთოდ არ ჰქონდეს იარაღი, რადგან ადამიანი თუ მომზადებული არაა, ან თავის თავს დაიჭრის, ან თავისიანებს შეუშლის ხელს. სამწუხაროდ, 2008 წელს მოხდა კიდევ უბედური შემთხვევა, რომელსაც რამდენიმე რეზერვისტის სიცოცხლე და სხვების ჯანმრთელობა შეენირა.

ასეთი შემთხვევებისგან თავის დასაცავად და მაქსიმალურად პროფესიონალი ჯარის შესაქმნელად დასავლეთ ევროპაში საკმაოდ გავრცელებულია მოხალისეობის პრინციპი, რადგან აუცილებელი არაა, ყველა მამაკაცმა იარაღი დაიჭიროს და ფრონტზე იბრძოლოს. მაგალითად, 2008 წლის ომის დროს შეიძლება გვყოლოდა სათანადოდ მომზადებული ჯგუფი, რომელიც დაჭრილების და ბაზების ევაკუაციაზე იზრუნებდა, იმდენი სამხედრო ტექნიკა რომ არ დაგვეკარგა, რამდენიც დაგვკარგეთ.

არ ვთვლი, რომ თუ რეზერვი ნებაყოფლობითი გახდება, ქვეყანას საკმარისი სამხედრო თავდაცვა აღარ ექნება. 2008 წლის მოვლენებმა რეალურად გამოაფხიზლა საზოგადოება. ომამდე „აისში“ სამხედრო სამოყვარულო წვრთნების სულ რამდენიმე მსურველი გვყავდა. ომის შემდეგ კი 200 ადამიანი გაიწვრთნა, მათ შორის რეზერვისტი ბიჭები და გოგონებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ რაიმე სამხედრო წოდებას ჩვენ ვერ გავცემთ.

ქართველებს გვახასიათებს ხოლმე, კრიტიკულ სიტუაციაში ყველა მამაკაცი კომისარიატში მირბის და იარაღს ითხოვს. იმისთვის, რომ ამ ადამიანებმა შეძლონ ქვეყნის დაცვა, აუცილებელია, ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაიარონ სამხედრო მომზადება. მაგრამ რეზერვი სავალდებულო უნდა იყოს მხოლოდ კონტრაქტით მომსახურე ჯარისკაცებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო პირს თავად არ უნდა ბრძოლა, რეზერვს სასურველი ეფექტი ვერ ექნება. ■

■ ასეთი შემთხვევებისგან თავის დასაცავად და მაქსიმალურად პროფესიონალი ჯარის შესაქმნელად დასავლეთ ევროპაში გავრცელებულია მოხალისეობის პრინციპი, რადგან აუცილებელი არაა, ყველა მამაკაცმა იარაღი დაიჭიროს და ფრონტზე იბრძოლოს.



ჰილარი კლინტონი ქართველ ლიდერ ქალებთან შეხვედრაზე ეროვნულ ბიბლიოთეკაში, თბილისი, 5 ივლისი 2010

ფოტო: ნუნა სთარბინაძე

"ბმადლობთ, ხომ ახათებთ ეუხნანს, ხომაცსანს "ლიბერალი" ჰქვია"

The plane is wheels down! (თვითმფრინავი დაფრინდა!) თქვა ამერიკის საელჩოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა და უფრო სწრაფად დაიწყო რიგებს შორის სიარული. ამ წუთიდან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის უსაფრთხოება და ვიზიტის ლოჯისტიკა მთლიანად საელჩოს პასუხისმგებლობა ხდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში 140-მდე „ქალი ლიდერი“ იყო შეკრებილი და ჰილარი კლინტონს ელოდა.

მოგვიანებით, სახელმწიფო მდივნის თბილისში ვიზიტის 6-სათიანი სტენოგრაფიული ჩანაწერების ნაკითხვის მერე დავრწმუნდი, რომ ეს 5 ივლისის ყველაზე საინტერესო შეხვედრა იყო (იხილეთ მომდევნო გვერდები და ნაწყვეტები ამ შეხვედრიდან).

შეწირება თუ არა საქართველო რუსეთ-ამერიკის ახალ ურთიერთობებს და, ასევე, ნაწილობრივ არაპოპულარული პროდა-

სავლური ხელისუფლების, სუსტი პროდასავლური ოპოზიციის და მოსალოდნელი მშვიდი 2-3-წლიანი პერიოდის გამო, ეჭვქვეშ ხომ არ შეიძლება დადგეს საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია? – ეს იმ შეკითხვის პერიფრაზია, რომელიც კლინტონს დაეუსვია.

მან კი კითხვაზე პასუხი ასე დაიწყო: „პირველ ყოვლისა, გმადლობთ, რომ აკეთებთ ყურნალს, რომელსაც „ლიბერალი“ ჰქვია, რაც კარგი სიტყვაა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ქვეყანაშიც ბევრი წლის მანძილზე ცდილობდნენ, რომ ის წარმოეჩინათ, როგორც მიუღებელი. როცა ეს სიტყვა ისმის, იგულისხმება, არსებითად იგულისხმება თავისუფლების მნიშვნელობა და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებები, თვითმყოფადობა და ასე შემდეგ“.

შორენა შავერდაშვილი

ნანყვაეხები ჰიციხი ხინსონის ბამოსვცაბიდან

თბილისი, 5 ივლისი 2010



ფოტო: ზურა მარიაშვილი

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ერთობლივი პრესკონფერენცია, პრეზიდენტის სასახლე, 5 ივლისი, 2010.

„საჯაროდ მინდა, განვაცხადო ის, რაც კერძო საუბრებში აღვნიშნე. საქართველოში ჩამოვედი ჩემი და პრეზიდენტობამას ცალსახა პოზიციის დასადასტურებლად. ამერიკის შეერთებულ შტატებს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მხარი დაუჭიროს საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. აშშ არ ცნობს გაგლეხების სფეროს. ეს პოზიცია პირდაპირ დაფიქსირებულა ჩვენს რუს პარტნიორებთანაც და ბოლოს ეს ვაშინგტონში, 24 ივნისის შეხვედრაზე გააკეთეთ.“

ჩვენ კვლავაც მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს 2008 წლის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელსაც ხელს პრეზიდენტი სააკაშვილი და პრეზიდენტი მედვედევი აწერენ და რომლის მიხედვითაც, უნდა დასრულდეს საქართველოს ოკუპაცია, რუსული ჯარები კი სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიიდან კონფლიქტისწინა პოზიციებს უნდა დაუბრუნდნენ.

ყურადღება გავამახვილეთ ამ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული მისიის შესვლის აუცილებლობაზეც. ჩვენ არც მომავალში მოვაკლებთ ძალისხმევას კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულებაზე ზრუნვას და ამისთვის აღიარებულ საერთაშორისო მექანიზმებსა და კონსტრუქციულ, არაძალადობრივ გზებს გამოვიყენებთ“.



„...ჟენევის პროცესისადმი ჩვენი დამოკიდებულება ასეთია – ვეცდებით, მაქსიმალურად ჩავერთოთ ამ პროცესში და წინა პლანზე წამოვნიოთ ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია კონფლიქტის მოსაგვარებლად. მაგალითად, დაჟინებით მოვუწოდებდით აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, კონსტრუქციულად ჩართულიყვნენ ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებებში. ჩვენი მხრიდან ამ მიმართულებით დიპლომატიური ძალისხმევა დღემდე არ წყდება.“

ამ ეტაპზე არ შემიძლია, ზუსტად განვსაზღვრო დრო, თუ როდის გადაწყდება ეს საკითხი. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ახლო მომავალში იქნება შესაძლებელი. თუმცა, რა პერიოდიც უნდა დასჭირდეს ამას – თვეები თუ წლები – მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მოდერნიზაციისკენ მიმართული რეფორმების ციკლი განაგრძოს, რადგან... რეფორმების გაგრძელება პირველ რიგში ქართველი ხალხისთვის განკუთვნილი მნიშვნელოვანი გზავნილი იქნება, ასევე ეს იქნება გზავნილი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანებისთვისა და რუსული და დანარჩენი მხარეებისთვისაც, რომ ქართული დემოკრატია, ქართული ეკონომიკა კვლავაც წინ მიიწევს, რომ ოკუპაციის გამო არ შესუსტებულა საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის მონადინება, ააშენონ ისეთი ძლიერი სა-

ხელმწიფო, როგორც მხოლოდ საუკეთესო მომავალშია შესაძლებელი“.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ქართველ ლიდერ ქალებთან შეხვედრისას, 2010 წლის 5 ივლისი

„ვიდრე საქართველოში ჩამოვიდოდი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, ჯონ ბასმა მომხერა, რომ ქალები საქართველოში მიმდინარე ცვლილებების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. თუმცა, ეს თქვენს ისტორიაში ახალი ტენდენცია არაა. დიდი ხანია, აღფრთოვანებული ვარ თამარ მეფით. ამერიკელი ჟურნალისტების ნაწილმა შეიძლება არც იცოდეს, რომ თამარ მეფე იყო ქალი, რომელიც ქვეყანას ოქროს ხანაში შეუძღვა. არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც, 21-ე საუკუნეც არ შეიძლება იქცეს მეორე ოქროს ეპოქად საქართველოსთვის.“

და ვიდრე ჩვენ ვეხმარებით საქართველოს პოზიტიური ცვლილების განხორციელებაში, ევროპასთან დაახლოებასა და ნატო-ში განწევრიანებაში, როცა იღებენ გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, როცა ხდება ქართული პოლიციური ძალების გარდაქმნა, როცა არსებობენ ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, როცა კანონის უზენაესობა მკვიდრდება და ხელისუფლების რეაგირება უმჯობესდება, მე ვხედავ ქალებს, რომლებიც ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებენ.

სამოქალაქო საზოგადოება არის ის ნებო, რომელიც კრავს და აერთიანებს სახელმწიფოს. მრავალგზის გამოცდილი და დამტკიცებული სიმართლეა ისიც, რომ

საჭიროა პასუხისმგებლობით სავსე ხელისუფლება, თავისუფალი, ეფექტურად გამართული ბაზარი. მაგრამ იმ ადგილს, სადაც სიცოცხლე ღირს – სივრცეს მთავრობასა და ეკონომიკას შორის – სამოქალაქო საზოგადოება ჰქვია. ეს ის ადგილია, სადაც შეგვიძლია ვიცხოვროთ ჩვენს ოჯახებთან ერთად; ესაა ადგილი, სადაც შეგვიძლია, ვუერთგულოთ ჩვენს რწმენას... ესაა ადგილი, სადაც დემოკრატიის გაძლიერებაში ვინვრთნებით“.

„ხშირად ვფიქრობ ხოლმე ახალ დემოკრატიებზე, რადგან ჩემმა ქვეყანამ გუშინ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებიდან 234-ე წლისთავი იხეიმა. დემოკრატიულ ქვეყნებში, კონსტიტუციის მიერ დადგენილი წესებით ვცხოვრობთ, ჩვენ რიგრიგობით ვმართავთ სახელმწიფოს. არჩევნების დასრულების შემდეგ, არჩეული კანდიდატი ვალდებულია, ქვეყნის გამთლიანებისთვის იბრუნოს და პოლიტიკური გახლეჩვა არ დაუშვას. დარბაზში ორი ქალი შევნიშნე, რომელთაც ჩემი საპრეზიდენტო კამპანიის დროინდელი მაისურები ეცვათ, ამან კი კიდევ ერთხელ შემახსენა, თუკი მჭირდებოდა საერთოდ შესხენება, რომ პრეზიდენტობამას წინააღმდეგ ძალიან მძიმე ბრძოლა გამოვიარე. მთელი ჩემი ძალეებით ვცდილობდი მის დამარცხებას, მაგრამ წარუმატებლად. და როცა მისთვის წინააღმდეგობის ნაცვლად, მისი მხარდაჭერა დავინყე, ესეც ჩემი მოსაზრების ნაწილი იყო, თუ რა მიმართა ჩვენი ქვეყნისთვის საუკეთესოდ.“

და როცა მან გაიმარჯვა, ჩემდა გასაკვირად, სახელმწიფო მდივნის პოსტი შემომთავაზა. ამ ამბავმა, მთელ მსოფლიოში უამრავ ადამიანს გაუჩინა კითხვა: „როგორ შეგვიძლია იყო მისი პოლიტიკური ოპონენტი და იმუშაო შენს ყოფილ მეტოქესთან?“ პასუხი კი ძალიან მარტივი იყო: ჩვენ ორივეს გვიყვარს ჩვენი ქვეყანა. და დემოკრატიაში დგება ხოლმე დრო, როცა პოლიტიკა უნდა გაჩერდეს და სახელმწიფოს მართვა დაიწყოს...“

„... რა თქმა უნდა, ყურადღებას ვამახვილებთ პრობლემებზეც, როგორცაა სისხლის სამართლის კოდექსი, დამოუკიდებელი სასამართლო თუ თავისუფალი მედია. ამ პრობლემებზე ვსაუბრობთ, როგორც საქართველოს მეგობრები, როგორც მისი მხარდამჭერები, რადგან ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს დემოკრატიულობას დიდი მნიშვნელობა აქვს. დღეს მოგვიანებით ოპოზიციის ლიდერებსაც შევხვდები, როგორც ამას ხშირად ვაკეთებ ხოლმე მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც. მაგრამ ვფიქრობ, რომ თავისი წილი პასუხისმგებლობა უკვე ოპოზიციასაც აქვს. ამიტომ ვსაუბრობდი ქვეყნის მომავლის მიმართ ხედვის მნიშვნელობაზე და იმაზე, რომ ეს ხედვა ერთად ორივეს პასუხისმგებლობაა – ხელისუფლებაში და ოპოზიციაში მყოფთათვის.“

ვფიქრობ, რომ დღევანდელ მსოფლიოში დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხე ისაა, რომ დემოკრატია კარგავს უნარს, ხალხს რეალური შედეგები აჩვენოს, რადგან ხელისუფლებისა და ოპოზიციის ლიდერები მთელ დროს ხელისუფლებისთვის ბრძოლას ანდომებენ.

... რაღაც ეტაპზე კონსოლიდაციაა საჭირო ისეთი საკითხების გადაჭრისთვის, როგორცაა მწვავე ეკონომიკური კრიზისი, რომელიც მთელ მსოფლიოს შეეხო... ის პრობლემები, რომლებიც ადამიანებს ყოველდღიურად აწუხებთ – დასაქმება, კრედიტის ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვა თუ განათლება, ან პოლიტიკურ სიბრტყეში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა – ეს ყველაფერი თანაბარ პასუხისმგებლობას აკისრებს მთავრობებს, ჟურნალისტებს და მოქალაქეებს... დარწმუნებული ვარ, რომ ყველამ მთავრობაშიც, ოპოზიციაშიც და საზოგადოებაშიც ქვეყნის პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი შესრულება უნდა დაიწყოს იმისთვის, რომ თვალსაჩინო გახდეს – დემოკრატიის შეუძლია იყოს ეფექტური“.

„ვფიქრობ, რომ ამერიკას ორი საქმის ერთდროულად კეთება შეუძლია. ეს ძვე-

ლი გამოთქმაა. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ გვჯერდა რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორება, რადგან როცა პრეზიდენტმა ობამამ და მე ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა ავიღეთ, ეს საკითხი ძალიან დაბალ დონეზე იდგა. იყო ბევრნაირი უნდობლობა, რაც მრავალი ტიპის გაუგებრობას და სხვა პრობლემებს წარმოშობს ხოლმე.“

ამიტომ ძალისხმევა არ დავიშურეთ, რომ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის დამყარებაზე გვეზრუნა და გარკვეული შედეგიც უკვე სახეზეა. გვაქვს ახალი ხელშეკრულება სტრატეგიული იარაღის შემცირებაზე, რათა ორივე მხარემ შევამციროთ ბირთვული იარაღი. ეს ჩემი აზრით მნიშვნელოვანია, რადგან მხოლოდ ჩვენ ორნი მთელ მსოფლიოში არსებული ბირთვული შეიარაღების 90 პროცენტზე მეტს ვფლობთ. ჩვენ ვიმუშაობთ იმისთვისაც, რომ შევაჩეროთ ჩრდილოეთ კორეა, ირანი და მათი ბირთვული პროგრამები და როცა ეს საკითხი წამოგჭერთ, ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, დაგვეთანხმებოდა თუ არა რუსეთი ირანის თემზე; ახლა რუსეთი მხარს უჭერს ჩვენს ძალისხმევას ავღანეთშიც. რუსეთთან მიმართებაში დადებითი ძვრა მოხდა ბევრი სხვა მიმართულებითაც.“

თუმცა, ამ ყველაფრის პარალელურად, ჩვენ ვგმობთ და ვაკრიტიკებთ რუსეთის იმ ქმედებებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, მცდარია. და უპირველესად ასეთ ქმედებებში საქართველოში შემოჭრასა და ქვეყნის ოკუპაციას ვგულისხმობთ. ჩვენ ამას ვამბობთ, ჩვენ ასე ვფიქრობთ და ჩვენ ვცდილობთ, გაგვიმაროთ ზურგი, რაც იმ საფრთხესთან გასამკლავებლად გჭირდებათ, რომელიც, თქვენი აზრით, რუსეთისგან მოდის.“

ცოტა შემამფოთა თქვენმა სიტყვებმა და ოპოზიციური პარტიიდან ახალგაზრდა ქალის სიტყვებმა, რომ იგრძნობა მზარდი იმედგაცრუება, რომ დასავლეთისგან თქვენ გვერდით უხვევთ. ამის წარმოდგენა ჩემთვის შეუძლებელია. არ ვიცი, არ შემიძლია, უბრალოდ ჩემი წარმოსახვის საზღვრებს სცდება იმის გაგება, რომ ქვეყანა, რომელმაც ასე მტკიცედ იბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, სირთულეების მიუხედავად, სხვა პოტენციური გზის ძიებას დაიწყებს“.

ხინთონის ჰონიტიხუი ბზაჰნიღუბი

ინტერვიუ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან,
გიგა ზოკერიასთან



ფოტო: ლევან ნინიშვილი

ობამას ადმინისტრაციის კრიტიკოსები აცხადებდნენ, რომ ამერიკა-რუსეთის ე.წ. „გადატვირთვის“ პოლიტიკას ამერიკის მოკავშირე პატარა ქვეყნების ინტერესები შეენიერებოდა. გაცა თუ არა დამაჯერებელი პასუხი ამ ეჭვებს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტმა?

არსებული ადმინისტრაციის პოლიტიკის კრიტიკა ნორმალური მოვლენაა ყველა თავისუფალ ქვეყანაში. არ ვაპირებ შეერთებული შტატების შიდა დისკუსიაში ჩაბმას. ჩვენ არასდროს მიგვაჩნდა, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობებს საქართველოს ინტერესები შეენიერებოდა.

თუმცა, თუ თავიდან იყო რაიმე გაურკვეველობა და გადატვირთვისთან დაკავშირებით კითხვები არსებობდა, ჩვენთვის საკმაოდ მალე გახდა მეტ-ნაკლებად ნათელი აშშ-ს პოლიტიკის კონტურები. ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს პრეზიდენტი ობამა მოსკოვში ჩავიდა და იქ ხაზგასმით ისაუბრა საქართველოზე და იმ საკითხებზე, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამას მოჰყვა ვიდეო-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ვიზიტი თბილისში, სადაც მან, ასევე ყოველგვარი ბუნდოვანების გარეშე, გააკეთა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილები.

ანუ ობამას ადმინისტრაციის პოლი-

■ როცა არსებობს სპეკულაციები ობამას ადმინისტრაციის მხარდაჭერის თემაზე, საჭიროა ამ კითხვაზე მუდმივად პასუხის გაცემა და სახელმწიფო მდივანმა, ჩემი აზრით, ეს ძალიან ეფექტურად შეძლო.

ტიკა საქართველოსთან მიმართებაში დღეს არ დანყებულა. თუმცა, ცხადია, ნებისმიერი თანამშრომლობა ერთხელ გაკეთებული განცხადება არ არის. ის უნდა გრძელდებოდეს; მით უმეტეს, როცა არსებობს სპეკულაციები ობამას ადმინისტრაციის მხარდაჭერის თემაზე, საჭიროა ამ კითხვაზე მუდმივად პასუხის გაცემა და სახელმწიფო მდივანმა, ჩემი აზრით, ეს ძალიან ეფექტურად შეძლო.

ერთ რამეს მივაქცევდი ყურადღებას – თუ რა დეტალურად ისაუბრა სახელმწიფო მდივანმა, მაგალითად, ჟენევის მოლაპარაკებების შესახებ. გაეცა პასუხი სპეკულაციებს იმ თემაზეც, რომ აშშ-ს არ აინტერესებს და არ არის ჩართული მოლაპარაკებათა ამ ფორმატში.

სახელმწიფო მდივნის ასეთი ჩართულობა ჟენევის პროცესში, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით მისი ცალსახა დეფინიციები რა გავლენას იქონიებს ჟენევის მოლაპარაკებებზე?

ჟენევის მოლაპარაკებებში სერიოზული პრობლემები არსებობს მოსკოვის უაღრესად არაკონსტრუქციული პოზიციის გამო. ეს პრობლემები ალბათ გაგრძელდება. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს მთავარ პარტნიორს – აშშ-ს მყარი პოზიცია აქვს და კარგად არის გარკვეული საკითხში. კლინტონმა მოახერხა ამ ჩართულობის მკაფიოდ დემონსტრირება.

პუტინი მყისიერად გამოეხმაურა კლინტონის მიერ თბილისში გაკეთებულ განცხადებებს. პოლიტიკური მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ რუსეთის პრემიერი შედარებით თავშეკავებული იყო, როცა კლინტონის განცხადებას აკრიტიკებდა.

პოლიტიკური მიმომხილველი არ ვარ, მაგრამ შემიძლია მივცე თავს უფლება და ვთქვა, რომ პუტინის ტრადიციულად ცინიკური განცხადება ძალიან თავდაცვითი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთი არ არის ჩრდილოეთი კორეა, რომელსაც არ ალღევენ, თუ როგორ მიიღებს დანარჩენი

მსოფლიო იმას, რასაც ის აკეთებს. რუსეთს სურს, რომ ის, რაც მან საქართველოში ჩაიდინა, მსოფლიომ მიიღოს როგორც რესპექტაბელური მდგომარეობა.

ბუნებრივია, ისეთი ქვეყნის ცალსახა პოზიცია, როგორიცაა აშშ, ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, მათ შორის ისეთი ცინიკური ხელმძღვანელობისთვისაც კი, რომელსაც დღეს კრემლში ვხედავთ.

აშშ-ს პოზიცია იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ შეიძლება საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში გარკვეული ცვლილებები მოხდეს?

მყისიერად არა. ამის არანაირი ნინაპირობა დღეს არ არსებობს. ჩვენი სურვილია რუსეთთან ცივილიზებული ურთიერთობები ჩამოყალიბდეს. საბოლოო ჯამში ამ ურთიერთობების ნორმალიზება მოხდება მაშინ, როდესაც კრემლის სტრატეგიული ამოცანა ფუნდამენტურად შეიცვლება. დღეს მათი სტრატეგიული ამოცანაა საქართველოს სუვერენიტეტის მოსპობა.

ამ საკითხში მოსკოვის პოზიციის შეცვლას მნიშვნელოვნად გააადვილებს, თუკი ამ ამოცანის მიღწევა მისთვის რთული, შეუძლებელი გახდება. საჭიროა ჩვენი საზოგადოების მზადყოფნა ამ გრძელვადიან, მტკიცე და თანმიმდევრულ ბრძოლაში ჩასაბმელად. გვჭირდება ასევე მთავარი პარტნიორების მხარდაჭერა, როგორც რუსეთის აგრესიის მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორი. ეს მოკლევადიანი პროცესი არ იქნება. მოხარული ვიქნები, თუ ვცდები.

მანამდე რუსეთთან ტექნიკურ საკითხებზეც არ ღირს საუბარი? – მაგალითად, ვიზების გაცემის განახლება, საჰაერო მიმოსვლის აღდგენა.

ვიზების გაცემა ჩვენ არ შეგვინყვეტია და ჩვენ ვერ განვაახლებთ. იგივე ენება საჰაერო მიმოსვლას. ცხადია, თუ რუსეთი მეორეხარისხოვანი საკითხების მოგვარებაზე წამოვა, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით. თუმცა, აქ არ უნდა

დაგვაინყვეტოს მთავარი – ამ ნაბიჯებმა, თუმცა ჯერ არც ეს ჩანს, არ უნდა გადაფაროს ფუნდამენტური პრობლემები. არც ჩვენ უნდა მოვიტყუოთ თავი და არც საერთაშორისო პარტნიორებს უნდა მივცეთ ამის უფლება. 90-იან წლებში ჩვენ დავივინყეთ, რომ რუსეთთან ფუნდამენტური პრობლემები გვქონდა, მაგრამ ამ პრობლემებმა ახალი ძალით იჩინა თავი და ეს მუდმივად ასე იქნება. ჩვენ და რუსეთის სხვა მეზობლებსაც ერთი და იგივე პრობლემა გვაქვს – მოსკოვის მხრიდან თავისი მეზობლების სუვერენიტეტის ფუნდამენტური მიუღებლობა.

სახელმწიფო მდივნის ვიზიტის დროს იყო თუ არა საუბარი ამერიკელ პარტნიორებთან იმ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომლებიც ქვეყანაში იგეგმება და რა რეკომენდაციები მიიღო?

რეფორმებთან, მათ შორის საკონსტიტუციო რეფორმებთან დაკავშირებით მუდმივად ხდება ჩვენი პარტნიორების ინფორმირება. აქ არავითარი საიდუმლო არ არის. ისეთი ურთიერთობა არ გვაქვს, რომ რაიმე საკითხზე მყისიერად მივიღოთ რეკომენდაცია ჩვენი მთავარი პარტნიორისგან.

ზოგადად, ჩვენი პარტნიორები, ისევე როგორც მთელი ჩვენი საზოგადოება, ხელისუფლება და, მე ვთვლი, რომ პოლიტიკური სექტორის დიდი ნაწილიც, მიიჩნევენ, რომ საქართველოს შემდგომი სვლა სტაბილური, ლიბერალური დემოკრატიისკენ საკონსტიტუციო რეფორმასაც გულისხმობს. ახალი მოდელი იქნება უფრო დაბალანსებული, ვიდრე აქამდე. ეს რაიმე რეკოლუციური აღმოჩენა არ არის. ამაზე, დიდი ხანია, მიღწეულია კონსენსუსი. კონკრეტული დეტალების განხილვა არც ერთი ჩვენი პარტნიორის საქმე არ არის. ბუნებრივია, ვენეციის კომისია მოგვცემს დეტალებზე მნიშვნელოვან რეკომენდაციებს, თუმცა ამ შემთხვევაშიც, საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოში მიიღება. სწორედ ამიტომ ჰქვია საქართველოს სუვერენული ქვეყანა. **■**

ესაუბრა სოფო ბუკია

მთავარი თემა

ხაინხოვის ვიზიტის ხაზი



ჰილარი კლინტონის ვიზიტმა ცხადყო, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ შეიმუშავა მკაფიო პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

ირაკლი ალასანია, „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატიების“ ლიდერი

ჰილარი კლინტონის ვიზიტი მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოსა და ამერიკის ორმხრივი სტრატეგიული ურთიერთობისთვის, არამედ – მთლიანად რეგიონისთვისაც. ამერიკის მხრიდან ეს იყო სტრატეგიული პარტნიორობის ერთგულუბის კიდევ ერთი დადასტურება. ჩემი გადმოსახედიდან ამ ვიზიტს ორი ძირითადი დატვირთვა ჰქონდა.

ერთი – ნათელი გახდა, რომ ამერიკის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, რუსეთთან დაწყებული ახალი ურთიერთობის მიუხედავად, არ იცვლება; პირიქით, გადატვირთვის პოლიტიკა ხელს შეუწყობს საქართველო-ამერიკის სტრატეგიული ურთიერთობების კიდევ უფრო გამყარებას. საქართველო არ იქნება მიტოვებული და გაცვლილი. ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების ხარჯზე არ დარეგულირდება რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ყველა განცხადება, მათ შორის ბარაკ ობამას განცხადება მოსკოვში ვიზიტისას, სწორედ ამ პოლიტიკურ ხაზს მიჰყვება.

მეორე – უკვე გამოჩნდა, რომ ამერიკამ შეიმუშავა პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. იყო ეჭვი, რომ ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში ჩამოყალიბებულა, კონკრეტულად ვგულისხმობ შიდა პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით მათ პოზიციას.

დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა, საქართველოში საარჩევნო გარემოს შეცვლა და საქართველოს მომზადება მომავალი არჩევნებისთვის არის ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მთავარი ამოცანა. ქალბატონი ჰილარი დაგვირბა, რომ მომავალი არჩევნებისთვის სოლიდური დახმარება გამოიყოფა საქართველოში საარჩევნო

გარემოსთვის ობობრივად შესაცვლელად. ეს იქნება არა კონკრეტული პარტიის ან ოპოზიციისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის განეული დახმარება.

ადგილობრივმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ქართული საარჩევნო გარემო შორს დგას დემოკრატიული სტანდარტებისგან. რა თქმა უნდა, ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი, რადგან კანდიდატები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ინტელექტუალურად, სხვადასხვა თემის გარშემო და ეს იყო სწორი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრების პირველი ნაბიჯი. თუმცა,

კლინტონთან ვისაუბრეთ იმაზე, რომ საქართველო არ არის რუსეთი და სააკაშვილი არ არის პუტინი, ამიტომ პუტინიზაციის გეგმა არ იმუშავებს.

იყო ბევრი ხარვეზი.

გამიხარდა, რომ ქალბატონი კლინტონისა და ამერიკის ადმინისტრაციის შემოთავაზება ჩემს სამომავლო გეგმებს დაემთხვა. დიდი ხანია ვამბობ, რომ ჩემთვის პრიორიტეტია პოლიტიკური ორგანიზაციის, პარტიის ჩამოყალიბება, მისი სტრუქტურების გაძლიერება და ამ კუთხითაც, ოპოზიციის პარტიული მშენებლობისთვის, ამერიკა მიზანმიმართულ დახმარებას გამოყოფს.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო აქცენტი საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მზადდება. ჰილარი კლინტონთან ვისაუბრეთ იმაზე, რომ საქართველო არ არის რუსეთი და სააკაშვილი არ არის პუტინი, ამიტომ პუტინიზაციის გეგმა არ იმუშავებს. როგორც

ქართული საზოგადოებისთვის, ისე ჩვენი პარტნიორობისთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელია სქემა, რომ სააკაშვილმა მოიგოს კონსტიტუცია ისე, რომ შემდეგ სხვა ფორმით გააგრძელოს ხელისუფლებაში ყოფნა.

სახელმწიფო მდივანმა ყურადღება გაამახვილა სტრატეგიული თანამშრომლობის თითქმის ყველა სფეროზე და მათ შორის უსაფრთხოებაზე. ვილაპარაკეთ რეგიონულ უსაფრთხოებაზე, იმ ვითარებაზე, რაც არის შექმნილი ოკუპირებულ ტერიტორიებზე. საქართველოს ამერიკის მხრიდან უსაფრთხოების გარანტიების შექმნის თვალსაზრისით მყარი მხარდაჭერა ექნება.

თავისთავად ტერმინი, რომელიც ახლა იწყებს დამკვიდრებას – „ოკუპირებული ტერიტორია“ – როგორც ამერიკელ პოლიტიკოსებში, ასევე, დიდი იმედი გვაქვს, ევროპელ პოლიტიკოსებსა და საგარეო პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებშიც – კიდევ ერთი ელემენტია, რაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის

არალიარების პოლიტიკას გამაყარებს. არ გვაქვს ილუზია, რომ უახლოეს პერიოდში რაიმე ცვლილება მოხდება ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში, მაგრამ ეს არალიარების პოლიტიკა იმისთვის გვჭირდება, რომ ვითარება იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ოკუპირებულად ითვლება, მთელი მსოფლიოს მიერ ადეკვატურად შეფასდეს, შემდეგ კი უკვე ნაბიჯების გადადგმა დაიწყოს.

მთავარია, რომ ეს მოლაპარაკებები შესრულდეს და კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას. რამდენიმე დღეში ცვლილებებს ვერ ვიგონებთ, მაგრამ ღრმად მწამს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მომავლის და იმის, რაზეც ქალბატონი კლინტონთან ვილაპარაკეთ. **■**

თვალსაზრისი

ისევ ვახსიან ჰიბიანშის საქართველო



შეიცვალა თუ არა საქართველოში ქალების მდგომარეობა მე-5 საუკუნის შემდეგ? ნაკლებად.

ანა დოლიძე

„ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მათა და დედათა ერთად ეჭამათ პური?“ – ამბობს განრისხებული ვარსკენი „შუმანიკის ნამებაში“.

2010 წლის 5 ივლისს ჰილარი კლინტონთან შესახვედრად 140-მდე ქალი შეიკრიბა. სხვა დელეგაციების და უცხოური სტუმრების ვიზიტებისაგან განსხვავებით, ეს შეხვედრა სპეციალურად მხოლოდ ქალებისთვის მოეწყო. თუმცა, შეხვედრის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან ირკვევა, რომ მონაწილეთა შორის არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ქალებისათვის ყველაზე საჭირობო პრობლემას წამოჭრიდა და იტყოდა, რომ საქართველოში ქალებს უთანასწოროდ ეპყრობიან.

ამის ნაცვლად, ლიდერმა ქალებმა ყურადღება გაამახვილეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობების განახლებასა და ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე.

ეს საკითხები, ცხადია, უმნიშვნელო არ არის. თუმცა, საზოგადოებრივი სივრცე ამ თემებით ისედაც გაჯერებულია, ოღონდ – მხოლოდ მამაკაცთა მხრიდან. ჟურნალ „სოლიდარობის“ 35-ე ნომერში გამოქვეყნებული, ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა ცხადდყოფს, რომ სახელმწიფო და კერძო ტელევიზიების პოპულარულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში სტუმართა 2/3-ზე მეტი მამაკაცია.

გამოდის, რომ ვარსკენ პიტიახშის სიტყვები საქართველოში კვლავაც აქტუალურია. მამაკაცები და ქალები იკრიბებიან და საუბრობენ ერთსა და იმავე საკითხებზე, მხოლოდ ამას ცალ-ცალკე აკეთებენ.

საქართველოში პოზიციის საჯაროდ გამოხატვისა და გადანყვებილების მიღების მნიშვნელოვან უპირატესობას მამაკაცები ფლობენ. არადა, სწორედ ქალების საჯარო სფეროში მეტი ჩართვით მივალწვეთ იმ მდგომარეობას, როცა უცხოელ სტუმრებთან ქალთა შეხვედრების გამართვა საჭირო აღარ იქნება. ქალებისთვის მხოლოდ უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნით მივალწვეთ იმას, რომ მნიშვნელოვან შეხვედრებზე თანაბრად ისმოდეს, როგორც

საჯარო სფეროში ქალების მონაწილეობის ნაკლებობა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული წინააღმდეგობების ბრალია. საქართველოს სახელმწიფო კი მათი მონაწილეობისთვის პირობების შესაქმნელად არაფერს აკეთებს; ხანდახან კი, სხვადასხვა ინტერესისადმი მსხვერპლშენიერვის გამო, მათ მდგომარეობას ამძიმებს კიდევ. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ახალი შრომის კოდექსი ორსული ქალის სამსახურიდან დათხოვნისაგან დამცველ მექანიზმებს არ შეიცავს.

■ მონაწილეთა შორის არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ქალებისათვის ყველაზე საჭირობო პრობლემას წამოჭრიდა და იტყოდა, რომ საქართველოში ქალებს უთანასწოროდ ეპყრობიან.

ჰილარი კლინტონთან მისული 140 წარმატებული ქალის არსებობა ქმნის ცრუ წარმოდგენას, რომ საქართველოში ქალების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. თუმცა, ამ 140 ქალის გარდა, საქართველოში ცხოვრობს ბევრად მეტი მშრომელი და მცოდნე ქალი, რომელიც, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ბარიერების გამო, საჯარო სფეროში ამ

მამაკაცების, ისე ქალების აზრი. ამ მხრივ, საქართველოში სამარცხვინო ვითარებაა.

2002 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ქალია. ქალები მამინაც უმრავლესობაში არიან, როცა უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეებზე მიდგება საქმე. მაგალითად, 2002 წელს საქართველოში იყო უმაღლესი განათლების მქონე 42 ათასი ქალი და 36 ათასი მამაკაცი. სწორედ ამ მაჩვენებლის გამო, მით უფრო სამარცხვინოა ის, რომ საჯარო სფეროში მონაწილე ქალების რაოდენობა ასე მცირეა. 18 მინისტრიდან ჩვენთან ქალი მხოლოდ ორია. პარლამენტის 150 წევრიდან ქალი მხოლოდ რვაა. 2009 წლის მონაცემებით, საქართველოს 40 ელჩიდან მხოლოდ ხუთია ქალბატონი.

დოზით მონაწილეობას ვერაფრით შეძლებს. სწორედ ამიტომ, ჰილარი კლინტონთან შეხვედრაზე მისული ქალბატონების მისია ამ პრობლემებზე საუბარი უნდა ყოფილიყო. მათ უნდა წამოეჭრათ საკითხები, რომელთაც მამაკაცების მიერ მონოპოლიზებულ და განსაზღვრულ სივრცეში ვერსად წააწყდებით. პრობლემები, რომელთა გადაჭრაც შეეძინდა ქალების მდგომარეობის ზოგადი და ძირფესვიანი გაუმჯობესების საშუალებას. და ასევე აღმოფხვრიდა ქალებისათვის ამგვარი „სპეციალური“ შეხვედრების გამართვის საჭიროებას.

მხოლოდ ასე, პრობლემის გამომწვევებისთვის თითოეული საჯარო შესაძლებლობის გამოყენებით თუ მივალწვეთ იმას, რომ 21-ე საუკუნის საქართველოში ვარსკენ პიტიახშის სიტყვები აღარავის გაახსენდეს. ■

ჩრდილოეთი კავკასია

ხაზხასიური პენდუხა

სისხლის ალების წესი დღემდე სამართლის ალტერნატივაა ჩრდილოეთ კავკასიაში.

ლაურა ხასანოვა



ნ ივლისს, კისლოვოდსკოი რუსეთის მთავრობის მეთაურის ვლადიმირ პუტინისა და ინგუშეთის პრეზიდენტის იუნუს-ბეგ ევკუროვის შეხვედრაზე კავკასიური სისხლის ალების წესის თაობაზე მიმდინარეობდა მსჯელობა.

ინგუშეთის პრეზიდენტმა მოახსენა პრემიერს, რომ წინა წელთან შედარებით, ინგუშეთში 157 გადამტყრებული ოჯახის შერიგება მოხერხდა. მან ისიც დასძინა, რომ მოხერხდა მკვლელობისთვის სისხლის ალების გამო-სასყიდის ასი ათასიდან ერთ მილიონ რუბლამდე აწევა. „ასე სისხლის ამღებებს ვებრძვი“, – თქვა მან.

ვლადიმირ პუტინმა თავის მხრივ განაცხადა, რომ „კარგი იქნებოდა თანდათანობით ყველა ამ ტრადიციის მოშლა და ურთიერთობების თანამედროვე მეთოდებით მოგვარება. და საერთოდ, უკეთესია, თუ საქმე კანონის ამგვარ დარღვევამდე არ მივა“.

კავკასიაში სისხლის ალების წესი უძველესი დროიდან არსებობს და დღესაც, 21-ე საუკუნეში კვლავ აქტუალურია. ცხადია, დროთა გან-

მავლობაში სისხლიანი შურისძიების ტრადიციები იცვლება, მაგრამ მათი სრულიად აღმოფხვრისგან ჯერ შორია.

ერთ-ერთი პრობლემა ისიც არის, რომ მოსკოვმა ვერ შექმნა ჩრდილოეთ კავკასიაში ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ამ ადათს ჩაანაცვლებდა.

„სისხლის ალების წესი კავკასიაში, ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის გარდა, ყველგან მოქმედებს. დაღესტანში, ინგუშეთსა და ჩეჩნეთში დღეს, სისხლის ალებისა და შუღლის შეწყვეტის სანაცვლოდ, ფულს იხდიან. ადრე ასე არ იყო“, – ამბობს ემილ სულეიმანოვი, პრადის კარლის უნივერსიტეტის რუსეთისა და აღმოსავლეთი ევროპის კვლევათა კათედრის დოქტორი.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ჩეჩნეთში მკვეთრად იმატა სისხლის ალების შემთხვევებმა.

„როდესაც ომი მიმდინარეობს და საყოველთაოდ მიღებული ნორმატიული აქტები არ სრულდება, უადვილესია

■ „სისხლის ალების ადათი გარკვეულწილად შემაკავებელი ფაქტორია. ეს არის წესი, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტების გაუმართაობისა და არარსებობის კომპენსირებას ახდენს.

დამნაშავე უნდა დაისაჯოს – ეს არის მისი მთავარი პოსტულატი. განა ყოველთვის შეუძლია სახელმწიფოს ამის უზრუნველყოფა? მით უფრო კავკასიაში“.

მიაგნო და სამაგიერო გადაუხადო შენს მოსისხლეს. ძველ დროში ყველაზე პატივცემული უხუცესები მოშულართა შერიგებით იყვნენ დაკავებულები. ზოგჯერ ეს პროცედურა წლების განმ-



გამოიწერეთ ჟურნალი ლიბერალი

ბეჭდური ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
22 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
45 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
90 ლარი

PDF ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
13 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
25 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
50 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვანოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge

ვლობაში გრძელდებოდა, ზოგჯერ კი – მთელი თაობების მანძილზეც. ახლა კი ყველაფერი სხვაგვარადაა. მოშულარის პატივსაც არანაკლებ საპატივცემულო საქმედ მიიჩნევა, ვიდრე მისთვის სამაგიეროს გადახდა. ოღონდ დღეს ერთ-მანეთს თითქმის აღარ პატიობენ“, – ამბობს სულიემანოვი.

ჩეჩნეთში იშვიათად მოიძებნება ოჯახი, რომელსაც შორეულ წარსულში მაინც არ შეჭებია სისხლის ალების ადათი.

ჩეჩენი ქალი სელიმატი ჰყვება, რომ სისხლის ალების წესი მის ბაბუას შეეხო, რომელმაც ჩხუბის დროს თანასოფლელი მოკლა. „მამაჩემი იხსენებდა, რომ დღემდე ესმის ჭიშკრის გალების ხმა და მეზობლის ხმა „თავს გაუფრთხილდით, ჩვენ ამიერიდან თქვენი მოსისხლე მტრები ვართ“. ტრადიციისამებრ, ბაბუა ხალიჩაში გაახვიეს. ჩვენთან ასეა მიღებული, როდესაც ადამიანს ასაფლავებენ; და უხუცესებმა ის დაღუპულის ნათესავებს მიუყვანეს როგორც მკვდარი, თან ყველას მუქი ტანისამოსი ეცვა და სახეებიც დაბურული ჰქონდათ. ხალიჩა დაღუპული ვაჟის დედას მიართვეს. თუ ის ხალიჩას გულზე მიიდებდა, ეს ნიშნავდა, რომ მან აპატია. და თუ არ მიუახლოვდებოდა, ესე იგი – სისხლის ალება უნდა მომხდარიყო“.

სელიმატის ბაბუას არ აპატიეს. ამიტომაც მთელ მათ ოჯახს სოფლის მიტოვება და გადასახლება მოუხდა. მათ იმ სოფელში ჩასვლა საერთოდ ეკრძალებოდათ. ბაბუას სამი ძმა სხვადასხვა სოფელში დასახლდა, მოსისხლეებს რომ არ მიეგნოთ. თავად ბაბუა კი გადაიკარგა, მერე არავის უნახავს.

ტუჰან ე. ჩეჩნეთში ცხოვრობს. მისი შვილი თავისმა მეგობარმა 2008 წელს მოკლა. „არ ვჩქარობდი ჩემი შვილის მკვლეელი მოსისხლე მტრად გამომეცხადებინა და ეს მხოლოდ მას შემდეგ გავაკეთე, რაც მიეხვედი, რომ ის ჩადენილ დანაშაულს არ ნანობდა. ერთი წლის შემდეგ ჩემმა უფროსმა ვაჟმა მოკლა ჩემი შვილის მკვლეელი“, – ჰყვება იგი.

ამ ადათებში ოფიციალური კანონების ადგილი არ არის. საბჭოთა დროსაც კი არც სასამართლო, არც ციხე არ იხსნიდა მკვლელს დევნიდან. თუ დამნაშავეს ვერ პოულობენ, მის ნათესავებს ერჩიან. თუ მამაკაცები არ დარჩნენ, შურისძიების უფლება ქალზე გადადის – ცოლზე, დაზე, შვილზე.

სისხლისღვრის შეჩერება ზოგჯერ მაშინ შეიძლება, თუ მკვლეელი ინანიებს დანაშაულს და თან საქმეში გამოცდილი მომრიგებლები არიან ჩართულები.

მაულდინ სალგერევის თანამდებობას ასე ჰქვია – მოსისხლე მტერთა მომრიგებელი. იგი ჰყვება, თუ როგორ მიმდინარეობს შერიგების პროცესი: დათქმულ დროს ძაძებში ჩაცმული დამნაშავის ნათესავები მიდიან მოკლულის სახლში. დამნაშავეს, გლოვის ნიშნად, წვერი უნდა ჰქონდეს მოშვებული, სახეზე და ტანზე კი ლაბადა ჰქონდეს მოხვეული. მხარეები ლოცვებს კითხულობენ. თუ დამნაშავეს აპატიეს, მაშინ დაღუპულის ნათესავმა მას წვერი და თავი უნდა გაპარსოს. ეს პატიების სიმბოლოა. პატიების შემდეგ დამნაშავე პირობას დებს, რომ მთელი ცხოვრება დაეხმარება მოკლულის ოჯახს.

ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ასობით ოჯახი ცხოვრობს სისხლის ალების ტრადიციით. ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში მხოლოდ ერთეული შემთხვევებია. რაც შეეხება ჩრდილოეთ ოსეთს, აქ შუღლის ნიადაგზე მკვლელობა, უკვე ათწლეულებია, აღარ ყოფილა, თუმცა ეს ტრადიცია კარგად ახსოვთ.

„სისხლის ალების ადათი გარკვეულწილად შემკაცვებელი ფაქტორია. ეს არის წესი, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტების გაუმართაობისა და არარსებობის კომპენსირებას ახდენს. დამნაშავე უნდა დაისაჯოს – ეს არის მისი მთავარი პოსტულატი. განა ყოველთვის შეუძლია სახელმწიფოს ამის უზრუნველყოფა? მით უფრო კავკასიაში“... – ამბობს სალგერევი.

სამხრეთი ოსეთი

სამხრეთ ოსეთის ახალი ეხა

სამხრეთი ოსეთი ბოლო ოცი წლის მანძილზე დამკვიდრებულ პოლიტიკურ ტრადიციასთან განშორების ტკივილს განიცდის.

მურატ გუკემუხოვი, ცხინვალი



ედუარდ კოკოითი დაცვის წევრების თანხლებით

ივლისის დასაწყისში სამხრეთ ოსეთის მმართველი პარტიის „ედინსტვოს“ მესამე იდეოლოგია ჩატარდა. სახელისუფლო პარტიის წარმომადგენელთა განცხადებით, ყრილობა ისტორიული იყო, რადგან დაიწყო სამხრეთი ოსეთის უახლესი ისტორიის მეორე ეტაპი. „რუსეთის ფედერაციის მიერ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებით დაიწყო – მშვიდობიანი, აღმშენებლობისა და შრომის ეტაპი ქვეყნის განვითარებისა და დემოკრატიული ქვეყნის ასაშენებლად“, – ითქვა ყრილობაზე.

დემოკრატიის იდეალებისადმი ერთგულება გამოავლინა სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ – თავის გამოსვლაში მან განაცხადა, რომ არ აპირებს რესპუბლიკის კონსტიტუციის შეცვლას და მესამე საპრეზიდენტო ვადით კენჭისყრას.

ამავე დროს მას არ უთქვამს, რომ ქვეყნის პოლიტიკიდან მიდის. პირიქით, ამავე ყრილობაზე მან თავისი მომავალი „თანამდებობის“ კონტურები მოხაზა. მან მოუწო-

და საზოგადოებას, პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებს, მიუხედავად მათი პოლიტიკური პლატფორმებისა და შეხედულებებისა, ყველაფერი გადადონ და ერის საკეთილდღეოდ კონსოლიდირება მოახერხონ.

ამკარაა, რომ კოკოითი პუტინის მაგალითითაა შთაგონებული და კონსოლიდირებული ერის სათავეში სწორედ საკუთარ თავს, როგორც ერის ლიდერს ისე ხედავს.

„ჩვენ ყველაზე მთავარს მივალნიეთ – გამარჯვებას, სახელმწიფოებრიობა ძვირად დავვიჯდა, – განაცხადა პრეზიდენტმა კოკოითიმ, – დღეს კი წინ უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული ამოცანები გვაქვს, და ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ ჩვენი დანაკარგი და განსაცდელი ამაო არ აღმოჩნდეს“.

ყრილობამ და კოკოითის ინიციატივებმა საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია.

ოპოზიციას მიაჩნია, რომ პრეზიდენტის განცხადება კონსტიტუციის ხელშეუხე-

ბლობის შესახებ ემპაკურია – კონსტიტუცია სწორედაც უნდა შეიცვალოს, რომ რესპუბლიკა ავტორიტარიზმისგან დაცული იყოს.

საქმე ისაა, რომ სამხრეთი ოსეთის კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატი არანაკლებ 10 წლის მანძილზე მუდმივად უნდა იყოს რესპუბლიკაში ნაცხოვრები, ვიდრე საკუთარ კანდიდატურას უმაღლეს თანამდებობაზე წარადგენდეს.

ეს კი მკვეთრად ამცირებს პრეტენდენტთა რაოდენობას და პრეზიდენტის სავარძელს თითქმის უთავისუფლებს ედუარდ კოკოითის გუნდის წევრებს.

სამხრეთი ოსეთის სამივე მმართველის პერიოდში რესპუბლიკიდან მეთოდურად იდეენებოდა ოპოზიციის, ზოგჯერ კი ფიზიკურადაც ნადგურდებოდა. საბოლოოდ კი ხელისუფლების რეალურ ოპონენტთა შორის სამხრეთ ოსეთში არ დარჩა არც ერთი ქარიზმული და გავლენიანი ლიდერი, რომელიც კანონიერად შეძლებდა პრეზიდენტობის კანდიდატად თავის წარდგენას.

ეს სიტუაცია კოკოითის ერთპიროვნული ნების შედეგი არ ყოფილა. ეს ყველაფერი 20 წლის განმავლობაში გროვდებოდა – როგორც საქართველოსთან კონფლიქტის შედეგი.

არაღიარებული რესპუბლიკის მცხოვრებთა სასოწარკვეთილმა მდგომარეობამ, კონფლიქტის საომარ მდგომარეობად ქცევის მუდმივმა საშიშროებამ და რუსეთის მხრიდან რეალური დახმარების არარსებობამ, საჭირო გახადა ხელისუფლებისა და საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია.

ამ სიტუაციაში ნებისმიერი განსხვავებული აზრი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთობის შერყევის მუქარად აღიქმებოდა და ლამის ლალატს უთანაბრდებოდა.

ოპოზიციური პარტია „ირონის“ პოლიტიკურად წყვეტს, ტიმურ ცხურბატის თქმით, „სამხრეთი ოსეთის ხელისუფლება ოსტატურად იყენებდა საქართველოს ფაქტორს – ყველას, ვინც ხელისუფლებას ოპოზიციამ ჩაუდგებოდა, საქართველოს აგენტს არქმევდნენ“.

ოსი სამართალდამცავის ვისარიონ ოსევის აზრით: „ადამიანებს იმის კი არ ეშინოდათ, რომ განსხვავებული აზრის გამოთქმისთვის ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ, უფრო იმას განიცდიდნენ, საზოგადოების თვალში მოღალატეებად არ გამოჩნდიყვნენ. საბოლოოდ კი ამან დემოკრატიული პრინციპების ნებაყოფლობითი უარყოფა გამოიწვია, რაც ნებაყოფლობითი ავტორიტარიზმით დასრულდა“.

ადამიანებს საომარი დროისთვის დამახასიათებელი ფასულებები გაუჩნდათ. ისინი, ვინც საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობდნენ, ანდა კომფორტული ცხოვრების ძიებაში დატოვეს რესპუბლიკა, დარჩენილთა თვალში ავტორიტეტსა და კარიერის გაკეთების უფლებას კარგავდნენ. ამგვარი საზოგადოებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთი ოსეთის გარე სამყაროსგან მოწყვეტამაც. ადამიანებმა აქ დიდწილად შეინარჩუნეს საბჭოთა მენტალიტეტი.

„რას წარმოადგენს, რომ ჩვენი მმართველი გახდეს? ამდენ ხანს სად იყო“, – სამხრეთ ოსეთში ამ ფრაზას ხშირად გაიგონებთ. ამიტომ „ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების ცენზის“ შესახებ კანონის მიღება სამხრეთი ოსეთის მოქალაქეთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა, იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა დროს რესპუბლიკის დატოვება ბევრი პატივცემული წარსულის მქონე ლიდერს მოუხდა. ახლა ეს მსოფლმხედველობა რესპუბლიკის განვითარებას უშლის ხელს.

2008 წლის ომის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. რესპუბლიკაში ჩამოყალიბება დაიწყო შიდა ოპოზიციამ. მანამდე ოპოზიციის წარმოდგენილი იყო სამხრეთი ოსეთის გარეთ, ცალკეული პირების სახით, რომლებიც პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის პირადად მტრობდნენ.

სამხრეთი ოსეთის პარლამენტის დეპუტატი, პარტია „ედინსტვოს“ წევრი, ამირან

დიაკონოვი შიდა ოპოზიციის გამოჩენას კოკოითის მიერ 2008 წლის ომის შემდეგ აღდგენითი სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხების მითვისებას უკავშირებს: „რესპუბლიკას ჰქონდა შანსი, საკუთარი ეკონომიკა და სოციალური სფერო პრინციპულად ახალ დონეზე აეყვანა. თუმცა, რესპუბლიკის ინტერესები ცალკეული რუსი ჩინოვნიკების მოქრთამვას ანაცვალებს, რომლებიც ბიუჯეტის დატაცებაში დაოსტატდნენ“.

რესპუბლიკას, რომელშიც მუდმივი მოსახლეობა 35-40 ათას ადამიანს შეადგენს, რუსეთმა აღდგენითი სამუშაოებისთვის 1 მილიარდი ამერიკული დოლარი გამოუყო.

თუმცა, ომიდან 2 წლის თავზე დამწვარი 400 სახლიდან აღდგენილია მხოლოდ 60 სახლი. ცხინვალში დღემდე არ არის უზრუნველყოფილი წყლისა და ელექტროენერჯის შეუფერხებელი მიწოდება. სამაგიეროდ, მაღალ დონეზე გარემონტებული რკინიგზის სადგური, თუმცა რესპუბლიკაში რკინიგზა არ არის. სამხრეთი ოსეთის ფისკალური ორგანოების წარმომადგენლის თქმით, რომელიც ანონიმურად გვესაუბრა, საშუალოდ, რუსეთის მიერ გამოყოფილი ერთი რუბლიდან, რეალურად საქმეს 30 კაპიკიც არ მოხმარდა, დანარჩენი – მოიპარეს.

ტიმურ ცხურბატი საზოგადოებაში საპროტესტო განწყობის ზრდას 2008 წლის აგვისტოს ომსაც უკავშირებს, თუმცა, მისი აზრით, სხვა მიზეზებიც არსებობდა: „პრეზიდენტმა ომის დაწყების წინ საომარი მდგომარეობა არ გამოაცხადა; მეტიც, მან პირადად გაუშვა ადამიანები სახლებში, რის გამოც, ბევრმა იარაღის მიღება ვერ შეძლო. 7-დან 8 აგვისტოს ღამით ცხინვალის თავდაცვა არ იყო ორგანიზებული. ჩვენ ეს მიზეზი სააკაშვილის ხრიკის შედეგი გვგონა, რომელმაც წინა დღეს კონფლიქტის ზონაში ძალის გამოუყენებლობაზე ილაპარაკა. მაგრამ, ომიდან ერთი თვის შემდეგ სამხრეთი ოსეთის „კაგებეს“ უფროსმა, გენერალმა ატოევმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ქართული ჯარის შემოსვლამდე 4 საათით ადრე მათთვის ცნობილი იყო მოსალოდნელი საომარი მოქმედებების შესახებ“.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რესპუბლიკის მეთაური იმაში დაადანაშაულეს, რომ მან ვერ შეძლო ცხინვალის

თავდაცვის უზრუნველყოფა – სამხრეთი ოსეთის ისტორიაში ოცი წლის მანძილზე ხელისუფლების სინმინდე პირველად შეიბლალა.


ნებისმიერ შემთხვევაში, 2008 წლის შემდეგ ომის საშიშროება შემცირდა, შესაბამისად, გაქრა საზოგადოებისა და ხელისუფლების კონსოლიდაციის აუცილებლობაც. ხელისუფლებისთვის ახალი შეკითხვების დასმის დრო დადგა.

ადამიანები კორუფციის პრობლემებით, კანონების და სამოქალაქო უფლებების არასრულყოფილებით, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობით და ბევრი სხვა საკითხით დაინტერესდნენ.

მთავრობის სახლთან მიტინგებისა და პიკეტების გამართვა, სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება და ხელისუფლები-სადმი, არა მატერიალური, არამედ ფასულობითი პრეტენზიების გაჩენა სამხრეთ ოსეთში სიახლეა. დღეს ადამიანებს არათუ აღარ ერიდებთ ხელისუფლების სანინაალმდეგ აზრების გამოთქმას, არამედ ამაზე წერენ კიდევც.

მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა დამცველის ვისარიონ ოსევის აზრით, ხელისუფლებას არ აწყობს იმ კომფორტული მდგომარეობის დათმობა, რის გარანტიასაც მას ქართული მუქარა აძლევდა. დღეს, 2008 წლის შემდეგ, როცა ყველაფერი ძალიან შეიცვალა, კოკოითი ველარ შეძლებს საზოგადოების გაერთიანებას ქართული საფრთხის წინააღმდეგ. ამ ხელისუფლებისა და საზოგადოების შემდგომი კონსოლიდაცია სამხრეთი ოსეთისთვის დამლუხველია. ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რომ ახლა სხვა დროა – სამხრეთ ოსეთს ახალი პოლიტიკური ტრადიციის ჩამოყალიბების ხანგრძლივი და მტკიცეული პერიოდი დაუდგა. 

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოსხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

სამართალი

ნანამები პატიმრები სხასბუხბში ჩივიან

ოთხი წლის წინ პატიმრების ცემის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დღემდე არავინ დაკითხულა დაზარალებულთა გარდა.

ნინო თოფურიძე



2010 წლის 8 მარტს, სახალხო დამცველის თანამშრომლებს რუსთავის მეორე მკაცრი რეჟიმის კოლონიის პატიმარმა რუდიკ ოვაკიმიანმა მიმართა. იგი ჩიოდა, რომ ციხის ადმინისტრაციამ სცემა.

„ოვაკიმიანს სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები, მარცხენა თვალზე სილურჯე, სინითლე მუცლის არეში, მსჯავრდებულს აწუხებდა მრავალმხრივი ტკივილი“, – სახალხო დამცველმა გიორგი ტულუშმა, მთავარ პროკურორს, მურთაზ ზოდელავას, პატიმრის ცემის ფაქტზე რეაგირების

სათვის მიმართა.

რუდიკ ოვაკიმიანის და კიდევ ერთი პატიმრის – იმედა ბუთხუზის წამების ფაქტზე გამოძიება ჯერ კიდევ 2006 დაიწყო. საქმე 333-ე მუხლით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებით აღიძრა, მაგრამ იმ დროიდან მოყოლებული საქმე წინ არ წაწეულა. პატიმრები სტრასბურგის სასამართლოში აპირებენ ჩივილს.

იმედა ბუთხუზი, 2005 წლის 2 მარტს, პოლიციამ ყაჩაღობის ბრალდებით დააკავა. სასამართლომ მას 7 წლით თავი-

სუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პატიმარი ორთაჭალის მე-5 საპრობილის 103-ე საკანში მოათავსეს. ორთაჭალის ციხიდან, 2006 წლის მარტში ბუთხუზი, სხვა მრავალ პატიმართან ერთად, რუსთავის №6 საპრობილში გადაიყვანეს. პირველად იგი სწორედ რუსთავის ციხეში ტრანსპორტირებისას სცემეს.

„ციხის მისაღებ ოთახში დამხვდნენ ნილბიანები, ხელკეტებითა და მუშტებით მცემეს. მათ შორის იყო ციხის დირექტორი გიგინეიშვილი. ცემის შედეგად, დამიზიანდა ხერხემალი და თავის არეში სისხლჩაქცევები მქონდა“, – წერს საკუთარ ჩვენებაში იმედა ბუთხუზი.

ცემის შემდგომ, ბუთხუზის მდგომარეობა დამძიმდა. იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს, პატიმარი ექიმმა ასათიანმა მიიღო. ექიმმა პაციენტს წინდანინვე განუმარტა, რომ ცემის ფაქტს მის სამედიცინო ბარათში ვერ შეიტანდა.

„ცემისგან დროებითი დამბლა მქონდა, რადგან ხერხემალი დამიზიანდა, ჩამტვრეული მქონდა გულმკერდის მალეები და თავში ჰემატომა განმეფივთარდა. მიუხედავად ამისა, ექიმმა მითხრა: შენი დიაგნოზი ბარათში რომ შევიტანო, სამსახურიდან მომხსნიან და შეიძლება მე თვითონ მცემონო“, – იხსენებს იმედა ბუთხუზი.

ცემის ფაქტთან დაკავშირებით, პატიმარი სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას დღემდე უშედეგოდ ითხოვს. მას იმედი აქვს, რომ დაზიანებებს ექსპერტიზა გამოავლენს.

2006 წელსვე, ციხის ადმინისტრაცია შეიცვალა, რუსთავის მე-6 საპრობილის უფროსად, სანდრო ხულორდავა დაინიშნა, მის მოადგილეებად კი – გიორგი

ხუხუა და ლაშა ბრეგვაძე. ახალი ადმინისტრაციის მოსვლასვე დაემთხვა ენ ციხის ბუნტი, რომლის დროსაც რამდენიმე პატიმარი დაიღუპა. „24 მარტს, ციხეში ბაჩო ახალაია სპეცრაზმთან ერთად შემოვიდა, პირადად ვარ მონმე, როგორ უმოწყალოდ ჩახოცა პატიმრები. ვნახე პატიმართა გარდაცვლილი გვამები“, – ამტკიცებს ბუთხუზი.

ბუნტის შემდგომ, ციხეში მდგომარეობა გამკაცრდა, საცხოვრებელი პირობები კი გაუარესდა. პატიმრები შეფარვით, თუმცა მაინც გამოთქვამდნენ პრეტენზიას, საკვების, სივინროვისა და ანტისანიტარიის გამო. ტუსალებს არ ჰქონდათ ტელეფონით სარგებლობისა და წერილების გაგზავნის საშუალება. როგორც თავად ამბობენ, ადმინისტრაციის მისამართით საჩივრების გამო პატიმრები ბევრჯერ უცემიათ.

„ოჯახთან 6 თვე არ მქონდა კავშირი – არ იცოდნენ ცოცხალი ვიყავი თუ მკვდარი. ბოლოს ციხის სოციალური სამსახურის უფროსს, ზვიად ზვიადაძეს ვუთხარი, რომ მას ევალეზობდა ოჯახთან დავეკავშირებინე, რაზეც მიპასუხა – „გაჩერდი თორემ, ისედაც ავადმყოფს სამუდამოდ დაგაგადმყოფებო“, – იხსენებს ბუთხუზი.

ბუთხუზი მიიჩნევს, რომ სწორედ ზვიადაძესთან შელაპარაკების გამო ჩამოატარეს იგი შიშველი ციხის დერეფანში და შიშველივე ჩასვეს კარცერში.

კარცერში პატიმრის შიშვლად ჩასმის ფაქტს ადასტურებს იმ დროინდელი სახალხო დამცველი – სოზარ სუბარცი. „2006 წლის 15 ოქტომბერს ომბუდსმენის ოფისის წარმომადგენლები – გიორგი მშვენიერაძე, ოთარ კვაჭაძე, კობა ჩოფლიანი მე-6 საპრობილემო შევიდნენ. მათ ნახეს იმედა ბუთხუზი, რომელიც კარცერში, საცვლების ამარა იჯდა. ეს პირველი შემთხვევა არ იყო. 13 ოქტომბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა კარცერშივე შიშველ მდგომარეობაში ნახეს პატიმარი – ვაჟა გეგენავაც. პატიმრის ტანისამოსი კარცერის გარეთ ეყარა“, – განმარტავს სუბარცი.

პატიმარმა სახალხო დამცველის რწმუნებულებს ციხის ადმინისტრაციის უკანონო ქმედების შესახებ მოუყვა და წერილობითი ჩვენებაც მისცა. ამის შემდგომ

იმედა ბუთხუზი ბაჩო ახალაიამ კაბინეტში დაიბარა.

„მან მკითხა – შენ ხარ იმედა ბუთხუზი? როგორც კი დადებითი პასუხი მიიღო, აყვირდა – მე მიჩივი ბიჭოო?! – და დამინყეს მან და კიდევ სხვებმა ცემა“, – ამბობს პატიმარი.

მანვე გვითხრა, რომ ციხეში თეა თუთბერიძემ მოინახულა. პირისპირ შეხვედრისას თუთბერიძემ პატიმარს მოსთხოვა ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ დაწერილი განცხადების უკან გამოტანა. თანამშრომლობის სანაცვლოდ თუთბერიძე მას პირობების გაუმჯობესებას დაჰპირდა.

იმედა ბუთხუზთან შეხვედრას ადასტურებს თეა თუთბერიძეც, თუმცა უარყოფს, რომ მან პატიმარს რამე შესთავაზა. თუთბერიძე საკანში გაშიშვლებულ სამივე პატიმარს შეხვედრია.

„მე მათთვის არაფერი შემითავაზებია, ეს სრული სიცრუეა. სამივე პატიმარს ცალ-ცალკე ვესაუბრე, მათი ჩვენებები ერთმანეთს არ ემთხვეოდა და, ბუნებრი-

ვია, ეჭვი შევიტანე ფაქტის სიზუსტეში. ვიზუალურად ფიზიკური ძალადობის ნიშნები არ ემჩნეოდათ. მაგრამ თუ ისინი მართლა შიშვლები ჩაატარეს დერეფანში, ეს ნამდვილად ადამიანის უფლების დარღვევაა“, – გვითხრა თუთბერიძემ.

მალე, იმედა ბუთხუზი რუსთავის მე-2 ზონაში გადაიყვანეს. პატიმრის მტკიცებით, ზენოლა აქაც გრძელდებოდა. მისგან სარჩელის გამოტანას და აღიარებითი ჩვენების ვიდეოკამერით ჩანერას მოითხოვდნენ.

„უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გიორგი ხუხუა და მისი თანაშემწე მცემდნენ, მემუქრებოდნენ თუ ჩვენ მოთხოვნას არ შეასრულებ – ოჯახს ამოგიხოცავთო“, – ამბობს ბუთხუზი.

პატიმართა ცემის გამო, პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე 2006 წელს აღძრა, თუმცა ფაქტთან დაკავშირებით, უშუალოდ დაზარალებული პატიმრების გარდა, ჯერ არავინ დაუკითხავთ.

2008 წლის მინურულს სოზარ სუბარ-

■ **„ცემისგან დროებითი დამბლა მქონდა, რადგან ხერხემალი დამიზიანდა, ჩამტვრეული მქონდა გულმკერდის მალეები და თავში ჰემატომა განმივითარდა. მიუხედავად ამისა, ექიმმა მითხრა: შენი, დიაგნოზი ბარათში რომ შევიტანო, სამსახურიდან მომხსნიან და შეიძლება მე თვითონ მცემონო“.**



მა პატიმართა მიმართ №6 საპრობოლის თანამშრომლების სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების საქმესთან დაკავშირებით, პროკურატურისაგან საქმის მსვლელობის დოკუმენტაცია მოითხოვა. თუმცა, სახალხო დამცველს მხოლოდ ის აცნობეს, რომ თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბების მუხლით წინასწარი გამოძიება დაიწყო.

გამოძიებამ, რომელიც ახლაც მიმდინარეობს, მოწმის სტატუსით დაკითხა №6 საპრობოლის პატიმარი რუდიკ ოვაკიმიანი.

რუდიკ ოვაკიმიანი 2005 წელს იხდიდა სასჯელს, რუსთავის №5 საპრობოლში, მოგვიანებით იგი სხვა პატიმართან ერთად, ამავე ციხის №6 კორპუსში გადაიყვანეს. რუდიკ ოვაკიმიანისა და იმედა ბუთხუზის საქმეები ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა.

„საკანი, სადაც შემიყვანეს, 28 კაცზე იყო გათვალისწინებული, მაგრამ 100 კაცი ვიჯექით. საკანს თუნუქის სახურავი ჰქონდა, რის გამოც ზაფხულში ოთახის ტემპერატურა 40 გრადუსამდე აღიოდა, არ ნიავდებოდა, არ მოდიოდა წყალი, საპირფარეო ღია ჰქონდა. საკანში იყო ანტისანიტარია, ტარაკნები, ვირთხები, ბაღლინჯოები. დაგვესია ტილები. გაგვიჩნდა კანის დაავადებები: მუნი, სოკო. არავის ანალვლებდა ჩვენი მკურნალობა. ვიძინებდით მორიგეობით, არ გვექონდა ლეიბები და თეთრეული“, – ამბობს პატიმარი ოვაკიმიანი.

„იმ დროს, ორთაჭალის ციხეებში, ნამდვილად მძიმე მდგომარეობა იყო. 20-კაციანი საკანში 120 ადამიანი იხდიდა სასჯელს. ფანჯრები თუნუქით იყო დაბურული და არსაიდან ნიავდებოდა. საკვების და სამედიცინო მომსახურების დონეც დაბალი გახლდათ. პატიმრებს ან არასწორად მკურნალობდნენ ან საერთოდ არ მკურნალობდნენ, რასაც ხშირად ფატალურ შედეგებამდე მივყავდით“, – ამბობს სუბარი.

„საჩივრის წერილის გამო, 2006 წლის ივლისის ბოლოს, მცემეს, ხულორდავამ, დავით მამუკიძემ, ზურაბ ზვიადაძემ, ორ ადგილზე გამიტყდა თავი და დამიზინდა ხერხემალი. ციხის უფროსის კაბინეტში ამათრიეს, ხულორდავამ მითხრა: აქ მე

ვარ ყველაფერი, ექიმიც, მოსამართლეც, ჯალათიც, როცა ამ დაზიანებებისთვის ექიმს მომთხოვ, მოვალ და ხერხემალს ამოგაცლიო“, – იხსენებს პატიმარი.

აუტანელი პირობების გამო, ოვაკიმიანმა სხვა პატიმრებთან ერთად საჩივრის წერილით სახალხო დამცველს მიმართა. ისინი აპროტესტებდნენ იმასაც, რომ ციხის ტელეფონის გამოსაყენებლად და მონო ბარათების საყიდლად ფულს კორპუსის უფროსს, გიორგი ხულორდავას აძლევდნენ, რომელიც 5-ლარიან მონო ბარათს 20 ლარად ყიდდა.

„ტელეფონით რომ გვესარგებლა, ფული უნდა აგვეგროვებინა. მერე, ამ ფულს ხშირად უბრალოდ გვართმევდნენ, ჩაატარებდნენ ჩხრეკას, ნახავდნენ ფულს, იძახდნენ ენ „ობშიაკის“ ფულიაო და მიჰქონდათ. მერე თანხის აგროვება ისევე თავიდან გვიწვევდა იმისათვის, რომ ოჯახთან დარეკვა შეგვძლებოდა“, – ამბობს ოვაკიმიანი.

ოვაკიმიანის თქმით, იგი იმედა ბუთხუზთან ერთად რამდენჯერმე სასტიკად სცემეს. იგი კარცერში უქმელ-უსმელი 4 დღე ჩასვეს.

„მეოთხე დღეს მივხვდი, მეტს ვეღარ გავძლებდი. ამიტომ დავინყე ყვირილი, რომ ვინმეს ხმა მიენვდინა სახალხო დამცველისათვის. ეს ყველაფერი დავაფიქსირე სახალხო დამცველისთვის გაგზავნილ საჩივარშიც, რის შემდგომ, ციხის უფროსის კაბინეტში გიორგი ხუხუა და ლამა ბრეგვაძე მოკვლით შემუქერებოდნენ“, – განმარტავს რუდიკ ოვაკიმიანი.

იმედა ბუთხუზისა და რუდიკ ოვაკიმიანის საქმეები სახალხო დამცველის 2008 წლის საპარლამენტო მოხსენებაშიც მოხვდა, თუმცა რაიმე სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია.

„საქმე აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, რომელიც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებას გულისხმობს. 2006 წლიდან, გამოძიება ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ, საქმესთან დაკავშირებით არც ერთი ეჭვმიტანილი არ არსებობს. ისინი, ვინც

პატიმრებს სცემდნენ, დღეს ისევე თავიანთ თანამდებობებზე მუშაობენ“, – ამბობს პატიმართა ადვოკატი, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი ნინო ანდრიაშვილი.

ადვოკატის განმარტებითვე, საქმე არამხოლოდ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით, არამედ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამოც უნდა აღეძრათ.

ნინო ანდრიაშვილი: „პირველსავე შუამდგომლობაზე მოვითხოვე, დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა, თუმცა ჩემი მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. არაერთხელ მივმართე მთავარ პროკურორს. თუმცა, პასუხი არ მიმიღია. საქმის გამოძიებულთან შევთანხმდი, რომ ერთად დაგვეკითხა პატიმრები. მას მერე სამი თვე გავიდა, ჯერ არავინ შემომხმინებია. საქმის ასეთი მიზანმიმართული გაჭიანურების გამო, ჩვენ ევროპულ სასამართლოს მივმართავთ“.

„სახალხო დამცველის თანამშრომლები, რომლებმაც უშუალოდ ჩამოართვეს ჩვენები ნაწამებ პატიმრებს, პროკურატურას თხოვდნენ – დაგვეკითხეთო. თუმცა, არ დაკითხეს“, – ამბობს სოზარ სუბარი.

ნიკა ლეგაშვილი, „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ევროპული სამართლის ადვოკატი:

„2006 წლიდან მოყოლებული, გამოძიებას ეჭვმიტანილიც არ ჰყავს. ეს არის გამოძიების განზრახ გაჭიანურება. ასეთ შემთხვევებში კანონმდებლობა გვაძლევს საშუალებას, რომ შიდა ინსტანციების მოვლის გარეშე პირდაპირ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მივმართოთ. ამ უფლების გამოყენებით, წამებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით, ჩვენ ევროსასამართლოში ვიჩივლებთ“.

ციხის თანამშრომლების ნაწილი, რომლებსაც პატიმრები წამების გამო უჩივიან – დანაშაურს, ნაწილი იმავე ციხეში ისევე აგრძელებს საქმიანობას. იმედა ბუთხუზი და რუდიკ ოვაკიმიანი კი კვლავ რუსთავის №6 საპრობოლში იხდიან სასჯელს. □



სტატია მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოში მედიის – როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტის – როლის გაძლიერება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი.

თვალსაზრისი

ინტერნეტის ბანაჟი

სოციალურ მედიას სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში პოტენციურად იმაზე მეტი წვლილის შეტანა შეუძლია, ვიდრე დღეს ვიაზრებთ.



გიორგი ცხადაია

სოციალური ქსელების ქართველ მომხმარებელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. განსაკუთრებით პოპულარულია რუსული „ოდნოკლასნიკი“ და ამერიკული „ფეისბუქი“. „ოდნოკლასნიკი“, „ფეისბუქისგან“ განსხვავებით, ვირტუალურ საჯარო სივრცეს არ ქმნის, რადგან ძირითადად მაინც პირადი კონტაქტებით და ყოფითი თემატიკით შემოიფარგლება. „ფეისბუქი“ კი ნამდვილ ვირტუალურ აგორად იქცა, სადაც ადამიანები ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე მდგარ საჭიროებო პრობლემებზე მსჯელობენ, ჩხუბობენ, ერთმანეთის მიმართ სიმპათიას გამოხატავენ, და პოლიტიკურ მოღვაწეობასაც კი ეწევიან. მაგალითად, „ფეისბუქის“ ერთ-ერთი აქტიური მომხმარებელი, რესპუბლიკური პარტიის წევრი, დავით ზურაბიშვილი თვლის, რომ „ფეისბუქი“ მისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის ალტერნატიული საშუალებაა.

ახალი მედია ტრადიციული, ცენტრალიზებული მედიისგან განსხვავებით (ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები), მაქსიმალურად ბევრი ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას უზრუნველყოფს. ფაქტობრივად, ყველას, ვინც ინტერნეტის ქსელშია ჩართული, საშუალება აქვს, თავისი კომპეტენტური თუ არაკომპეტენტური აზრი საჯარო გახადოს. ამას მნიშვნელოვანი გავლენის

მოსდენა შეუძლია საზოგადოების არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სოციალურ სურათზეც, რადგან საჯარო სივრცე ხდება მაქსიმალურად ინკლუზიური (იზრდება მოქალაქეების ჩართულობა) – თუ ადრე მედიასაშუალებებში მხოლოდ ავტორიტეტებად მიჩნეული ადამიანების აზრს ეთმობოდა განსაკუთრებით დიდი დრო, ახლა ყველას შეუძლია, თავი ფართო საზოგადოებას გააცნოს.

აშშ-ში 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს და შემდეგაც ქვეყნებოდა პოპულარული ლიბერალი და კონსერვატორი ბლოგერების (დამოუკიდებელი ინტერნეტ ვებ-გვერდების ავტორების) სია, რომლებსაც ორივე პარტიის ამომრჩეველზე ჰქონდათ გავლენა – ისინი ისე იქცნენ ავტორიტეტებად, რომ არც ერთ წამყვან ნაციონალურ ტელეარხზე და ბეჭდურ გამოცემაში არც კი გამოჩენილან.

საქართველოში დაახლოებით მსგავსი შემთხვევა მოხდა რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ ინტერნეტ ფორუმზე, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი რამდენიმე ადამიანი, იმის გამო, რომ ფორუმულ დისკუსიებში თავიანთ პოზიციას ჯეროვნად იცავდნენ, ხელისუფლების წევრებმა ერთ-ერთ სამინისტროში თანამშრომლებად მიიწვიეს. ხელისუფლების მხარდამჭერებმა და ხელისუფლების წევრებმა ერთმანეთი ვირტუალურ საჯარო სივრცეში – ფორუმზე გაიცნეს.

საზოგადოების სოციალური სურათი შესაძლოა პოტენციურად იმან შეცვალოს, რომ ინტერნეტით ინფორმაციის დემოკრატიზაცია ხდება, რაც ნიშნავს, რომ ამიერიდან ამა თუ იმ სახის მნიშვნელოვანი ინფორმაცია აღარ არის პრივილეგიურად ადამიანთა ჯგუფის საკუთრება, არამედ ვრცელდება ინტერნეტში და მასზე რაც შეიძლება ბევრ ადამიანს მიუწვდება ხელი. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი უცხოური ვებ-გვერდები, როგორცაა www.academicearth.org და www.ted.com. პირველ მათგანზე შეგიძლიათ ნახოთ ლექციების ვიდეორჩანაწერები მსოფლიოს რამდენიმე წამყვანი უნივერსიტეტიდან, ხოლო მეორეგან თავის დარგში მოღვაწე გამოჩენილი ადამიანების მოკლე, მაგრამ ძალზე სასარგებლო ლექციებს მოუსმინოთ. საქართველოში დაახლოებით მსგავსი ეფექტი ჰქონდა ისეთ ვებ-გვერდს, როგორცაა www.lib.ru, სადაც რუსულ ენაზე თარგმნილი კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებია განთავსებული. შედეგად, საქართველოში დანტერესებულმა ადამიანებმა წაიკითხეს ნაწარმოებები, რომლებიც ქვეყანაში ჯერ არც იყო წიგნად შემოსული. დღეს lib.ru-ს ანალოგი პოპულარული ქართული ვებ-გვერდი www.lib.ge მკითხველს ქართულ ენაზე ნათარგმნ უცხოურ პროზაულ, პოეტურ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებს სთავაზობს, ქართულ ენაზე დანერგლ ნა-

ნარმოებებთან ერთად. მსოფლიოზეც და საქართველოზეც, ძალზე დიდი გავლენა ჰქონდა უფასო ენციკლოპედიის – ვიკიპედიის (www.wikipedia.org) შექმნას, რამაც ინფორმაცია და ცოდნა გაცილებით უფრო დემოკრატიული, მაქსიმალურად ბევრი ადამიანისთვის ხელმისაწვდომი გახდა.

სოციალური სურათის შეცვლასთან ერთად ინტერნეტი და სოციალური ქსელები პოლიტიკის სფეროზე ახდენს გავლენას. თუ ადრე მთავრობას ეფექტურად შეეძლო შეეზღუდა გამოხატვის თავისუფლება იმით, რომ ტრადიციულ მედიასაშუალებებს დაპატრონებოდა, ახლა ეს თითქმის შეუძლებელი გახდა. ამის ნათელი მაგალითი გორში სტალინის ძეგლი ალების ფაქტი იყო. როდესაც ფაქტი არც ერთმა ცენტრალურმა მედიასაშუალებამ არ გააშუქა, „ფეისბუქზე“ ნამდვილი კოლექტიური ნიუს კონფერენცია მოეწყო: ადამიანები ერთმანეთს გადასცემდნენ ინფორმაციას ძეგლის ალების გარშემო განვითარებულ მოვლენებზე, უზიარებდნენ საკუთარ მოსაზრებებსა და ეჭვებს.

ალბათ ინტერნეტის აქტიურ მომხმარებლებს ისიც გეცოდინებათ, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში – თურქეთში პოპულარული ვიდეოპორტალი „იუთუბი“ აკრძალულია, რადგან თურქეთის მთავრობას ემინია, ამ საშუალებით მოქალაქეებმა მთავრობისთვის მიუღებელი ვიდეოები არ გაავრცელონ. სოციალურ ქსელ „ტვიტერს“ უზარმაზარი გავლენა ჰქონდა 2009 წლის ირანის არჩევნების შემდგომ მომხდარ მოვლენებზე, როდესაც გაბრაზებული ირანელი ამომრჩეველი, ტოტალური მედიაცენზურის პირობებში, სწორედ „ტვიტერით“ გამოხატავდა თავის აზრებს და ზოგ შემთხვევაში „ტვიტერი“ ხდებოდა რეალური შეკრებების ინიციატორის ადგილი. საქართველოში 2007 წლის 7 ნოემბრიდან მოყოლებული ოპოზიციის მომხრეები „ფოროუმის“ და შემდგომ „ფეისბუქის“ საშუალებით აქტიურად უზიარებდნენ ერთმანეთს და დანარჩენ საზოგადოებას მიტინგებზე მომხდარ მოვლენებს, მაშინ როდესაც ცენტრალური მედიასაშუალებები მიტინგებს არასაკმარისად და მოკლედ აშუქებდნენ.

არანაკლებ საინტერესოა ვირტუალური სოციალური ქსელების და ინტერნეტის როლი კულტურული ფასეულობების შესახებ გამართულ მსჯელობებში. „ჰარვარდის საერთაშორისო მიმოხილვის“ ვებ-გვერდზე მკვლევარი ჯონ ფეფერი წერს, რომ სიტყვის თავისუფლების მოძრაობა, რომელიც 1964-65 წლებში ბერკლის უნივერსიტეტთან რეალურ სივრცეში მიმდინარეობდა, ეგვიპტესა და სხვა ავტორიტარულ და კონსერვატორულ ქვეყნებში ახლა ვირტუალურ სივრცეში – სოციალურ ქსელების მიერ შექმნილ საჯარო სივრცეში მიმდინარეობს. ახალგაზრდა ირანელებისთვის „ფეისბუქი“ ის სივრცეა, სადაც საკუთარი ცხოვრების თავადვე წარმართვის ვირტუალური საშუალება ეძლევათ, რაც რეალურ დროსა და სივრცეში სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ აქვე წართმეული. საქართველოში ვირტუალურმა საჯარო სივრცემ ერთგვარი ვირტუალური კულტურული ომები გამოიწვია საზოგადოების კონსერვატო-

ვის ნევრებმა ინტერნეტის მეშვეობით მოახერხეს. კულტურული ომები, რომლებიც ამ და სხვა საკითხებზე ვირტუალურ სივრცეში მიმდინარეობს, ორივე მხარისთვის – კონსერვატორებისა და ლიბერალებისთვის სასარგებლო იქნება, რადგან ისინი უფრო უკეთ გაიზარებენ იმას, რისიც სჯერათ და რასაც იცავენ. საზოგადოების კულტურული განვითარება და გახსნილობა სწორედ ასეთი მცირე ბრძოლების შედეგია. სხვადასხვა სოციალური ჯგუფები ამ გზით ერთმანეთის არსებობის შესახებ იგებენ, ეცნობიან ერთმანეთის ფასეულობებს და ცხოვრების წესს.

სოციალურ მედიას, შესაძლოა, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში პოტენციურად იმაზე მეტი წვლილის შეტანა შეუძლია, ვიდრე დღეს ვიზრებთ. სწორედ ამიტომ, ამ სფეროს მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს. მომავალში „ლიბერალი“ გეგმავს, რომ ამ მხრივ თავისი საქმიანობა გაააქტიუროს – აქტიურად

■ ახალი მედია ტრადიციული, ცენტრალიზებული მედიისგან განსხვავებით, მაქსიმალურად ბევრი ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას უზრუნველყოფს.

რულ და ლიბერალურ ნაწილს შორის. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ჯგუფ „დერვიშების“ მიერ ვიდეო პორტალებზე გამოქვეყნებული მუსიკალური ვიდეო კლიპები, რომლებიც შემდგომ ტრადიციულმა მედიამაც გააშუქა. „დერვიშები“ ვიდეო კლიპებში ცნობილი სიმღერის „სულიკოს“ ალტერნატიულ ვერსიებს გვთავაზობენ, ცნობილი როკ ჯგუფების სიმღერების რემიქსების მეშვეობით. ინტერნეტის მომხმარებლების ნაწილმა ვიდეოები ქართული კულტურის და ტრადიციების შეურაცხყოფად აღიქვა, რასაც მათ მიერ ვიდეო პორტალებზე გაკეთებული უცენზურო და შეურაცხმყოფელი კომენტარები ადასტურებს. ამ შემთხვევაში, საზოგადოების კონსერვატორული ნაწილის კულტურული ნორმების წინააღმდეგ გამოსვლა ჯგუ-

ჩართოს ახალი მედიასაშუალებები. ბოლოს იმასაც მოგახსენებთ, თუ რატომ დაეარქვი სტატიას „ინტერნეტის გალაქტიკა“. კომუნიკაციის საშუალებების ცნობილმა თეორეტიკოსმა, ბერკლის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორმა მანუელ კასტელსმა თავის ერთ-ერთ უახლეს წიგნს სწორედ ეს სათაური შეურჩია. ამ ეპითეტით იგი აღნიშნავს, რომ ბექდური მანქანისა და ტელევიზიის გამოგონებების შემდეგ („გუტენბერგის და მაკლუენის გალაქტიკები“), ინტერნეტი კაცობრიობის განვითარების ისტორიას რადიკალურად შეცვლის. ქართულ ვირტუალურ საჯარო სივრცეზე დაკვირვება და მასში ჩართვა ჩვენთვის, როგორც მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. ■

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ბეხუთვნის, მახამ ახ ბეხუთვნის

მაისიდან დღემდე, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, ჟურნალმა „ლიბერალმა“ სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოს 11 საჯარო წერილით მიმართა. 11 განცხადებიდან 4 წერილზე არასრული პასუხი მოვიდა, 5-ზე ხელახალი განცხადების დაწერა გახდა საჭირო, 2 წერილი კი საერთოდ უპასუხოდ დარჩა.

ნინო თოფურძე

მაისის პირველ კვირას, 14-მა რეგიონულმა გაზეთმა, პროტესტის ნიშნად, პირველ გვერდზე მხოლოდ ერთი წინადადება დაბეჭდა: „მოგვეცით საჯარო ინფორმაცია!“

„... მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების წესს არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუდმივად ირღვევა აღნიშნული კანონით დადგენილი ნორმები... ინფორმაციის ასეთი შეზღუდვის პირობებში, ვერ ვახერხებთ ჟურნალისტური საქმიანობის სრულად და შეუფერხებლად განხორციელებას. მედიისათვის საჯარო ინფორმაციის დაბლოკვით ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოებას წაართვას უფლება, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“, – წერია განცხადებაში, რომელსაც რეგიონული გაზეთების ჟურნალისტები, ასევე დამოუკიდებელი სტუდია „მონიტორი“ აქვეყნებს, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებებზე მუშაობს.

„თითქმის შეუძლებელია საჯარო ინფორმაციის მიღება შინაგან საქმეთა სამინისტროდან, პროკურატურიდან, თავდაცვის სამინისტროდან. „მიუწვდომელია“ სატელეფონო ზარები, თითქმის ყველა სამინისტროს პრესსამსახურში უპასუხოდ რჩება ელექტრონული წერილები“, – ამბობს

ია მამალაძე, გაზეთ „გურია ნიუსის“ გამომცემელი.

მსგავსი პრობლემები აქვთ თბილისში მომუშავე ჟურნალისტებსაც.

ჟურნალ „ლიბერალის“ კორესპონდენტმა ნათია ახალაშვილმა, თბილისის მერიას 2010 წლის 10 მაისს მიმართა. იგი მაისის თვეში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების სიასა და ბიუჯეტს ითხოვდა. მას პასუხი წერილზე დღემდე არ მიუღია.

„იმ პერიოდისათვის არჩევნების ციებ-ცხელება იყო, მერიას უამრავი ღონისძიება ჰქონდა დაგეგმილი, რომელსაც ან მთლიანად ან ნაწილობრივ აფინანსებდა. ერთ დღესაც დამიბარეს, – მოდი, პასუხებს გაგატანთო. მივედი და ახსნა დამიწყეს, – ჯერ მასალა მზად არ არის და ხვალ გაგატანთო. დარწმუნებული ვარ, ჩემი კითხვები უბრალოდ უდევთ და განზრახ არ მიპასუხეს. ახლა ჩემი მასალა ისეთი აქტუალური აღარაა, როგორც ეს წინასაარჩევნო პერიოდში იქნებოდა“, – ამბობს ნათია ახალაშვილი.

პასუხების გარეშე დარწმუნდნა ჟურნალისტმა თბილისის მერის სახელზე ადმინისტრაციული საჩივარი დაწერა და ახლა მერისგან ელოდება პასუხს, თუმცა თითქმის დარწმუნებულია, რომ არც ამას ექნება შედეგი და ჩივილი სამართლოში მოუწევს.

ჟურნალისტები სულ უფრო ხშირად ჩივიან, რომ მათ საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციას არ აძლევენ.

„იმისთვის, რომ ყველა წყარო გყავდეს და დაიცვა ბალანსი, ხშირად საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა გვჭირდება“, – ჰყვება ჟურნალისტი სოფო თოდუა, რომელიც, მეათე წელია, ჟურნალისტურ გამოძიებებზე მუშაობს და სისტემატურად უწევს სახელმწიფო სამსახურებიდან ინფორმაციის მოთხოვნა.

„დღეს პრესსამსახურებისგან ინფორმაციის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია. იმის მაგივრად, რომ დაგვეზარონ, ყველანაირად ხელს გვიშლიან. მერე ამბობენ, – საქართველოს კვალიფიციური ჟურნალისტები არ ჰყავსო“, – აღნიშნავს გაზეთ „24 საათის“ ჟურნალისტი. თითქმის იგივეს იმეორებს ეკა ქევანიშვილი რადიო „თავისუფლებიდან“: „მაგალითად, საპატრულო პოლიციის სამსახურის პრესასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი ტელეფონს არასდროს იღებს, თუ სასწაული მოხდა და მიპასუხა, მეუბნება, – შეხვედრახე ვარ, ცოტა ხანში დამირეკეო, – შემდეგ კი ტელეფონს თიშავს. ასევე, თითქმის შეუძლებელია ძალოვან სტრუქტურებთან ურთიერთობა“.

ჟურნალისტებთან საუბრის შემდეგ



სამი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა: უწყებები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარს აცხადებენ, მედიას არაკომპეტენტურ პასუხებს აწვდიან და პასუხის გაცემა ხელოვნურად ჭიანურდება. ამ სამი პრობლემიდან ყველაზე ტიპური საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი არასრული ინფორმაციაა, რის გამოც, ჟურნალისტები იძულებულნი არიან, ხელახლა მიმართონ დაწესებულებას და კიდევ 10 დღეს დაელოდონ პასუხს.

„ლითონის ხიდების მშენებლობასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაცია გვეჭირდებოდა და თბილისის მერიას მივმართეთ. მერიამ იძულებული გაგვხადა, სამ ეტაპად გამოგვეთხოვა ინფორმაცია, ვინაიდან პირველი წერილი სანახევროდ პასუხგაუცემელი იყო, მეორე წერილში კი კითხვები საერთოდ გამოტოვებული ჰქონდათ.

მერიაში დარეკვისას ყოველ ჯერზე სხვადასხვა ოპერატორს ვესაუბრებოდი, ვუხსნიდი საქმის ვითარებას და პასუხების მოწოდების დაჩქარებას ვითხოვდი. გვეუბნებოდნენ, ამ უწყებამ გვიპასუხა, – ახლა სხვა სამსახურთაა გადაგზავნილი და ხვალ უსათუოდ გამზადდებაო. ზოგჯერ, გვეუბნებოდნენ, – უბრალოდ რეზოლუცია არის დასადები და ველოდებითო. ამასობაში კი 1 თვე გავიდა“, – ჰყვება ადამიანის უფლებათა ტელეპორტალის ჟურნალისტი თამარ მშენიერაძე.

გაზეთი „კვირის პალიტრა“:
ხათუნა პაიჭაძე

„უკანასკნელი წლების მანძილზე ძალიან გართულდა ინფორმაციის მოპოვება, ყველაფერი დახურულია. როცა ირაკლი ოქრუაშვილის დაკავების საბუთებს ვითხოვდი, შინაგან საქმეთა

სამინისტრომ საერთოდ არ მიპასუხა. რა პასუხსაც მადღევდნენ, ისიც არასრულყოფილი იყო“.

ჟურნალი „ლიბერალი“:
გიო ჭეიშვილი.

„საჯარო დაწესებულებები“ გადამისამართების სტრატეგიას ხშირად მიმართავენ. ამით პასუხისმგებლობას იცილებენ თავიდან. ერთი ორგანო მეორეს უწერს წერილს, მეორე – მესამეს და ასე დაუსრულდება. როცა პასუხი მოვა, თუ საერთოდ მოვიდა, უკვე საჭიროც აღარაა“.

ჟურნალი „ლიბერალი“:
მაია ნიკლაური

„ინფორმაცია მჭირდებოდა ქუთაისში პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებით. კითხვებით საკანონმდებლო ორგანოს მივმართე. 10 დღე



მალოდინეს და მიპასუხეს, – ეს საკითხი ჩვენ არ გვეხებაო. ამის შემდეგ იგივე კითხვები პრემიერ-მინისტრს გავუგზავნე. ისევ 10 დღეს მალოდინეს და მომწერეს, – თქვენი წერილი სათანადო რეაგირებისთვის პარლამენტს გადავუგზავნეთო. პარლამენტიდან პასუხი მომივიდა, – ერთხელ უკვე ხომ მოგწერეთ, რომ ეს საკითხები ჩვენ არ გვეხებაო“.

ჟურნალი „ლიბერალი“:

ნინო გოგუა

„ვიციებდი ვარსკვლავების აკადემიის კედლის ჩამოშლის თემას, საქალაქო სასამართლოდან სამშენებლო კომპანია „არტ-იქსის“ მიერ შედგენილი ოფიციალური, სტანდარტული ნახაზები მიჭირდებოდა, რომლის მიხედვითაც

შენობა იყო დაპროექტებული. თავიდან დამპირდნენ, – ყველაფერს მოგცემით, ფოტომასალის ჩათვლითო. როცა დოკუმენტაციის წასაღებად მივედი, გამომიცხადეს: ნახაზები კომერციული საიდუმლოებაა, ვერ მოგცემთო. არც სურათები გადამაღებინეს. შეუძლებელია სტანდარტული ნახაზები კომერციული საიდუმლო იყოს, ეს ხომ არ არის საიდუმლო რეცეპტი, ან წამლის დამზადების წესი!“

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით საჯარო დაწესებულებამ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა გასცეს, თუმცა თუ ეს შეუძლებელია, ინფორმაციის გაცემა არაუგვიანეს 10 დღეში უნდა მოხდეს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, მედიის თავისუფლების

საკითხების იურისტი თამარ კორძაია ამბობს:

„ისეთი შემთხვევა, როცა მასალის შეგროვებას 10 დღე არ სჭირდება, მაგრამ ინფორმაციას დაუყოვნებლივ მაინც არ გასცემენ, შეიძლება სამუშაო პროცესის დაყოვნებად ჩაითვალოს. სამწუხაროდ, არცერთი კანონი, ამგვარ შემთხვევაში რაიმე ტიპის პასუხისმგებლობის დაკისრებას არ გულისხმობს. ერთადერთი ქმედება, რომელიც ამ დროს იურიდიულად გამართლებულია, ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენებაა, რასაც მისი თანამდებობიდან გათავისუფლება უნდა მოჰყვეს“, – განმარტავს თამარ კორძაია.

მისგანვე ვიგებთ, რომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის ჟურნალ-



უჩინაციებაზის საჩივრებაჲ დაუხედოზით, იხაჲჲჲ, ხომ უჲაეაზა ხშიხედ იფოქიხაეცაჲს შაჲდეჲი უეჲებეჲი აჲ ბანსაჲჲჲ

1. თბილისის მერია;
2. შინაგან საქმეთა სამინისტრო;
3. თავდაცვის სამინისტრო;
4. საპატრულო პოლიცია;
5. განათლების სამინისტრო;
6. საგარეო საქმეთა სამინისტრო;
7. კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია.

ლისტებს სარჩელებით არაერთხელ მიუმართავთ. სარჩელთა უმრავლესობა მერიის წინააღმდეგაა. მერიას თანრიგით შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები მოსდევენ.

„ძალიან ხშირია არაპირდაპირი პასუხები, რაც იგივეა, რომ უარი თქვა ინფორმაციის გაცემაზე. ასეთი რამ ჯერ ადმინისტრაციულ დონეზე, შემდგომ კი სასამართლოში უნდა გასაჩივრდეს“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბარში თამარ კორძია.

„მერიაში გასაჩივრება ცალკე დროსა და ენერჯიას მოითხოვს. ამას გარდა, არც გასაუხრობენ გასაჩივრებულ წერილზე. მიუხედავად ამისა, პირადად მე შეტანილი მაქვს საჩივრის წერილი და ვეცდები, აუცილებლად მივიყვანო საქმე ბოლომდე. რასაც პრესასამა-

ხურები აკეთებენ, ეს აუტანელია“, – ამბობს სოფო თოდუა, გაზეთ „24 საათის“ ყურნალისტი.

ყურნალიტები არა მხოლოდ პრესასამსახურების უგულისყურო დამოკიდებულებაზე, არამედ რესპონდენტთა მხრიდან გამოჩენილ დაუდევრობაზე ამხვილებენ ყურადღებას. სახელისუფლებო სტრუქტურებში ყურნალისტების კითხვებს ხშირად უბრალოდ არ პასუხობენ.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს არც ერთი მაღალჩინოსანი მცირე კომენტარსაც არ გვაძლევს. ადრე თუ შოთა უტიაშვილი მაინც გაიმეტებდა თითო სიტყვას, ახლა მასთან ურთიერთობაც გაჭირდა. ამგვარი ვითარების გამო ხშირად, სიუჟეტებში მეორე მხარე არ გვყავს“, – ამბობს რადიო „თავისუფ-

ფლების“ კორესპონდენტი ეკა ქევა-ნიშვილი.

ყურნალისტთა ნაწილის აზრით, ამგვარი მდგომარეობა ხელოვნურად იქმნება. მათი მტკიცებით, ხელისუფლება ინფორმაციულ ვაკუუმს ქმნის, რითაც ყურნალისტებს ხარისხიანი ყურნალისტური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა არ ეძლევათ.

ყურნალისტური სტანდარტი მოითხოვს, ამ სტატიაში სახელმწიფო უწყებების მოსაზრებებიც იყოს დაფიქსირებული, ასეთ შემთხვევაში სტატიაში ბალანსი სრულად იქნებოდა დაცული. თუმცა, ზუსტად იმავე პრობლემების გამო, რასაც ეს წერილი ეძღვნება, ის ცალმხრივი გამოვიდა. ამაზე კი პასუხისმგებლობა ყურნალს არ ეკისრება. □



ილუსტრაცია: სიმონ ქიქოძე / რიონი საქალაქო

საგაუწყებლო ლიცენზია

საქონლის დაცვა

კომუნიკაციების ეროვნული კომისია საზოგადოებრივი აზრის კვლევის არქონას იმიჯებს და მაუწყებლობის ლიცენზიის ათამდე მაძიებლის საქმეებს არც განიხილავს.

ნანა საჯაია

„გადაცემებს კასეტებზე ვწერდით და მარნეულში „მარშუტების“ მძლოლებს ვურიგებდით. მაგრამ აბა, როგორ უნდა გამეგო, ჩართავდა თუ არა „მარშუტის“ მძლოლი ნაჩუქარ კასეტას. ადგილობრივ თვითმმართველობასაც გადავცემდით 5 დისკს იმიტომ, რომ

ვიცოდით, იქ 5 კომპიუტერი ჰქონდათ“, – ასე იხსენებს ჯიპას ჟურნალისტიკის სკოლის სტუდენტი კამილა მამედოვა 2006 წელს მარნეულის სათემო რადიოში მუშაობის პერიოდს და იმ მეთოდებს, რომლებსაც გადაცემების გასავრცელებლად იყენებდნენ მაუწყებლობის

ლიცენზიის მოპოვებისათვის ორწლიანი უშედეგო მცდელობის შემდეგ.

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში – ორგანოში, რომელიც თავისუფალ სიხშირეებს განკარგავს – მარნეულის სათემო რადიოს გარდა, ათამდე სხვა კომპანიის განცხადება დევს. ათივე

განცხადების ავტორი მაუწყებლობის უფლებას ითხოვს, მაგრამ ათივეს თხოვნას კომისია, უკვე 6 წელია, ერთი და იმავე მიზეზით არ აკმაყოფილებს – ის ელის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს, რომელთა დახმარებითაც უნდა დაადგინოს, თუ როგორ ტელე და რადიოპროდუქტზე აქვს მყარებელს მოთხოვნა.

თუმცა, რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს ის, თუ რა ტიპის ინფორმაცია აინტერესებს, ვთქვათ, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობას. იქ პრობლემაა, როგორც ნაციონალური მნიშვნელობის მქონე მოვლენების სრულფასოვანი გაშუქება, ისე ლოკალური ამბებისთვის თვალყურის დევნება. ნინონმინდასა და მარნეულში სათემო რადიოების პროექტის ავტორმა, სტუდია „რე“-მ ყოველგვარი კვლევის გარეშე მიაგნო ამ პრობლემას, რომლის გამოსწორებაც, ოფიციალური ლიცენზიის მოლოდინში, ქალაქის სკვერში დამონტაჟებული ხმამაღლამოლაპარაკების საშუალებით სცადა.

2006 წლიდან მოყოლებული, ორი წლის განმავლობაში, ნინონმინდაში, რადიოს ოფისის წინ, პატარა სკვერში ყოველდღიურად იკრიბებოდნენ ადგილობრივები და ნახევარსაათიანი გადაცემებით, ღია ცის ქვეშ იღებდნენ მათთვის პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას: როდის იწყება თიბვის სეზონი, როდის მოიტანენ გამგეობაში სასუქს, როდის იგეგმება ესა თუ ის კულტურული ღონისძიება ქალაქში...

„მამაკაცები კი მოდიოდნენ, მაგრამ იქ მიღებული არ არის, რომ ქალი ქუჩაში დადგეს, ამიტომ ქალები იქვე მალაზიამი მიდიოდნენ და რადიოგადაცემებს იქიდან უსმენდნენ“, – იხსენებს პროექტის ხელმძღვანელი ღია ჩახუნაშვილი.

სათემო რადიოს ლიცენზიის მოლოდინში ორი ხმამაღლამოლაპარაკე დააყენეს მარნეულშიც, ერთი კულტურის პარკში, სადაც დედები ბავშვებს ასეინებდნენ, მეორე კი ჩაიხანაში, სადაც მამაკაცები იკრიბებოდნენ.

სათემო რადიოების გახსნა სტუდია

„რე“-ს BBC World Service Trust-მა და IREX ვეროპამ დაუფინანსეს. იმის გათვალისწინებით, რომ სათემო მაუწყებლობა საქართველოში ახალი კონცეფცია იყო, პროექტის მონაწილეებმა შეაგროვეს და თარგმნეს ლიტერატურა, რომელიც მარეგულირებელი კომისიის მამინდელ თავმჯდომარეს დიმიტრი ქიტოშვილს და კომისიის წევრებს დაურიგეს. როგორც ჩახუნაშვილი იხსენებს, საუბრების დონეზე კომისიაც და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც ამბობდნენ, რომ პროექტი საინტერესო იყო, თუმცა ამის მიუხედავად, ლიცენზია არც ერთ რადიოზე არ გაცემულა.

„გაცნობებთ, რომ თქვენს წერილში აღნიშნულ რაიონებში სათემო რადიო-მაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადებაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდება ვებ-გვერდზე“, – აცნობეს ერთ-ერთ ეტაპზე პროექტის ავტორებს.

„ამის შემდეგ ყოველი ჩემი დილა იწყებოდა კომისიის ვებ-გვერდზე შესვლით. მერე მივხვდი, რომ უაზრობა იყო. ჩვენ ვერ მივალნიეთ იმას, რომ ეთქვათ ან კი, ან არა, არ გაძლევთ ლიცენზიას“, – იხსენებს ღია ჩახუნაშვილი.

უცხოური ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტის ორწლიანი ვადა კომისიასთან უშედეგო მიმონერამი და ლიცენზიის ძიებაში გაილია. მალე ხმამაღლამოლაპარაკები სკვერებიდან აიღეს, აპარატურა კი ოფისში შეინახეს. დღეს ნინონმინდასა და მარნეულის მოსახლეობა მათი თემისთვის აუცილებელ პრაქტიკულ ამბებს ისევ მასმედიაშემდეგი ეპოქისთვის დამახასიათებელი ხერხით – ზეპირსიტყვიერად იგებს. რადიოს მოხალისეებს იმედი გაუცრუვდათ. აპარატურას კი საზოგადოებრივი აზრის კვლევის მოლოდინში მტვერი ედება.

„ის, რომ ადმინისტრაციული ორგანო თავის მოვალეობას არ ასრულებს და მე არ შემიძლია, ვისარგებლო უფლებით, მივიღო მაუწყებლობის ლიცენზია, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაა და სხვა არაფერი. არავინაა დამნაშავე,

თუკი რომელიმე ადმინისტრაციული ორგანო თავის ვალდებულებებს ვერ ასრულებს“, – ამბობს იურისტი თამარ კორძია.

პირველი და უკანასკნელი საზოგადოებრივი აზრის კვლევა კომისიამ 2004 წელს ჩატარა. კანონის მიხედვით, მომდევნო კვლევა ორი წლის შემდეგ, 2006-ში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ რადგან ეს „დიდი ხნის წინ იყო“, კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსს, კახი ყურაშვილს, „არ ახსოვს, რატომ გადაიღო მაშინ კვლევა“.

შემდეგ ეტაპზე, ანუ 2008 წლის ოქტომბერში კვლევა კომისიამ BCG-ის შეუკვეთა, სამი თვის შემდეგ პირველი შედეგებიც მიიღო, მაგრამ რადგან დოკუმენტში იყო მხოლოდ სტატისტიკა და არა მისი ანალიზი, რაც კომისიას საზოგადოების მოთხოვნების შესახებ სრულფასოვან წარმოდგენას შეუქმნიდა, ამიტომ კვლევის დასრულებისთვის დამატებითი დრო მისცეს. მას შემდეგ, BCG-ის კვლევის მენეჯერის, რუსუდან ველიძის თქმით, კომპანია კომისიასთან კითხვა-პასუხის რეჟიმში მუშაობს.

„კვლევა გვაქვს ჩატარებული, მაგრამ იქიდან წამოვიდა მთელი რიგი კითხვები. ვართ აი ასე. რალაცებს გვეკითხებიან, ჩვენ ვპასუხობთ“, – ამბობს ველიძე.

კითხვაზე, თუ როდის დასრულდება კვლევა, ველიძე პასუხობს: „როცა ისინი ჩათვლიან დასრულებულად და აღარ გაუჩნდებათ არანაირი კითხვა“.

„გამუდმებით ხდება საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, ეს არის სწორედ მათი პოზიცია, რომ არ აინტერესებთ საზოგადოების აზრი“, – ამბობს სტუდია „რე“-ს დირექტორი მამუკა ყუფარაძე.

სათემო რადიოების პროექტში ჩართული სამივე წყარო მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევა მხოლოდ ოფიციალური საბაზია, რეალურად კი, სათემო რადიოებს ლიცენზიებს, შესაძლოა, იმიტომ არ აძლევენ, რომ მთავრობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სეპარატისტული მოძრაობის გაღვივებას უფრო ხის.

„ძნელია იმის თქმა, ასეთივე რეაქცია თუ ექნებოდათ, ქართველებით დასახლებულ რეგიონებში რომ დაგვეწყობოდა იგივე პროექტი“, – ამბობს ლია ჩახუნაშვილი და დასძენს, რომ სინამდვილეში მათ პროექტს სწორედ ანტიდისკრიმინაციული მიზანი ჰქონდა – ეთნიკური უმცირესობების ქართველებთან ინტეგრაციის ხელშეწყობა.

სათემო რადიოების გარდა, კვლევის არქონის გამო კონკურსის გამოცხადებაზე უარი უთხრეს კახეთის რადიო „ჭერეთს“, რომელიც, უკვე ორ წელზე მეტია, სამაუწყებლო ლიცენზიის მოდიფიცირებას და თბილისზე მაუწყებლობის ნებართვას ითხოვს.

„2008 წლიდან მაქვს მიმონერა კომისიასთან, ზოგჯერ საერთოდ უპასუხოდ მტოვებდნენ, ძირითადად კი ერთი და იგივე შინაარსის წერილს ვიღებდი, რომ ვერაფერს მოგვიხერხებენ, ვიდრე კვლევა არ დასრულდება. წერე და იკითხე, აზრი არა აქვს, სამწუხაროდ“, – ამბობს რადიოს დირექტორი რამაზ სახარაძე.

ლიტერატურული გარიგების შედეგად მიიღო. კახი ყურაშვილი ამბობს: „იმისთვის, რომ მღელვარება ჩამცხრალიყო და არც კანონი დაგვერღვია, „მაესტროს“ ჩვენ თვითონ შევთავაზეთ ლიცენზიის მოდიფიცირება“.

არადა, 2004 წელს მიღებულ კანონში მაუწყებლობის შესახებ წერია, რომ ის „გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს“ ეფუძნება და ამ პრინციპებით არეგულირებს მაუწყებლობის სფეროში საქმიანობასა და „სისხშირეების გამოყენებას“. თუმცა, იურისტ თამარ კორძაიას თქმით, ხშირად უსამართლო გადაწყვეტილებების მიზეზი ეს კანონიც შეიძლება გახდეს, რადგან მასში ხარვეზები გვხვდება.

მაგალითად, კანონის 42-ე მუხლის თანახმად, კომისიას შეუძლია, ლიცენზიის მსურველის განცხადება წარმოებაში არც კი მიიღოს, თუ განცხადებას არასრულყოფილად მიიჩნევს. ეს მუხლი კი ენიშნავს დედგება ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, რომელიც საქმის

კინმარშვილი.

მარეგულირებელი კომისიის ვებგვერდზე განთავსებულ წლიურ ანგარიშში წერია, რომ 2009 წელს სულ 14 ლიცენზია გაიცა. ამ ლიცენზიების მფლობელები, ძირითად შემთხვევაში, საკომუნიკაციო კომპანიები არიან – ისეთები, როგორცაა „ახალი ქსელები“, „გლობალ ერთი“ და „რკინიგზის ტელეკომი“. თუმცა, ამ 14-ს შორის ორი სამაუწყებლო კომპანიაცაა – „სტუდია მაესტრო“ და „რეალტვი საქართველო“. თუკი, ამ ანგარიშს მივყავით, გამოდის, რომ საზოგადოებრივი კვლევის არქონა შემაფერხებელი ფაქტორი არ გამხდარა კომისიისთვის მაშინ, როცა თუნდაც „რეალტვის“ ლიცენზია მისცა.

თვითონ კახი ყურაშვილი „რეალტვისთვის“ ახალი ლიცენზიის გაცემას უარყოფს და აცხადებს: „თუკი ასეთი შეცდომა ანგარიშში გაპარულია, ავტორი დაისჯება“. მისი თქმით, „რეალტვი საქართველომ“ ლიცენზია შპს „მედიევალისგან“ მიიღო, მხარეების თანხმობის საფუძველზე.

■ „ის, რომ ადმინისტრაციული ორგანო თავის მოვალეობას არ ასრულებს და მე არ შემიძლია, ვისარგებლო უფლებით, მივიღო მაუწყებლობის ლიცენზია, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაა“.

კახი ყურაშვილი „ჭერეთის“ საქმის შეფერხებას იმით ხსნის, რომ რადიოს მაუწყებლობის გეოგრაფიული ზონის შეცვლა უკვე არა ლიცენზიის მოდიფიცირებას, არამედ ახალი ლიცენზიის გაცემას საჭიროებს, ამისთვის კი სწორედ ზემოთ ხსენებული კვლევის დასრულებაა საჭირო.

თუმცა, როცა „სტუდია მაესტროს“ ლიცენზიის მინიჭების არანაკლებ რთულმა და დროში განელილმა პროცესმა ქვეყანაში დიდი პოლიტიკური ვნებათაღელვა გამოიწვია, კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ სიტუაციიდან გამოსავალი თვითონვე ნახა. საბოლოოდ, საინფორმაციო გადაცემების გაკეთების უფლება, ანუ საერთო თანამგზავრული მაუწყებლობის ლიცენზია, „მაესტრომ“ სწორედ პო-

წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველზე არ იცნობს.

„როდესაც განცხადება რეგისტრირდება ადმინისტრაციულ ორგანოში, ის უკვე წარმოებაშია. ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით არ ევალება, შეამოწმოს, თუ რამდენად სრულყოფილია განცხადება შემოტანის დროს. შესაბამისად, წარმოებაში ყველა შემთხვევაში უნდა მიიღოს“, – ამბობს თამარ კორძაია.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის და ფონდ „2020“-ის დამფუძნებელი ეროსი კინმარშვილი კომისიის მხრიდან მსგავს ქმედებას ვოლუნტარიზმს უწოდებს.

„ვოლუნტარიზმია ის, რომ ლიცენზიის მსურველებს ელემენტარულად არ პასუხობენ, ან სრულ იგნორირებას უკეთებენ და განაცხადის შეტანის საშუალებასაც არ აძლევენ“, – ამბობს

მუდმივი ლოდინის რეჟიმში მყოფი დანარჩენი პოტენციური ლიცენზიანტები კი კომისიასთან ურთიერთობისას ისევ ყრუ კედელს აწყდებიან. რადიო „ჭერეთის“ ხელმძღვანელები საზოგადოებრივი კვლევის ხანგრძლივი მოლოდინის პარალელურად, ცდილობენ, საქმის არსში თვითონ გაერკვიონ. სწორედ ამიტომ მოითხოვეს მათ საჯარო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ და რა ტიპის ლიცენზია მიიღო კომისიისგან 2005 წლის შემდეგ. პასუხი ერთი თვის წინ მიიღეს. კომისიის საპასუხო წერილში წერია, რომ ამ პერიოდში სულ 47 ახალი ლიცენზია გაიცა და მოდიფიცირდა – 48. არც ერთის შემთხვევაში საზოგადოებრივი კვლევის არქონა უარის თქმისა და ბუნდოვანი მიკიბვმოკიბვის მიზეზი არ გამხდარა. ■

შოუ სახანოელებით "ჰილარი სტამხად მიშასთან"

ნინია კაკაბაძე



ჰილარი კლინტონი და მიხეილ სააკაშვილი, თბილისი, 5 ივლისი 2010

ფოტო: ირასკო ჯაფარიძე

მოქმედება თბილისის აეროპორტში ვითარდება. პირადი საუბარი მთლიანად თარგმნილია. ჰილარი კლინტონი ჯერ ნიკოლოზ სააკაშვილს მიმართავს: „გამარჯობა, როგორ ხარ?“ შემდეგ სანდრა რულოვს: „ძალიან ლამაზი ბავშვია. უცხო ენაზე ვლაპარაკობთ და ალბათ მისთვის გაუგებარია. მე თქვენ დაგეხმარებით, მომეწონა თქვენი სიტყვით გამოსვლა. ძალიან კარგი და სასიამოვნო მოსასმენი იყო“. ამის შემდეგ ედუარდ სააკაშვილს მიუბრუნდა: „ედუარდ, რამდენი წლის ხარ?“ ედუარდი: „თოთხმეტის“.

საქართველოს პრეზიდენტის ოჯახის წევრები და აშშ-ს სახელმწიფო მდივანი თვითმფრინავისკენ მიემართებიან.

ჰილარი კლინტონი ნიკოლოზ სააკაშვილს: „გინდა, ჩემთან ერთად წამოხვიდე თვითმფრინავით?“ სანდრა რულოვს: „მადლობა, ჩამოდით ზაფხულში ჩვენთან ამერიკაში“. სანდრა რულოვსი: „ქალიშვილის ქორწილისთვის საჩუქარს აუცილებლად გამოგიგზავნი“.

ქართულმა მედიამ ამ პირადი საუბრის ჩვენებით დაგვანახა, რომ ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ქართული ოჯახის ახლობელია.

ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტის 6 საათი და 40 წუთი თითქმის სრულად გადაიკა პირდაპირ ეთერში.

პირველი იყო საქართველოს პრეზიდენტისა და ამერიკის შეერთებუ-

■ **უცხოელი ჟურნალისტების კითხვები გაცილებით უფრო საქმიანი, არსებითი და, რაც ყველაზე საყურადღებოა, საქართველოსათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო.**

ლი შტატების სახელმწიფო მდივნის ბრიფინგი, რომელსაც ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები ესწრებოდნენ. სააკაშვილისა და კლინტონის სიტყვების შემდეგ პირველ კითხვას „მოამბეს“ ჟურნალისტი ლიკა ხურცი-

ქე სვამს. გინახავთ ალბათ, როდესაც დედა მცირეწლოვან ბავშვს ფაფას აჭმევს, როგორ ალესს მასთან ერთად პირს, თითქოს ჭამაში ეხმარება; ან დაფასთან გასულ უმცროსკლასელს როგორ ეხმარება კეთილმოსურნე მასწავლებელი და მონაფის ნაცვლად ასრულებს წინადადებებს, ან მაგალითად – ლექსის ყოველი სტროფის ბოლო სიტყვას. მიხეილ სააკაშვილსა და ლიკა ხურციძეს შორის მსგავსი გაგება და თანადგომა იყო. „თქვენ აღნიშნეთ, რომ საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს ოკუპაციის პირობებში. აპირებთ თუ არა ამ თემის განხილვას რუსეთის ლიდერებთან?“ – ამ კითხვას სვამს ხურციძე და ვიდრე ის ლაპარაკობს, საქართველოს პრეზიდენტი ამაყად უცქერს ჟურნალისტს და თავს აყოლებს. ბოლოს კი, როგორც კეთილმოსურნე პედაგოგი სკოლის გაკვეთილზე, დაბნეული მონაფის ნაცვლად ამთავრებს და ასწო-

მოვნებს ღვინოს რესტორან „ოვალთან“, ისევე გადმოდის ხიფზე და ისევე აგემოვნებს ღვინოს რესტორან „ოვალთან“. გამაგრილებელ სასმელზე ჟურნალისტებს ჰილარი კლინტონი პატიჟებს. „დაიღალეთ, მთელი დღეა, მუშაობთ, მოზრდანი, მიირთვით ცივი სასმელი“... ასეთი უსტეხით ხომ ჩვენი პრეზიდენტი გამოირჩევა?! აი, ეს კი გაეპარა ქართულ მედიას და ჩვენს პრეზიდენტზე უფრო უშუალო ჰილარი კლინტონი აღმოჩნდა. კაფეში ახალგაზრდა გოგონებიც ისხდნენ, რომელთაც სახელმწიფო მდივანი გაესაუბრა და მათივე ნაამბობით გავიგეთ: „მოგვესალმა, მოგვიკითხა, გვითხრა, – რა მომხიზვლელი ახალგაზრდობა გყავთო, რა ლამაზი გოგონები ხართო. ბიჭები სად არიანო?... ძალიან უშუალო იყო ქალბატონი ჰილარი!“ რომელიღაც თვითმარქვია რეჟისორის ხელი ეტყობოდა ამ ეპიზოდს, მაგალითად... არა არ დავაკონკრეტებ.

„თამარ მეფის ხანა საქართველოში

ბლობა თუ მასმედიის თავისუფლება. აშშ ქართველ ხალხს მხარს უჭერს, მხარს უჭერს ქართულ დემოკრატიას და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დასახულ მიზნებს მივაღწიოთ“. არა უშავს, ვინ შეამონმებს ჟურნალისტის სიტყვებს?!

5 ივლისის საინფორმაციო გამოშვების ერთმა ნაწილმა ისტორიული ექსკურსი შემოგვთავაზა. ქართულ-ამერიკული ურთიერთობა „დასაბამიდან“ დღემდე. ჯორჯ ბუშის ვიზიტი, კონდოლიზა რაისის ვიზიტი, ბარაკ ობამას განცხადებები და ა.შ. და ა.შ. ამერიკა ოდითგანვე საქართველოს პარტნიორი და მეგობარია.

საუბარი კარგ ამინდზე, დაღლილობასა და შეხვედრების გრაფიკზე. საქართველოს პრეზიდენტი, როგორც ექსკურსიამძღოლი საკუთარ რეზიდენციაში. სამუშაო ოთახი, ენდი გარსიას ფოტო, პარლამენტის ახალი შუშის შენობის მაკეტი... „შუშა იმას

■ 5 მაისის ქართული ტელეეთერი სანიმუშო მაგალითი იყო მათთვის, ვინც ახლა სწავლობს, როგორ უნდა შევქმნათ მედიასიმულაცია, რას ნიშნავს სპინი და მედიის მიერ ჩვენი გონების მანიპულაცია.

რებს მის დაწყებულ წინადადებას: „ანუ, განიხილავთ თუ არა?“ ლიკა ხურციძეს დაავინყდა, რომ შედეგი დღესვე უნდა ვიცოდეთ!

უცხოელი ჟურნალისტების კითხვები გაცილებით უფრო საქმიანი, არსებითი და, რაც ყველაზე საყურადღებოა, საქართველოსათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე – პირში ფაფადაგუბებული ქართველი ჟურნალისტების. „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტი პირდაპირ და მკაფიოდ ვადებზე აკეთებს აქცენტს, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს კი აინტერესებს, რატომ მეგობრობს ამერიკა საქართველოსთან.

ვერ გეტყვით, სინამდვილეში ცოტა ისეირნა თუ ბევრი ჰილარი კლინტონმა ძველ თბილისში, მაგრამ ფაქტია, რომ სიუჟეტში ერთსა და იმავე კადრებს ატრიალებდნენ. გადმოდის ხიფზე, აგე-

21-ე საუკუნეში დგება“, – მოგვახსენა ჰილარი კლინტონმა. ტელევიზიის მეშვეობით ვიგებთ, რომ კრიტიკული შეკითხვა, მოსაზრება მხოლოდ რესპუბლიკური პარტიის წევრმა, თინა ხიდაშელმა გამოთქვა. ხიდაშელის კითხვა საქართველოში დემოკრატიის ხარისხს და ამ დემოკრატიის მიმართ ამერიკის პოზიციას შეეხებოდა. „ჰილარი კლინტონმა თინა ხიდაშელს კონსტრუქციულობისკენ მოუწოდა“, – აღნიშნა ჟურნალისტმა კადრს მიღმა ტექსტში. კლინტონის სიტყვებში კი ასეთი მონოდედა არ ჩანს. მისი პასუხი ამგვარი იყო: „მიგვაჩნია, რომ საქართველომ დიდი პროგრესი განიცადა და რთულ პირობებში მდგრადობის დემონსტრირება მოახდინა. ასევე ვიცით, რომ ჩნდება კითხვები – იქნება ეს სისხლის სამართლის კოდექსი, სასამართლოს დამოუკიდე-

ნიშნავს, რომ ჩვენთან ყველაფერი გამჭვირვალეა“, – ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

5 მაისის ქართული ტელეეთერი სანიმუშო მაგალითი იყო მათთვის, ვინც ახლა სწავლობს, როგორ უნდა შევქმნათ მედიასიმულაცია, რას ნიშნავს სპინი და მედიის მიერ ჩვენი გონების მანიპულაცია. მხოლოდ ერთია, ეს ყველაფერი უმტკივნეულო, იუმორისტული ჟანრისთვის უფრო გამოდგება, არადა, ჩვენ მედიამანიპულაციის გაცილებით უფრო მტკივნეული შემთხვევების გამოცდილება გვაქვს. 5 მაისის ტელეეთერი იუმორისტული ჟანრის ხელოვანებისთვის საუკეთესო პროდუქტია. საგანგამო არაფერია – სხვა, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში უარესი ხდება. ამიტომ, მაღლობა ღმერთს, საქართველოს ხელისუფლებას და ქართულ ტელევიზიას! □

დასუხათაბანი აბაიბა – ფოტობიბლიოთეკაში ბოთსბობიბი იბბოიბი

ნიბო ჩიბაკაძე



ფოტო ბარბაბს ქოჩიაშვილი

გამოფენა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, 7 ივლისი 2010

40 ფოტოში ჩატეული ორი საუკუნე: რა გზა გაიარა ამერიკამ თანამედროვე დემოკრატიამდე.

სამოქალაქო ომი, ბრძოლა სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, აბორიგენული კულტურა და ინდუსტრიალიზაცია – ამერიკის ისტორიის ამ და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ეტაპების გაცნობა დამთვალეიერებლებს 7 ივლისიდან საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში წარმოდგენილ გამოფენაზე შეუძლიათ.

სხვადასხვა თაობის ამერიკელი მხატვრების და ფოტოგრაფების ნამუშევრების რეპროდუქციები საქართველოში აშშ-ს საელჩოს ხელშეწყობით ჩამოიტანეს. მსგავსი გამოფენის გაკეთების იდეა თავდაპირველად ამერიკელი სკოლის მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მარტივად მიწოდების მიზნით გაჩნდა, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქვეყნის ისტორიის ამგვარად გაცნობა უცხოელებისთვისაც საინტერესო იქ-

■ „ეს ერთგვარი მეხსიერების თეატრია, სადაც სურათებით შეგვიძლია აღვადგინოთ ამერიკა“.

ნებოდა და გამოფენამაც მოგზაურობა დაიწყო.

2009 წლიდან მოყოლებული გამოფენა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იყო წარმოდგენილი. საქართველომდე ამერიკის დასურათებულ ისტორიას უნგრელი დამთვალეიერებელი გაცენო.

1852 წლის საგრაფოს არჩევნები, 1965 წლის მარში საარჩევნო უფლებებისთვის, აბრაამ ლინკოლნის და ჯორჯ ვაშინგტონის პორტრეტები, ინდუსტრიული ხანის ნაგებობები და ფუტურისტულ სტილში შესრულებული ბრუკლინის ხიდი – გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები ამერიკის ცხოვრების სრულიად სხვადასხვა ეტაპს ასახავს.

„ეს ერთგვარი მეხსიერების თეატრია, სადაც სურათებით შეგვიძლია აღვადგინოთ ამერიკა“, – ამბობს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ემზარ ჯგერენია.

გამოფენა ერთ დიდ ისტორიულ წიგნსაც მოგაგონებთ, სადაც თითოეული ნამუშევარი ახალი წაკითხული ფურცელია თავისი საინტერესო დეტალებითა და ნიუანსებით. თუმცა, ასეთ წიგნებში მოყვანილი მშრალი ისტორიული ფაქტებისგან განსხვავებით, ვიზუალური მასალა უფრო ეფექტური და ემოციური:

„აქ თავმოყრილია არა ერთი კლასიკური ფოტო, რომელიც მინახავს ჩემი ცხოვრების მანძილზე და რომელიც ძალიან ამაღელვებელია ჩემთვის, როგორც ამერიკელისთვის. ამ ნამუშევრებზე კარგადაა ასახული ის კულტურული მრავალფეროვნება, გამოცდილებები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც ვიდექით, და რომელიც გადავლახეთ იმისთვის, რომ გაგვეუმჯობესებინა ჩვენი დემოკრატია“, – აღნიშნავს „ლიბერალთან“ საუბარში ჯონ ბასი, აშშ-ს ელჩი საქართველოში.

თომას ჰართ ბენტონი, ჯოზეფ სტელა, უოლკერ ევანსი, ფრენკ ლოიდ რაითი – ფერმწერები, ფოტოგრაფები თუ მოქანდაკეები თავისებურად ასახავენ ამერიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპს და გვიჩვენებენ, თუ რა სირთულეების გადალახვა მოუხდა ქვეყანას იმისთვის, რომ დღეს მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან და ძლიერ სახელმწიფოდ ქცეულიყო.

გამოფენა თბილისში 19 ივლისამდე გასტანს. შემდეგ „ამერიკა“ ათენში გაემგზავრება, სადაც კიდევ ერთ ძველი ცივილიზაციის ქვეყანას გააცნობს საკუთარ არცთუ ისე ხანგრძლივ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან ისტორიას. □

ქართული პენ-ხალხი საერთაშორისო ლონდონში ჩაერთვება

ნინო ჩიმაკაძე



International Pen-ის გამგეობის თავმჯდომარე, მწერალი იუჯინ შულგინი ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქციაში, 9 ივლისი 2010

ფოტოგრაფი: ნინო ჩიმაკაძე

ნინა კვირას თბილისის ბრიტანული International Pen-ის გამგეობის თავმჯდომარე, მწერალი იუჯინ შულგინი სტუმრობდა. მას საქართველოში ჩამოსვლა და ადგილობრივი მწერლების გაცნობა, რამდენიმე წელია, უნდოდა. მას შემდეგ, რაც ლონდონში მწერალი ირაკლი კაკაბაძე გაიცნო, ამ საკითხზე ფიქრი უფრო სერიოზულად დაიწყო და საქართველოში ჩამოსვლაც მასთან ერთად გადაწყვიტა. თბილისში ვიზიტისას შულგინი და ირაკლი კაკაბაძე ჟურნალ „ლიბერალსაც“ სტუმრობდნენ.

„ძალიან მაინტერესს, რა ხდება პოსტ-საბჭოთა ქვეყნების პენ-კლუბებში და მწერლობაში. ვიცი, რომ აქაური გაერთიანებები შედარებით დახურული იყო გარკვეული დროის მანძილზე და არ იყო მზად ახალი წევრების თუ ახალი გამოწვევების მისაღებად. მაგრამ იმედი მაქვს, ეს სიტუაცია თანდათან შეიცვლება და დილოგის გზით წინ წასასვლელ გზასაც ნახავთ“, – აღნიშნა მწერალმა.

International Pen თითქმის ერთი



პოეტი გაგა ნახუცრიშვილი იუჯინ შულგინისა და ქართველი მწერლების შეხვედრაზე

საუკუნის წინ დაარსებული მწერალთა საერთაშორისო ასოციაციაა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ მასშტაბურ ლიტერატურულ გაერთიანებად და ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ პირველ ორგანიზაციად ითვლება. დღეს ორგანიზაციას მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში აქვს ცენტრი, მათ შორის – საქართველოშიც.

სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, პენ-კლუბი საქართველოშიც „პერსპექტივის“ შემდეგ, უფრო ზუსტად კი

1990 წელს დაარსდა. მისი პირველი პრეზიდენტი ჭაბუა ამირეჯიბი იყო, შემდეგ ეს ადგილი ჯანსუღ ჩარკვიანმა დაიკავა. 1997 წლიდან კი გაერთიანებას დათო მალრაძე ხელმძღვანელობს.

ქართული პენ-კლუბი არაერთი ლონდონის ინიციატორია. მათ შორის იყო გამოფენა საბჭოთა დროს რეპრესირებული ადამიანების შესახებ, გაზეთი და შემდეგ უკვე ჟურნალი „ქომაგი“, საპროტესტო განცხადებები ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევების დროს. თუმცა, ის, რაც დღეს ქართული პენ-კლუბის ეგიდით ხდება, მხოლოდ მცირედი იმასთან შედარებით, რასაც მსგავსი ორგანიზაციები დასავლეთში აკეთებენ. გარდა ამისა, საბჭოთა პერიოდში შექმნილი „მწერალთა კავშირის“ რეპუტაციიდან გამომდინარე, დღეს ბევრი ახალგაზრდა მწერალი საერთოდ ერიდება რაიმე სახის ორგანიზაციაში გაერთიანებას.

თუმცა International Pen დამოუკიდებელი გაერთიანებაა, რომელიც ძირითადად სხვადასხვა კერძო და საგანგებო ფონდებიდან ფინანსდება და დასავლეთში მასზე რაიმე სახის სამთავრობო გავლენებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. იუჯინ შულგინმა ქართველ მწერლებთან ამ მნიშვნელოვან საკითხზეც ისაუბრა. მათ ერთობლივი გეგმებიც დასახეს: გადანყდა, რომ 2011 წლის ოქტომბერში თბილისში პენ-კლუბის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი ჩატარდება, სადაც მთავარი აქცენტი ისევ სიტყვის თავისუფლებაზე გაკეთდება. ირაკლი კაკაბაძემ „ლიბერალთან“ ამ ლონდონის დეტალებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ფესტივალზე ისეთი ცნობილი და გავლენიანი მწერლების ჩამოყვანა იგეგმება, როგორებიც არიან – ბრიტანელი სალმან რუშდი და ნობელისა და პულიცერის პრემიების ლაურეატი მწერალი ქალი, ტონი მორისონი. □

"მედეა", ხობოხს მასაღა

ალექსი მაჭავარიანის ოპერის დაგვიანებული პრემიერა ეროვნული მუსიკალური ცენტრის სცენაზე

დავით ბუხრიკიძე



ალექსი მაჭავარიანის ოპერა „მედეა“ საკონცერტო შესრულება. ეროვნული მუსიკალური ცენტრი, თბილისი, 5 ივლისი 2010

ფოტო: ირაკლი ნაჭვარიანი

მეოცე საუკუნის 80-იანი წლების გერმანიაში ყველაზე გავლენიანი, სკანდალური დრამატურგისა და მემარცხენე შეხედულებების რეჟისორის, ჰაინერ მიულერის პიესა „მედეა-მასალა“ რამდენიმე წლით ადრე დაინერა, ვიდრე ალექსი მაჭავარიანის ოპერა „მედეა“. 1991 წელს, გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა ეს მრავალპლანიანი, თანამედროვე მუსიკალური ენითა და სტრუქტურით აგებული ოპერა სანკტ-პეტერბურგის, მარიას სახელობის საოპერო თეატრის დაკვეთით დაწერა. თუმცა სამშობლოში კოლხი მისანი-ქალის საოპერო ისტორია ლამის აკრძალულ ჰაინერ მიულერის „მედეაზე“ უფრო ტაბუდადებული აღმოჩნდა.

2010 წელი, გარკვეული თვალსაზრისით, ისტორიულია: ეროვნული მუსიკალური ცენტრის სცენაზე 5 და 7 ივლისს ოპერა „მედეა“ საკონცერტო შესრულებით პირველად და სრულად აჟღერდა. აღმაშენებელზე მდებარე ეროვნული მუსიკალური ცენტრის სანიმუშოდ და წინასარემონტოდ „გატყავებული“ კედლები, შიშველი და

მოუნწერიგებელი სცენა თითქოს საგანგებო ატმოსფეროს ქმნიდა. ამას დაემატათ მუსიკალურად შემართული პუბლიკა, ეგვიპტე მიქელაძის სახელობის გადახალისებული ორკესტრი, ლამის გაათმავებული პასუხისმგებლობის მავსტრო ვახტანგ მაჭავარიანი, აქრომატულად კოსტიუმირებული და შთაგონებული ეროვნული კაპელა და არანაკლებ მონდომებული სოლისტები...

ბანალურად რომ ვთქვათ, ალექსი მაჭავარიანის შემოქმედება მრავალფეროვანია: სიმფონიები, ოპერები, ბალეტები, საორკესტრო პიესები, კამერული მუსიკა და ინსტრუმენტული კონცერტები (საფორტეპიანო, სავიოლინო და ჩელოსთვის). მიუხედავად დიდი აღიარებისა და უცხოეთში წარმატებისა (მისი მუსიკა ხშირად აჟღერდა რუსეთის, ამერიკისა და ევროპის საკონცერტო დარბაზებსა და საოპერო სცენებზე), კომპოზიტორის შემოქმედება, ხილული და უხილავი მიზეზების გამო, მაინც ტაბუდადებული იყო. გამონაკლისს არც ოპერა „მედეა“ წარმოადგენს, რომელიც ბალეტების – „ფიროსმანისა“ და „ჭირვეუ-

ლის მორჯულების“, ოპერა „ჰამლეტისა“ და სიმფონიურ ნაწარმოებებთან ერთად, დიდი ხანია, ელის სცენურ და ვოკალურ სიცოცხლეს.

ორმოქმედებიანი ოპერის სტატიკური საკონცერტო შესრულება სოლისტებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებთ, რადგან ვოკალური მონაცემები ერთდროულად მუსიკალურ და არტისტულ მხარესაც ითავსებს. დრამატულ-ვოკალური სინთეზი ყველაზე უკეთ „ლა სკალაში“ განვრთნილმა ბარიტონმა ნიკოლოზ ლაგვილაშვილმა შეძლო, რომლის შესრულებით ორი მეფის – მეფე აიეტის (პირველი მოქმედება) და მეფე კრეონის (მეორე მოქმედება) – პარტიები გულწრფელად და დამაჯერებლად აჟღერდა, თუმცა იგრძნობოდა ფრაზირების ხარვეზები.

მედეა ქეთევან ხომერიკის შესრულებით რალაცით ვაგნერისა და რიჰარდ შტრაუსის საოპერო პარტიების ცნობილ ინტერპრეტატორს, ბირგიტ ნილსონს მოგაგონებთ; ოდნავ ცივი, მაგრამ ძლიერი ხმით. ტენორი ანზორ ხიდაშელი (იაზონი) რაფინირებული, მაგრამ ოდნავ სუსტი და ფოკუსირებული ხმით მეორე განყოფილებაში უფრო სრულად გაიხსნა, გოჩა დათუსანის ჯერ კიდევ დასახვენი ბანის მოსმენის საშუალება პუბლიკას მხოლოდ პირველ განყოფილებაში მიეცა. მეფე კრეონის ასულს – გლავკეს, დრამატულის ნაცვლად, საცეკვაო პარტია აქვს დათმობილი, რაც მოულოდნელიცაა და ეფექტურიც.

ალსანიშნავია, რომ ოპერის ლიბრეტო (გუსტავ შვაბის დრამის მიხედვით) თავად მავსტრო ვახტანგ მაჭავარიანს ეკუთვნის, რომელიც შემართებით დირიჟორობდა. ოპერა „მედეა“ საკონცერტო შესრულებით მართლაც მასალას ჰგავდა, რომლისგანაც, სარეჟისორო „წერთნისა და აღჭურვის“ შემთხვევაში, კონცეპტუალური და თანამედროვე ოპერა შეიძლება გამოიძეროს. თუმცა, სარემონტოდ დალუქული ოპერის ფონზე, ეს ნამდვილი ფუტურზიმია. **□**

ჰილარი და ჯახთოვანი ბობონები



ლაშა ბულაძე, მწერალი



ჰილარი კლინტონის, მიხეილ სააკაშვილის და გიგი უგულავას გასეირნება ძველ თბილისში, 5 ივლისი 2010

ფოტო: ირასკალო ბაზუნაძე

ყველამ ნახა, როგორ გაისეირნა ძველ თბილისში აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა საქართველოს პრეზიდენტთან და ქალაქის მერთან ერთად. ისიც ვნახეთ, როგორ გადაეყარნენ პლანეტისა და ქვეყნის გამგებელნი კაფეში მსხდომ მელანქოლიურ გოგონებს და მათი პანია დიალოგის მოწმენიც შევიქენით.

თუმცა, რალა დაგიმალოთ და, ვეჭვობ, რომ ამ საუბრის სრული ვერ-

სია გაეშვათ საინფორმაციოებში. არა მგონია,

ქ-ნი ჰილარი ერთი შეკითხვით დაკმაყოფილებულიყო („ბიჭები სად არიან?“), ქართველ გოგონებთან გასაუბრების შანსს ის ნამდვილად არ გაუშვებდა ხელიდან – დიალოგი, ჩემი აზრით, ბევრად უფრო ვრცელი გამოვიდა.

გთავაზობთ მათი საუბრის კონსტრუირებულ ვერსიას (თარგმანი ჩემია):
ქ-ნი ჰილარი: მოგესალმებით, ქარ-

თველო გოგონებო!

ქართველი გოგონები: (მორცხვად, ღიმილით და მელანქოლიურად) სალამი, ქალბატონო ჰილარი.

ქ-ნი ჰილარი: ბიჭები სად არიან? ბიჭებთან ერთად რატომ არ სხედხართ?

ქართველი გოგონები: (მათ პრეზიდენტი უბრიალებს თვალებს) ბიჭები ჯარში არიან.

ქ-ნი ჰილარი: რატომ გაცვიათ ყველას შავი ტანსაცმელი?

გოგონები ერთმანეთს უყურებენ, თავს უხერხულად გრძობენ, არ იციან, რა უპასუხონ.

პრეზიდენტი: (ერთვება საუბარში) რუსულ ოცპროცენტთან ოკუპაციას გლოვობენ.

ქ-ნი ჰილარი: მაშინ შავი ფერიც ოცპროცენტთან დატვირთვით უნდა ფიგურირებდეს თქვენს ტანისამოსში. ზედა მაინც უნდა იყოს ჭრელი.

კონსტიტუციონალისტი დემეტრაშვილი: (ხალხს შორის გამოყოფს თავს) კი, ზედა და ქვედა პალატა იქნება, ბატონო ჰილარი (რატომღაც „ბატონობით“ მიმართავს ქ-ნ სახ. მდივანს)!

ქალაქის მერი: (ფარავს კონსტიტუციონალისტს – ხელს იშვერს შუშის ხიდისკენ) იქით ხომ არ გაგვესივრნა, ქალბატონო ჰილარი?

პრეზიდენტი: (სხაპასხუპით) მოიცამოიცა... (აცნობს მერს ქ-ნ მდივანს) აი, ესაა ჩვენი მერი, ესაა ჩვენი ფალავანი!

ქ-ნი ჰილარი: (ქალაქის მერს – აღტაცებული) აჰ, ეს თქვენ მოუგეთ მისტერ ძიუძიუგურს (უჭირს გვარის გამოთქმა)? ყოჩაღ-თ, მერო, ყოჩაღ-თ. მისტერ ძიუძიუგური ჩვენ ცნობილი „სამტრედიის ინციდენტის“ შემდეგ დაგვამხსოვრდა – იმ კაცის დამარცხება, რომელმაც ეკონომიკური დივერსია მოუწყო რუსეთს, ჩემი აზრით, რთული უნდა ყოფილიყო. ასე არ არის?

ქალაქის მერი: (ამაყად, მუშტს შეკრა-

ქალაქის მერი: (ჯიუტად) უმორჩილესად გთხოვთ, გავისიერნოთ ახალ ხიდზე!

ქ-ნი ჰილარი: (კვლავ გოგონებს) როგორი ურთიერთობა გაქვთ გეებთან?

ქართველი გოგონები: ჩვენი აზრით, ეგენი ავადმყოფები არიან, მაგრამ არ გვავლიზიანებენ. ზოგიერთი ვმეგობრობთ კიდევ.

ქ-ნი ჰილარი: როგორ ეპყრობით ეთნიკურ უმცირესობებს?

ქართველი გოგონები: (თვალები ეპარებათ პრეზიდენტისკენ – პრეზიდენტი უხმოდ, ტუჩების მოძრაობით იმეორებს მათ ნათქვამს) ვისაც სომხები არ უყვარს, სომხები ვართ იმისთვის, ვისაც ოსები არ უყვარს – ოსები, ხოლო ვისაც აფხაზები – აფხაზები ვართ იმისთვის...

ქ-ნი ჰილარი: (პრეზიდენტს) ბრავო, ნინსვლა აშკარაა!

(გოგონებს) რომელ საათზე იღვიძებთ?

ქართველი გოგონები: (გულუბრყვილოდ) საღამოს ოთხ საათზე!

ქ-ნი ჰილარი: (შენუხდება) უჰს.

პრეზიდენტი: (გამოასწორებს) ამერიკის დროზე ვართ, ქალბატონო ჰილარი, ამას გულისხმობდნენ.

ქ-ნი ჰილარი: (გოგონებს) დაპატიჟებთ თუ არა კაფეში „ლიდერ ქალბატონებს“? (ქართველი გოგონები იჭყანებიან) რა, გეთაკილებათ მათთან ერთად სიარული? (გოგონები იბღვირებიან)

(ცრად გამოხტება და ხელში ყურნალებს მიაჩეჩებს ქ-ნ მდივანს – ჩურჩულით და მუდარით) აქ ჩემი ცოლის ფოტოებია, „სივი“, ორდენები, პუანტების ქსეროკოპია, ბავშვის სკოლის გადასახადები, ცურვის აბონემენტის ასლი... გადახედეთ, დაათვალიერეთ... (აღელდება) მთელი ჩემი ცხოვრებაა აქ, მთელი ჩემი ოცნებები... მიშველეთ... (ჩუმად) დაგვპატიჟეთ სადმე...

პრეზიდენტი: (ნინ სწევს ფინანსთა მინისტრ ბაინდურაშვილს – ქ-ნ მდივანს) ვიცი, თქვენი ქალიშვილი თხოვდება და თუკი გადაიფიქრა – ხომ იცით, ყველაფერი შეიძლება რომ მოხდეს – იცოდეთ, რომ აგერ გვყავს სავსებით რეალისტური კანდიდატურა.

ქ-ნი ჰილარი: (ფინანსთა მინისტრს) იცით ინგლისური?

ფინანსთა მინისტრი: (შემინებულია) მსოფლიოს ყველა ენა ვიცი, ქალბატონო ჰილარი.

ქ-ნი ჰილარი: (ელჩს) შეიტანე სიაში. (თმაზე ხელს უსვამს სკოლის მოსწავლის იერის მქონე გოგონას) შენ ვისი ხარ, შვილი?

გოგონა: (გაბრაზდება) მეტყვი კიდევ ასე და ხელზე გიკბენ, ყველა ამომინყდეს! შენი შვილი კი არ ვარ... ეკონომიკის მინისტრი ვარ.

ქ-ნი ჰილარი: უჰს. უკაცრავად.

ქალაქის მერი: (უჯიკებს ქ-ნ მდივანს) ხიდი! წავიდა!

ქ-ნი ჰილარი: შენ ვისი ხარ, შვილი? გოგონა: (გაბრაზდება) მეტყვი კიდევ ასე და ხელზე გიკბენ, ყველა ამომინყდეს! შენი შვილი კი არ ვარ... ეკონომიკის მინისტრი ვარ.

ვს) გაგანადგურე, რა. პირდაპირ გეუბნები.

ქ-ნი ჰილარი: თქვენ კოლოსი ხართ! ბრავო! (უბრუნდება გოგონებს – საქმიანად) შავები უნდა გაიხადოთ, თორემ სექსი არ გექნებათ.

ქართველი გოგონები: (ერთხმად) გვაქვს სექსი, გვაქვს!

ქ-ნი ჰილარი: (ირონიით) ვისთან, ოფიციალურად? ნება მიბოძეთ, არ დაგიჯეროთ.

პრეზიდენტი: (მერს, ჩურჩულით – გოგონებზე) დაილაღნენ და ველარ პასუხობენ, წავედით!

ქალაქის მერი: (რიხიანად და ჯიუტად – ქ-ნ მდივანს) წამოდით ახალი ხიდის სანახავად!

ქ-ნი ჰილარი: (ღიზიანდება) ნუ, რა ჯანდაბაა ეს ხიდი! წავედით, ჰა! (გოგონებს) შავი შეამცირეთ – მხოლოდ ოცი პროცენტი!

საგარეო საქმეთა მინისტრი: (უე-

ქ-ნი ჰილარი: ხო, წავედით, წავედით... შემჭამა, ნუ! მე რა მიქნა და მისტერ ძიუძიუს რას უზამდა!

პლანეტისა და რეგიონის მმართველები მიდიან.

კაფეში მსხდომი გოგონები სასწრაფოდ იხდიან შავ კაბებს – თურმე, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომლები ლომივით ბიჭები ყოფილან. □



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშური
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურაკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5


FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9

ჯაბულანი



სანდრო ნავერიანი

ჰა, გავხდით ისტორიული ფაქტის მომსწრენი. მართალია, მე ჯერ არ ვიცი, ჰოლანდია გახდა ჩემპიონი თუ ესპანეთი, მაგრამ მთავარი აქ არის სიახლე მსოფლიო ფეხბურთში – დედამიწას ახალი ჩემპიონი ჰყავს.

ფინალზე და მთლიანად მუნდიალზე შემდეგ ნომერში მოვინერები, ახლა კი ჯაბულანზე და მსაჯობაზე მინდა, გითხრათ.

თუ ვინმემ არ იცის, ჯაბულანი „ადიდასის“ ბურთის სახელია, რომელიც სპეციალურად მუნდიალისთვის შეიქმნა რალაც ზეთანამედროვე ტექნოლოგიებით. მის გარშემო ატეხილი აყალიბდა „ნასა“-შიც კი შენუბდნენ და გადანყვიტეს, შეესწავლათ ბურთი და მისი ამოუცნობი ტრაექტორია.

საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ დაადგინეს, რომ თუ ჯაბულანი მიფრინავს 70 კმ.სთ. სიჩქარით და კიდევ უფრო სწრაფად, მაშინ მისი ტრაექტორიის განსაზღვრა შეუძლებელია. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ზღვის დონიდან რა სიმაღლეზე დაფრინავს ჯაბულანი და რა მიმართულება და სიჩქარე აქვს ქარს. ასე რომ, ეს ბურთი ტყუილად არ გამხდარა ადამიანების და არადამიანების უკმაყოფილების საბაბი. გარდა ამისა, არც „ნასა“ და მისი სქელშუშა სათვალისანი „ზნაიკები“ საჭირო იმისთვის, რომ ჯაბულანის უცნაურობაში დარწმუნდეს – ყველა თამაშში აშკარა იყო, რომ დარტყმის შემდეგ ჯაბულანი ძირითადად ზევიდან სცდებოდა კარს. ამას გარდა, ის ძალიან სწრაფი ბურთია და მინიდან ასხლეტის შემდეგ ფაქტობრივად ინარჩუნებს პირველად სიჩქარეს. არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ჯაბულანზე საუბარი, თუ-

მცა ერთია, ჩვენ აქ ვსხედვართ და ვლაქლაქებთ, ჯაბულანის ავკარგანობაზე კი სულ რამდენიმე ფეხბურთელმა გამოთქვა აზრი, დანარჩენები მშვენივრად თამაშობენ, სეივებსაც აკეთებენ და გოლებიც გააქვთ. ასე რომ, თუ ფეხბურთელებს არ აქვთ სალაპარაკო, ჯობს ჩვენც გავჩუმდეთ.

რაც შეეხება მსაჯობას, უყოყმანოდ შეიძლება მსაჯობასაც ჯაბულანი დავარქვათ. ამოუცნობი და გაუგებარია, თუ რა ნესებით მსაჯობენ.

რა თქმა უნდა, ორი ყველაზე დიდი შეცდომა არჩათვლილი და ჩათვლილი გოლები იყო. ჯანდაბას, გახურებულ სეზონზე ასეთი გოლი უიქენდზე ხუთი მაინც გადის და მსაჯები მათ აუქმებენ, მაგრამ მუნდიალზე და თან ასეთი მნიშვნელოვანი გოლების გაუქმება? მაგალითად, ტევესის გოლი! ბევრი იტყვის, – არგენტინა მაინც შეუგდებდაო, – მაგრამ სინამდვილეში კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა – არგენტინა შეიგდებდა, თუ პირიქით, შეუგდებდნენ.

კიდევ უარესი იყო არჩათვლილი ლამპარდის გოლი, რომელმაც პირდაპირი გავლენა იქონია შეხვედრის შედეგზე. კიდევ იყო ამერიკელების გატანილი გოლები, რომლებიც არ ჩათვალეს. იყო უაზრო ნითლები – მაგალითად გურკუფის, რომელმაც ასევე დიდი გავლენა იქონია შედეგზე. იყო ფაბიანოს ხელბურთი, კალათბურთი და გოლი, რომელიც ჩათვალეს...

არ ვარ მომხრე, კარის შიგნით სენსორები დამონტაჟდეს იმისთვის, რომ მსგავსი შეცდომები თავიდან ავიცილოთ, არც ვიდეო-რეფერის მომხრე ვარ... ფეხბურთს ადამიანები თამაშობენ და შეცდომებიც ადამიანური უნდა იყოს, მაგრამ კუთხურის ხაზებთან ორი მსაჯის დამატების მომხრე ვარ და ეს მსაჯები თუნდაც ტოფიც ბახრამოვები იყვნენ.

ერთი სიტყვით, მსაჯობა ძალიან ცუდი იყო, შეიძლება 2002-ზე ცუდიც, მაგრამ მუდამი იმაშია, რომ ფეხბურთს მაინც ვუყურებთ და ერთი-ორი ჯაბულანი არბიტრი ამას ვერასდროს შეცვლის. □



დაბთაჰიდა



გიო აბვლედიანი, ლონდონი



ეს მსოფლიო ჩემპიონატი ხომ გადაგორდა და მთელი ამბავი. საბოლოოდ მაინც კარგი იყო, და რაც მთავარია, მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ჰყავს. ეს ნამდვილად დიდი ხალისია და ამ საქმეში სამართალიც დიდია.

თორემ აბა, რა გამოიღოდა; ამ მსო-

ფლიო თასზე, ბურთი მეკარეს თუ არ მოხვდებოდა, ისე კარში ლამის არ შედიოდა და რალაცა ჰოკეისავით ამბავი იყო.

საერთოდ, ეს ჩემპიონატი, პრემიერლიგას ჰგავდა. არც იყო გასაკვირი, იქ იმდენი ფეხბურთელი იყო პრემიერლიგიდან. და მაინცდამაინც ფეხბურთე-

ლებშიც არ არის საქმე. საერთოდ, ეს ფეხბურთიც, მგონი, იმას ემსგავსება, რომ იტყვიან ხოლმე, – ძველ მაღბოროს კაი სუნი ჰქონდაო და ახლა კიდევ აღარა აქვსო, მაღბორო კი აწერია ზედო. თორემ მოთამაშეები დიდებული ნუ, თითქმის დიდებული. ანუ ვიცით,

რომ ბრწყინვალე, მაგრამ ველოდე-ბით, აბა დღეს თუ გამოუვა თამაში, და ვაკვირდებით, და არ გამოუდით.

დაილაღენო. რა გასაკვირია, რომ დაილაღონ. სხვებს მარტო სირბილი და ფეხის ქნევა მოეთხოვებათ, იმათ კიდევ – სირბილი, ფეხის ქნევა და თან თავისი განსაკუთრებული ნიჭის წარმოჩენა. აბა, მსოფლიო ჩემპიონატი ჰქვია და მარტო „ნაკოლკა“ და სირბილი რას გეყოფა: „ნაკოლკა“ იქ ყველას აქვს, და სირბილიც ყველას შეუძლია. შენ კიდევ თავი უნდა გამოიჩინო. ლეო მესი ხარ. დიას, რუნი ხარ და კიდევ ერთი-ორი ბიჭი.

ზიდანს მაინც არ დაენებებინა თავი, მაგრამ მინდორს ვინ გამოეკერება? საუცხოო ჩემპიონატი იყო იმ მხრივ, რომ ყველაზე ლამაზად უტევდა გერმანია. განსაკუთრებით კონტრშეტევაზე. სულ ცარიელ კარში შეაგორებდნენ ხოლმე ბურთს, სადაც კი გაუვიდოდათ. სხვა მხრივ, მთავარი იყო კარისკენ დაგერტყა. თუნდაც იქით, სადაც მეკარე იდგა, ბურთს ხელში მაინც ვერც ერთი მეკარე ვერ იჭერდა. ეს ნამდვილი საცოდაობა იყო. იმისთვის, რომ ბურთი ხელიდან გაუცურდა, მეკარე მხოლოდ ინგლისმა შეცვალა; კარგ მეკარეს, ორმოცი წლის კაცს ამჯობინა, რომელსაც ბურთი ხელიდან არ გავარდნიდა – პირდაპირ უშვებდა.

საფრანგეთი აჯანყდა, ისე როგორც ყოველთვის, 1789 წლის შემდეგ. ამდენ

დურასიც იქ იყო, აგებდა და ქვეყანაში უქმეებს აცხადებდნენ. ბოლოს აღარ წააგო. ფეხბურთელებს სხირად აძევებდნენ, ბოლოსკენ შეწყვიტეს. თრილერებიც იყო, და მარადონაც ხომ იქ იყო და იქ იყო.

არგენტინა გავარდა, საშინელი წაგების შემდეგ. ბრაზილია გავარდა გაცივებული, რომ შეიძლება შემთხვევითი ბურთი გაუშვა. დუნგა გადადგა, მარადონა ჯერ არ გადამდგარა. მგონი, არც გადადგება. ერთმა არგენტინელმა პოლიტიკოსმა თქვა, – არგენტინელმა ხალხმა გვიჩვენა, რომ როცა მარადონა შემფოთებულია, თამაშის შედეგი მნიშვნელობას კარგავსო და იქავე დაურთო, – მარადონა, კარგა ხანია, სპორტზე, შედეგებზე და ასეთ რამეებზე მალლა დგას, ჩვენი ქვეყნისთვის ის სოციალური ფენომენია და არა დიადი ფეხბურთელი. ამიტომ, ის ერთადერთი კაცია ქვეყანაში, რომელიც რასაც უნდა, იმას იზამს და დავაცადოთ, გადაწყვიტოსო.

ზოგჯერ მართლა კარგი ყოფილა, მარადონა რომ ხარ.

პელეც იქ იყო, ასე თქვა, – ფინალში რომელიმე აფრიკული გუნდი გავაო. როგორც ყოველთვის. ერთხელ თქვა, – კოლუმბია გავა ფინალშიო. თქვენს მტერს, მაშინ რომ კოლუმბია ფინალში გავიდა. საწყალი ანდრეს ესკობარი მედელინის ქუჩაში მოკლეს, – საკუთარ კარში გოლი რატომ გაიტანეო.

■ საერთოდ, ეს ფეხბურთიც, მგონი, იმას ემსგავსება, რომ იტყვიან ხოლმე, – ძველ მალბოროს კაი სუნთქეონდაო და ახლა კიდევ აღარა აქვსო, მალბორო კი აწერია ზედო.

წელიწადს უთმინეს თავიანთ მედიდურ მწვრთნელს და გადადგომამდე ათი დღით ადრე ვეღარ მოუთმინეს.

მსაჯებს კიდევ უფრო გაუჭირდათ, სულ ცდებოდნენ და ცდებოდნენ, ხოლო შვეიცარია რატომ გავარდა, ვერ მივხვდი. ჰონდურასს ვერ მოუგო. ჰონ-

მოკლედ, მსოფლიო ჩემპიონატი მსოფლიო ჩემპიონატი.

მაგრამ რატომ დაემსგავსა ასე პრემიერლიგას, მაინც შემამოფოთებელია. პრემიერლიგა ისედაც ყოველ წელიწადს არის და რაღად გვინდა ოთხ წელიწადს ცდა? 



იკითხეთ
ლიბერალის
პორტალზე
www.liberali.ge

პლზი: ნანა საჯავი
შურნალისტიკა, რომორც „ცოცხალი მიკროფონები“

კარლ აიდსუვი კენტის უნივერსიტეტის პროფესორია, ის ჯიპაში ტელეჟურნალისტიკას მასწავლიდა. ყურში დღემდე ჩამესმის მისი ფრაზა: „თქვენ ჟურნალისტები ხართ და არა ცოცხალი მიკროფონები, კითხვები უნდა დასვით და არა თავი უქნით, იმიტომ რომ თქვენ ჟურნალისტები ხართ და არა სტენოგრაფისტები“.



მულტიმედია:
იხაჩი ანასანი:
„საჭირო იყო ცხადი გამმდარიყო აშშ-ს ერთგულება“.

მულტიმედია:
პინინი ჭაობის პინას
საკრებულომ დიღმის ტყე-პარკის სოლიდურ ნაწილს რეკრეაციული ზონის სტატუსი მოუხსნა და საზოგადოებრივ საქმიან ზონად გამოაცხადა, რამაც ტყე-პარკის ტერიტორიაზე ინტენსიური მშენებლობების უფლება დააკანონა.

ხუსთაველები



თბილისელებმა რუსთაველის „დაკარგვა“ მაშინ დაიწყეს, როდესაც გადანყვიტეს, რომ „რუსთაველზე მხოლოდ სოფლები დადიან“, შემდეგ კი სხვა რამეებიც მოიმიზეზეს. შედეგად კი მიიღეს/მივიღეთ ის, რომ ქალაქის მთავარი ქუჩა არც ჩვენია და არც ეშმაკების.

კახა თოლორდავა

პირდაპირ მინდა ვთქვა, რომ რუსთაველის პროსპექტი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოსაწყენი ცენტრალური ქუჩაა, რაც კი მინახავს. აქ უბრალოდ არაფერი ხდება. ან, უფრო სწორად, ხდება ის, რაც ხდება და რასაც თვითონ გამზირი გვთავაზობს. ამ მხრივ კი თითქოს ყველაფერი ნესრიგშია – აქ თეატრიცაა, ოპერაც, კინოთეატრიც, მუზეუმიც, გალერეაც, სასტუმროებიც, განსაკუთრებულ შემთხვევებში აქ შეიძლება გადაყროდი ნიჩბიან რუს ჯარისკაცებს, ტანკებს, ერთმანეთის მკვლელ ქართველებს, ქართველებს ვარდებით ხელში, ნაცემ-გაბრუებულ ქართველებს და კარვებში გამოკეტილ ქართველებსაც. მოკლედ, პროსპექტი სრულიად სამართლიანადაა ცნობილი, როგორც ქალაქის ცენტრალური ქუჩა და სტუმარი თუ ჩამოგივიდა, რუსთაველზე ავლა-ჩავლა ისევე არ აცდება, როგორც პატარძალს სიხარულის ცრემლები. და მაინც, გააჩერე ქუჩაში ნებისმიერი თბილისელი და თითქმის ყველა მათგანი გეტყვის, რომ რუსთაველს ის ხიბლი აღარ აქვს, რაც ადრე ჰქონდა და რომ არც ის და არც მისი ოჯახის წევრები რუსთაველზე აღარ დადიან; მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია. პირადად ჩემთვის ამ ნათქვამის პირველი ნაწილი ძალიან მისაღებია – ჰო, რუსთაველს ა ღ ა რ უნდა ჰქონდეს მხოლოდ ძ ე ე ლ ი ხიბლი, მას ა ხ ა ლ ი ხიბლიც უნდა ჰქონდეს, მაგრამ ვაგლახ, ეს ასე არაა. პროსპექტს არც გალამაზებამ უშველა და, რაღაცით დაამგვანა რომელიღაც გმირი საბჭოთა ქალაქის ცენტრალურ ქუჩას. იქ ყოფნისას განსაკუთრებით არაპროპორციულად ფართო საგაზონო სივრცე მხვდება ხოლმე თვალში და კიდევ ერთხელ მახსენებს, რომ რუსთაველი ხრეშნატიკი არაა. ის ბევრად უფრო კომპაქტური და ინტიმურია, შესაბამისად ასეთ მიდგომასაც ითხოვს. მეორე მხრივ, სიმართლე რომ გითხრათ, რამდენადაც დახვეწილი უნდა გახდეს თბილისის მთავარი ქუჩა ამ თვალსაზრისით, ის ვერასდროს ვერაფერი გახდება იმ ადამიანების გარეშე, ვინც მას სული უნდა შთაბეროს. პირველ რიგში – თვით თბილისელების, მერე კი აქ ჩამოსული სტუმრების გარეშე. ან პირიქით. თბილისელებმა რუსთაველის „დაკარგვა“ მაშინ დაიწყეს, როდესაც გადანყვიტეს, რომ „რუსთაველზე მხოლოდ სოფლები დადიან“, შემდეგ კი სხვა რამეებიც მოიმიზეზეს. შედეგად კი მიიღეს/მივიღეთ ის, რომ ქალაქის მთავარი ქუჩა არც ჩვენია და არც ეშმაკების. ის კვლავ მოლოდინშია.

დარწმუნებული ვარ, რომ რუსთაველთან დაკავშირებით ქალაქის მესვეურებს ბევრი გეგმა აქვთ. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ რამდენიც უნდა აშენი და ალამაზო (და ეს ნების-



მერ ქუჩას ეხება), ვერაფერს გახდები, თუ ადამიანები ვერ მოიზიდვ, უფრო ზუსტად კი – მედიტატიური სიამოვნების მისაღებად განწყობილი ადამიანები. ქალაქის ცენტრალური ქუჩების შემთხვევაში, მხოლოდ ასე მუშაობს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ელემენტიც – შემეცნებითი. რა უნდა შესთავაზოს რუსთაველის პროსპექტმა ადამიანებს? თბილისელებს, დიდს თუ პატარას, იმის შეგრძნება, რომ ქალაქის მთავარ ქუჩაზე ყოველთვის ხდება რაღაც ისეთი, რაც მათთვის საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს, კულტურული თუ კომერციული თვალსაზრისით. ეს დედაქალაქის ცენტრალური ქუჩისადმი დაკარგული პატივისცემის აღდგენასაც შეუწყობს ხელს და ახალი ქალაქური ისტორიების წარმოშობასაც. რაც შეეხება ჩამოსულ სტუმრებს, პროსპექტმა მათ სხვა ქალაქებისგან განსხვავებული გამოცდილება უნდა შესთავაზოს. ის ერთდროულად გლობალურიც უნდა იყოს და ლოკალურიც, ამ უკანასკნელს კი მხოლოდ რუსთაველისადმი „გულმობრუნებელი“ თბილისელები თუ მოახერხებენ.

მოკლედ, რუსთაველის პროსპექტის პოტენციალი უდავოა. მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მთავარი ქუჩა გახდეს კავკასიაში, ან თუნდაც ევროპაში – რატომაც არა. რამდენადაც ვხვდები, ეს ადვილი საქმე არ უნდა იყოს, მაგრამ რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ ნამდვილად გვჭირდება ერთი ისეთი ქუჩა, რომელიც არა მარტო რევოლუციების მოსაწყობად გამოგვადგება, არამედ უბრალოდ ერთად ყოფნისთვის. თბილისში ერთადერთ ასეთ ქუჩად დღემდე რუსთაველის პროსპექტი მიმაჩნია. ■



ჰასნიკო
ოდიშვილისგან

ყოველდღიური
ჯგუბი

გაესტრო




ორშაბათი-პარასკევი

23:00



ახალი წიგნები



თუკი მოგვინდება ეს ტექსტი რომელიმე ლიტერატურულ ჟანრს მივაკუთვნოთ, არსებულებში ვერ ვიპოვით და წერისა და თვითგამოხატვის ამ ხერხს "ესეები არარსებული წიგნების შესახებ" ანდა სათაურშივე გამოყენებული "უცნობი წიგნები" უნდა დავარქვათ.

საქმე მარტო ის როდია, რომ ამ წიგნებში აღწერილი ოცი ლიტერატურული და ესეისტური ნაწარმოები არ არსებობს. ესეების მეშვეობით ვიგებთ, რომ ისინი ურთიერთციტირებებით, ალუზიებითა და ურთიერთგავლენებით მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. შედეგად, ოცივე ესე და, შესაბამისად, ოცივე წიგნი, რომელთა შესახებაც ესეები გვიყვება, მართალია არარსებულ, მაგრამ მაინც ერთ ლიტერატურულ და სააზროვნო სამყაროს ქმნის.

ორივე წიგნის შინაარსი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. განსხვავება არის იმდენად, რამდენადაც თვითონ ავტორი განასხვავებს ქართულ და უცხოელ მკითხველებს ერთმანეთისგან. თუკი გინდათ გაიგოთ, რაში მდგომარეობს ეს განსხვავება, ნაიკითხეთ და შეადარეთ ერთმანეთს "უცნობი წიგნები ქართველებისთვის" და "უცნობი წიგნები საქართველოდან"


სანტა ქსეპანსა
 SAKPATENTBANK
 12 აბი: 95 93 91
ExLibris
 წიგნის მაღაზია
 აბი: 31 43 36 43
 აბი: 10 25 53

 ფასი 11.90


**გაქურ სულაკაურის
გამომცემლობა**
 88/ კარაიშვილის 188
 აბი: 910 954, 911 188